პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
22 ოქტომბერი **შაბათი** 2011
№249 (13546) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

# 2:2-ები, 10:0-ეში

ფუტსალში საქმე ძალიან ჩაიხლართა

2



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# ჰაკა მაგათ!

## რა ელით შავებს: ტრიუმფი თუ კატასტროფა?

RUGBY WORLD CUP 2011

ხვალ მსოფლიოს თასის ფინალია

## ახალი ზელანდია-საფრანგეთი



13

# სპექტაკლი ოცნებათა თეატრში

## ხვალ: იუნაიტედი vs სიტი



უეინ რუნი სიტის ხვალაც შეუტევს

9

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ფუტსალი



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# 2:2-ები და 10:0-ები

## თბილისური ჯგუფი უკიდურესად დაიძაბა

| სომხეთი–მოლდოვა | 2:2 |
|---|---|

0:1 მუნტეანუ (7), 0:2 მუნტეანუ (26), 1:2 კაპუკრანიანი (27), 2:2 მხითარიანი (27)

სომხეთი: აკოპოვი, სააკიანი, კაპუკრანიანი, დანიელიანი, კირაკოსიანი, მაშუმიანი, კარაპეტიანი, მხითარიანი, მარდანიანი, ბაბაიანი, გიულამბარიანი, პეტროსიანი

მწვრთნელი: რუბენ ნაზარეთიანი

მოლდოვა: ნეაგუ, ბურდუჟელი, მუნტეანუ, ტაკოტი, ლასკუ, კოისევი, არლეტი, ტანურკოვი, ჰილოტი, ბაესუ, ტოპალო, კაპსამუნი

მწვრთნელი: ვლადიმირ ვუსატი

გაფრთხილება: კაპუკრანიანი, კირაკოსიანი

არბიტრები: ს. პელესიე (საფრანგეთი), გ. ბილუა (ბელგია)

| საქართველო–მალტა | 10:0 |
|---|---|

1:0 სებისკვერაძე (8), 2:0 სებისკვერაძე (8), 3:0 ნიშნიანიძე (13), 4:0 თოთლაძე (14), 5:0 ბობოხიძე (17), 6:0 თოთლაძე (20), 7:0 ტიკურიშვილი (22), 8:0 თოთლაძე (32), 9:0 ტიკურიშვილი (32), 10:0 კობაიძე (33)

საქართველო: ჯამბურია, ალთუნაშვილი, კობაიძე, ნიშნიანიძე, ტიკურიშვილი, ჭანუყვაძე, ლუკავა, თოთლაძე, მაისაია, ბობოხიძე, სებისკვერაძე, კეფაშვილი

მწვრთნელი: ზაალ ჩიტალაძე

მალტა: მიფსუდი, სალიბა, გერა, ფრენდო, სკიკლუნა, ოვერენდი, კუტაიარი, ბრინკატი, ბარტოლო, სკიებერასი, სპიტერი, ვასალო

მწვრთნელი: ვიქტორ ჰერმანსი

გაფრთხილება: ჭანუყვაძე, გერა, ოვერენდი, ბრინკატი

არბიტრები: ზ. ბოგდანოვი (სერბეთი), ნ. იელიჩი (ხორვატია)

საქართველოს ეროვნულ ნაკრებს 7 წუთი რჩებოდა საიმისოდ, რომ მაჩანჩალა მალტელთა კარში მეთერთმეტე გოლი გაეტანა, რითაც ბოლო ტურში მოლდოვასთან ფრეც ჰყოფნიდა, მაგრამ **ზაალ ჩიტალაძის** ფეხბურთელებმა მიზანს ვერ მიაღწიეს და ბოლო ტურის წინ ჯგუფში მდგომარეობა ძალიან ჩაიხლართა.

ეს, უპირველესად, სომხეთისა და მოლდოვას ფრემ განაპირობა, როცა, გუშინწინდელი საღამოსგან განსხვავებით, სომხები თვითონ აღმოჩნდნენ მდევრის როლში და ორბურთიანი ჩამორჩენა უკვე თავად აღმოფხვრეს.

ამ შედეგმა შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ორივე გუნდს შეუნარჩუნა და მეორე მატჩში უკვე ქართველთა შედეგიანობაზე იქნებოდა დამოკიდებული, ზედა სამეულის წევრთაგან ვინ როგორ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. შეგახსენებთ, პირველ ტურში მოლდოვამ მალტა სწორედ 10:0 გაანადგურა და ჩვენ ამაზე უკეთესი ანგარიშით გამარჯვება გვმართებდა. ეს ვერ შევძელით და ახლა უკანდასახევი გზა აღარ გვაქვს – ხვალ მოლდოვას უნდა მოვუგოთ, რადგან უკეთესი რეიტინგის წყალობით, ფრის შემთხვევაში ეს გუნდი ცხრილში ჩვენზე მაღლა აღმოჩნდება.

არც სომხები არიან ურიგო სიტუაციაში – ხვალ მალტელებს ეთამაშებიან და შეეცდებიან, კუნძულელები 10:0-ზე მეტი სხვაობით დაამარცხონ. მოკლედ, შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ჯგუფის სამ გუნდს აქვს შენარჩუნებული და ხვალ სპორტის სასახლეში მისვლა ნამდვილად ღირს – მით უფრო, რომ დასწრება უფასოა.

შეგახსენებთ, მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ეტაპზე ჯგუფის გამარჯვებული გადავა, თუმცა შესაძლოა, მას მეორეადგილოსანიც მიჰყვეს, თუ ხუთი ჯგუფის ორ საუკეთესო მეორეს შორის მოხვდება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მოლდოვა | 2 | 1 | 1 | 0 | 12-2 | 4 |
| 2. საქართველო | 2 | 1 | 1 | 0 | 12-2 | 4 |
| 3. სომხეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 4-4 | 2 |
| 4. მალტა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-20 | 0 |

**23 ოქტომბერი**

18:30 მალტა-სომხეთი

21:00 მოლდოვა-საქართველო

**ლევან ჯანეზაშვილი**



საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაალ ჩიტალაძე

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ერთი სურათის ისტორია

# ევროპის ჩემპიონატიდან დაკარგული თაობა

*"თაობები არ მოდიან", "ფეხბურთელების დეფიციტია", "იქნებ, უახლოეს მომავალში მაინც წამოვიდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები"* – დიდი ხანია, გვესმის ასეთი ფრაზები, მაგრამ ძნელია, დაეთანხმო ამ სიტყვებს. თაობები კი მოდიან, მაგრამ, სამწუხაროდ, დიდ ფეხბურთში გადასვლამდე იკარგებიან.

მაგალითისთვის ერთი ფოტოს ისტორიას მოგიყვებით და აქვე ვიტყვი, რომ კიდევ ბევრი მსგავსი ფოტოს მოძებნა შეიძლება.

სურათი 2000 წელს არის გადაღებული და მასზე საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებია ასახული. გუნდი, რომელსაც **კობა ჟორჟიკაშვილი** წვრთნიდა, ევროპის 2002 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდა, იქ კი მეოთხედფინალში მომავალ ჩემპიონ შვეიცარიასთან დამარცხდა.

ფეხბურთში ასეთი მაღალი ადგილი საქართველოს არც ერთ გუნდს არ დაუკავებია, **სანდრო იაშვილმა** კი 4 გოლი გაიტანა.

ამ გუნდის ძირითადი შემადგენლობის შვიდი მოთამაშე აღარ თამაშობს: მეკარე **ზვიად ჩალაძემ** კარიერა 22 წლისამ დაასრულა, ისევე, როგორც კაპიტანმა **ბესო მიქიაშვილმა** (N 5 ფოტოზე), რომელიც ბოლოს უმაღლესლიგელი "თბილისის" კაპიტანიც იყო.

ნაადრევად შეეშვა თამაშს **გივი კაპანაძე** (21). სამწუხაროდ, ტრავმების გამო დიდი ფეხბურთი ვერც **შოთა ჭელიძემ** (7) ითამაშა, რომელიც ძმაზე, **გიორგი ჭელიძეზე** არანაკლებ ნიჭიერი იყო. გაუთავებელმა ტრავმებმა საყვარელ საქმეს ჩამოაშორა საყრდენი **ზურაბ კვახაძე** (15), რომელიც თავიდან გუნდის კაპიტანი იყო და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.

სურათზე არ ჩანს **გიორგი (ნოდარის ძე) ჭელიძე**, რომელიც ამ ნაკრების თავდამსხმელი იყო, მოსკოვის "ლოკომოტივში" გამოდიოდა და კარგი პერსპექტივაც ჰქონდა, მაგრამ 24 წლისამ მწვრთნელობა დაიწყო.

ტრაგიკული ბედისა იყო 13 ნომრით მოთამაშე მარჯვენა მცველი **ზურაბ ბარაბაძე** – იგი გასულ წელს მოკლეს. ზურა სწრაფი და ნიჭიერი მცველი იყო. ახლა თანაგუნდელები მეგობარს მისი სახელობის ტურნირით იხსენებენ.

ამ გუნდიდან, დღეს ფეხბურთს მხოლოდ რამდენიმე შემორჩა: "ზესტაფონში" თამაშობენ **გოგი ფიფია** (18) და **ზაალ ელიავა** (6), ყველაზე შორს **გოჩა ხოჯავა** (9) წავიდა და რუსეთის პრემიერლიგის ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" პლეიმეიკერია, თუმცა ამჟამად **გოგიტა გოგუასთან** და **ლაშა სალუქვაძესთან** ერთად დუბლშემადგენლობაში გადაიყვანეს.

სამწუხაროდ, სანდრო იაშვილმა (10) თბილისის "დინამოში" ფეხი ვერ მოიკიდა და უცნობია, აპირებს თუ არა თამაშს. ცენტრალური მცველი **ანზორ კალაძე** (3) ბოლოს ფინეთში ცდილობდა კარიერის აწყობას, მაგრამ მასზეც არაფერი ისმის.

ცხადია, კარიერა რომ ვერ აიწყვეს, მხოლოდ სხვას ვერ დავაბრალებთ, ზოგმა ნიჭი ვერ გამოიყენა, ზოგს ფეხბურთის სიყვარული არ აღმოაჩნდა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ჩვენთან ჩემპიონატი და კლუბები რომ მძლავრობდნენ, დარჩენის სტიმული გაუჩნდებოდათ. ასეთებს "ფეოლა" მწვრთნელებიც სჭირდებოდათ, რომლებიც ფეხბურთისკენ მოაბრუნებდნენ.

ასეა თუ ისე, სამწუხარო ამბავია, ნიჭიერი თაობა იმ დროს დაიკარგა (ახლა 26 წლისანი არიან), როდესაც ეროვნულ ნაკრებში წამყვანი როლები უნდა ეთამაშათ.

**მერაბ მამულაშვილი**



სამწვრთნელო განათლება

# უმაღლესლიგელებს ჰოლანდიური გამოცდილებით გაწვრთნიან

7-დან 11 ნოემბრამდე უეფას Study Group Scheme-ის მორიგი ღონისძიება გაიმართება, რომლის მთავარი თემაც მწვრთნელთა განათლება იქნება. კერძოდ, დამსწრეებს მიაწვდიან ინფორმაციას PRO და A ლიცენზიების შესახებ. Study Group Scheme უეფას მიერ ორგანიზეული ერთგვარი გაცვლითი პროგრამაა, რომლის ფარგლებშიც სამი ქვეყნის წარმომადგენლები მიემგზავრებიან უეფას მიერ მასპინძლად შერჩეულ ქვეყანაში და ეცნობიან იმ მეთოდებსა და მიმართულებებს, რომელთაც თანამედროვე სამწვრთნელო საქმიანობაში უდიდესი ყურადღება ექცევა, აგრეთვე აკვირდებიან მასპინძელი ქვეყნის საფეხბურთო თავისებურებებს.

შარშან, შემოდგომაზე, საქართველოს უმაღლესი ლიგის თითქმის ყველა კლუბის მთავარი მწვრთნელი ანალოგიურ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე დღის განმავლობაში იმყოფებოდა თურქეთის დედაქალაქ ანკარაში, სადაც იქაური კლუბების, „ანკარაგიუჯუსა" და „გენჩლერბირლიგის" საფეხბურთო სისტემასა და მეურნეობას გაეცნენ, ასევე დაესწრნენ სამწვრთნელო სემინარებს, რომლებსაც კვალიფიციური თურქი და ევროპელი სპეციალისტები უძღვებოდნენ.

ქართველი მწვრთნელები თურქეთიდან დიდი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ, რაც მედიას საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე გაუზიარეს.

სწორედ მსგავსი შინაარსის ღონისძიება ეწყობა ჰოლანდიის ქალაქ ზეისტში, სადაც ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური ცენტრი მდებარეობს.

საქართველოდან იქ კვლავ უმაღლესლიგელთა მთავარი მწვრთნელები გაემგზავრებიან – გამონაკლისი, სავარაუდოდ, მხოლოდ თბილისის "დინამოს" ესპანელი თავკაცი **ალექს გარსია** იქნება.

ჰოლანდიური სემინარის თემატიკის შესახებ უფრო ვრცლად ქართული დელეგაციის დაბრუნებისთანავე გიამბობთ.

რაც შეეხება საქართველოში მიმდინარე სამწვრთნელო სემინარებს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია აქტიურად ემზადება B ლიცენზიის კურსებისთვის, სავარაუდოდ, ნოემბრიდან რომ დაიწყება.

რაც მთავარია, ქართული მხარე მზადაა, დაიწყოს ყველაზე პრესტიჟული, პრო ლიცენზიის კურსებიც. შეგახსენებთ, ეს ლიცენზია, რომელსაც მხოლოდ რამდენიმე ქართველი სპეციალისტი ფლობს, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში სამწვრთნელო თანამდებობაზე მუშაობის უფლებას იძლევა. აქამდე ჩვენი თანამემამულე მწვრთნელები მას უცხოეთში ეუფლებოდნენ, ახლა კი მათ, ვისაც საზღვარგარეთ სწავლის საშუალება არ ჰქონდათ, სამშობლოშივე, მშობლიურ ენაზე შეეძლებათ ყველაზე მაღალპროფესიულ საფეხურზე ასვლა. სავარაუდოდ, საქართველოში ეს პროცესი გაზაფხულიდან დაიწყება.

აქტიურად მიმდინარეობს C ლიცენზიის კურსები, რომელმაც ამჯერადაც ბევრი გამოცდილი თუ დამწყები მწვრთნელის დაინტერესება გამოიწვია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ტორპედო


გიორგი დათუნაიშვილი

## გიორგი დათუნაიშვილი: ვიტ ჯორჯიაში გატარებული 5 წელი ახლა არაფერს ნიშნავს!

### მალე ტორპედო ისეთი გუნდი იქნება, ქუთაისელ გულშემატკივარს რომ ეკადრება

**გიორგი დათუნაიშვილი** ქუთაისის „ტორპედოში“ გასული წლის ზაფხულში ჩაირიცხა და ყველა იმ ცვლილების მომსწრეა, რაც გუნდში „ვისოლის“ მისვლის დღიდან განხორციელდა. ხვალ „მცხეთა-პარკზე“ დათუნაიშვილი და მისი თანაგუნდელები „ვიტ ჯორჯიას“ ესტუმრებიან, გიორგი კი სწორედ ამ გუნდიდან გადავიდა ქუთაისში და მისი „ვეტერინარული“ კარიერა 5 წელს ითვლის. ემზადება თუ არა განსაკუთრებულად ყოფილი გუნდის წინააღმდეგ და რატომ არ ენდობოდა „ტორპედოს“ ყოფილი მწვრთნელი გიორგი კიკნაძე? ამ და სხვა საკითხებზე „ლელო“ გიორგი დათუნაიშვილს ესაუბრა.

**- ახალი სეზონი შენთვის არცთუ კარგად დაიწყო, კიკნაძე-ზამთარაძის ტანდემი ძირითად შემადგენლობაში იშვიათად გაყენებდა, სამაგიეროდ, შენს პოზიციაზე სხვადასხვა ამპლუის ფეხბურთელებს სინჯავდნენ. რა იყო ამის მიზეზი?**

- არ ვიცი, ვერ გეტყვით. ეს მწვრთნელებს უნდა ჰკითხოთ. ალბათ, მათ სათამაშო სქემაში არ ვჯდებოდი, ბოლოსკენ კი მათამაშეს, დავამტკიცე, რომ ამის ღირსი ვიყავი, მაგრამ მალევე წავიდნენ გუნდიდან.

**- იმსახურებდი თამაშს?**

- ჩემი აზრით, ვიმსახურებდი, იმიტომ, რომ საქმით ვამტკიცებდი ამას. თუმცა ყველას თავისი აზრი აქვს და ფეხბურთელი ამასთან ვერაფერს გახდება.

**- ხვალ „ტორპედო“ „ვიტ ჯორჯიას“ უპირისპირდება. გასულ სეზონში „ვეტერინარებს“ ოთხ შეხვედრაში მხოლოდ ქულას გამორჩით, არის თუ არა „ვიტ ჯორჯია“ თქვენთვის არასასურველი მეტოქე?**

- ვიდრე ქუთაისში გადავიდოდი, მანამდეც უხერხული მეტოქე იყო „ვიტ ჯორჯია“ „ტორპედოსთვის“, ჩემპიონობის წლებშიც გაუმწარებია და ამაზე ლაპარაკი თბილისშიც ხშირად მსმენია და ქუთაისშიც. გასულ სეზონშიც შინ მხოლოდ ერთხელ დავმარცხდით და ისიც „ვიტ ჯორჯიასთან“, დანარჩენებს ყველას მოვუგეთ. ყველანაირად ვეცდებით, რომ ეს უსიამოვნო ტრადიცია დავარღვიოთ და მოვიგოთ, მით უმეტეს, როცა სატურნირო მდგომარეობა ასეთი დაძაბულია, სამეულისთვის ბრძოლაში სამი ქულა ძალიან გვჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ „ვიტ ჯორჯიაში“ ხუთი წელი ვითამაშე, ახლა ეს არაფერს ნიშნავს, „ტორპედოს“ მაისურა მაცვია და ვეცდები, ჩემს გუნდს წარმატება მოვუტანო.

**- იმათგან, ვინც შენს დროს თამაშობდა „ვიტ ჯორჯიაში“, ახლა გუნდში აღარავინაა, ესეც ხომ არ განაპირობებს ამას?**

- არა, ასე ვერ ვიტყვი, ამ ბიჭების ძირითადი ბირთვი ჩვენს დროს იწყებდა თამაშს - ჯანელიძე, ვასაძე, გურეშიძეები ჩვენს შემცვლელებად მოიაზრებოდნენ და ღირსეულად შეგვცვალეს კიდეც.

**- გასულ სეზონში „ვიტ ჯორჯიას“ წინააღმდეგ თამაშისას ყვითელი ბარათიც მიიღე, გოლიც არ ჩაგითვალეს და საკმაოდ ემოციურიც იყავი. ყოფილი გუნდის წინააღმდეგ განსაკუთრებულად ემზადები?**

- არა, ასე არ არის, თუმცა „ვიტ ჯორჯიასთან“ შარშან ორი გოლი არ ჩამითვალეს, ერთი შინ, ერთი - სტუმრად, ქუთაისში ნამდვილად თამაშგარე იყო, გასვლაზე კი ვერ გეტყვით, რატომ არ ჩაითვალა. ყველა თამაშზე ჟინით გავდივარ, ემოციური ხასიათი მაქვს, თუმცა ვცდილობ, თავი მოვთოკო.

**- „ტორპედოში“ „ვისოლის“ მისვლის დღიდან ხარ, რომ გადაავლო ამ ერთ წელს თვალი, რა შეიცვალა გუნდში?**

- მოგეხსენებათ, როცა ახალი გუნდი კეთდება, შენების პროცესი ძალიან რთულია და ბევრი ხარვეზიც ახლავს. თანდათან გადავიტანეთ ბევრი უსიამოვნება, ლანძღვა-გინება, მაგრამ შარშანდელთან შედარებით, გუნდი უფრო ჩამოყალიბებული და გაზრდილია. გია გეგუჩაძის მთავარ მწვრთნელად დანიშვნის მერე ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის. მალე „ტორპედო“ ისეთი გუნდი იქნება, როგორიც ქუთაისელ გულშემატკივარს ეკადრება.

**- კლუბის ხელმძღვანელობა ამბობს, რომ გუნდის მიზანი მინიმუმ სამეულში მოხვედრაა, მაგრამ ახლა სამეულის შორიახლოს ხართ, ლიდერები კი უკვე გამოიკვეთნენ. რა შანსები გაქვთ?**

- სამეულისთვის ბრძოლა კვლავაც ჩვენი მიზანია და არ შეცვლილა. არც ისე შორს ვართ ამისგან, ლიდერებს მხოლოდ ორი ქულა გვაშორებს, ასე რომ, ყველანაირად ვეცდებით, ჩვენი შანსი გამოვიყენოთ, მით უმეტეს, ჩემპიონატის სისტემა შეიცვალა, ვინ მოხვდება რვა გუნდში და ვის რამდენი ქულა გადაჰყვება, არავინ იცის. მოკლედ, დაკარგული ჯერ არაფერია და იმედი მაქვს, მინიმუმ სამეულში მოვხვდებით!

**- ქუთაისელ გულშემატკივარს განსაკუთრებულად უყვარხარ მიუხედავად იმისა, რომ „ჩასულებს“ ნაკლებად სწყალობენ. როგორ მოახერხე მათთვის თავის შეყვარება?**

- „ტორპედოს“ მართლაც განსაკუთრებული გულშემატკივარი ჰყავს და, ვფიქრობ, ერთ-ერთი საუკეთესოც საქართველოში. მიხარია, მათი პატივისცემა რომ დავიმსახურე როგორც ჩემი თამაშით, ასევე ხასიათით, მარტო თამაში არ არის მთავარი, გულშემატკივარს უნდა უყვარდე როგორც ადამიანი. ალბათ, ბოლომდე რომ ვიხარჯები გუნდის წარმატებისთვის, ერთ-ერთი მიზეზი ესეცაა. ბედნიერი ვარ, რომ გულშემატკივარს ვუყვარვარ და მეც მიყვარს ისინი.

**მაგდა კლდიაშვილი**

● ბაია

## ნიკა აფაქიძე: დინამოსთან მოგება კარგი განაცხადი იქნება

**დღეს ზუგდიდში ერთმანეთს ეროვნული ჩემპიონატის ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლები, ზუგდიდის “ბაია” და თბილისის “დინამო” დაუპირისპირდებიან.**

**წინასამატჩო განწყობაზე “ბაიასა” და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მცველი ნიკა აფაქიძე გველაპარაკება.**

**- რას იტყვი მომავალ მატჩზე?**

- მეტოქე თბილისის “დინამოა” და ამით ყველაფერია ნათქვამი. ჩვენ არანაირი დამატებითი მოტივაცია არ გვჭირდება.

**- მატჩისთვის განსაკუთრებულად ემზადებით?**

- “დინამოს” მიმართ ჩემი და ჩემი თანაგუნდელების დიდი პატივისცემის მიუხედავად, განსაკუთრებულად ვემზადებით-თქო, მაინც ვერ ვიტყვი, რადგან “ბაიასთვის” ახლა ყველა თამაში მნიშვნელოვანია, ნებისმიერ მეტოქესთან ბოლომდე ვიხარჯებით და მაქსიმუმს ვაკეთებთ.

**- დინამოელთაგან განსაკუთრებით რომელია მცველებისთვის საშიში?**

- ალბათ, გამოცდილი ჩისკოს განეიტრალება აუცილებელი იქნება, მაგრამ უფრო მეტ საფრთხეს მაინც კოშკაძისგან ველით, რომელიც “დინამოს” ლიდერი და წამყვანი ძალაა.

**- გამარჯვება ორივეს გჭირდებათ, „ბაიას“ სამეულში დაწინაურების შანსი აქვს.**

- ლიდერებთან სამი ქულა ჯერ არ მოგვიპოვებია და თუ მართლა გვინდა სამეულში მოხვედრა, ხვალინდელი გამარჯვება საამისოდ თამამი განაცხადი იქნება. თუმცა, ასეც რომ არ იყოს, “დინამოსთან” მოგება ყოველთვის სასიხარულოა.

**- ლიდერებთან ჯერ არ მოგვიგიაო, თქვი. მათი კომპლექსი ხომ არ დაგჩემდათ?**

- არანაირი კომპლექსი, გამოუცდელობის ბრალი უფროა. წინა სეზონთან შედარებით, წლეულს ღირსეულად ვეთამაშეთ “ზესტაფონს” და იმედია, არც “დინამოს” ელის გასეირნება.

**- თბილისელებს გასეირნება არ ელითო – ეს სიტყვები ქვეცნობიერად იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ფრესაც წარმატებად მიიჩნევთ და მოგების არ გჯერათ?**

- არა, ასე ნამდვილად არ არის, მოედანზე სამი ქულისთვის გავალთ, მაგრამ ფრეც რომ არ იქნება ურიგო შედეგი, მგონი, საკამათო არ უნდა იყოს.

**- „დინამოს“ პლუს-მინუსებზე რას გვეტყვი?**

- ჩვენი მეტოქე დიდი დანაკლისით ჩამოდის, მეკარე გიორგი ლორიასა და ნიკა კვეკვესკირის არყოფნა დაეტყობათ. რაც შეეხება პლუსებს, ფაქტობრივად, ყველა რგოლში გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავთ, ასეთ შეხვედრებში კი გამოცდილება ბევრს ნიშნავს.

**მერაბ მამულაშვილი**


ნიკა აფაქიძე

● ლეგიონერები

## იაშვილი ყვითელს დასჯერდა, კარლსრუე – ფრეს

გერმანიის მეორე ბუნდესლიგის მე-12 ტური გუშინ “კარლსრუესა” და “ბოხუმის” მატჩით დაიწყო. მასპინძელთა კაპიტანმა **ალექსანდრე იაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა და გაფრთხილება მიიღო.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ იაშვილის გუნდი ამ სეზონში მოკრძალებული მიზნებისთვის იბრძოლებს და მეორე ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებას შეეცდება - 18-გუნდიან გათამაშებაში “კარლსრუე” 9 ქულით მე-16 ადგილზეა.

იაშვილმა თავისი გუნდის 12-დან 11 მატჩში მიიღო მონაწილეობა და თავი 3 გოლითა და ამდენივე საგოლე პასით გამოიჩინა. აღსანიშნავია, რომ სამივე გოლი მან საწყის სამ ტურში გაიტანა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## სამივე სათადარიგო იყო

გუშინწინ ევროპის ლიგის მატჩებზე ქართველთა გამოჩენას ამაოდ ველოდეთ – ჩვენი სამივე თანამემამულე 18-კაციან განაცხადში კი იყო, მაგრამ მოედანზე გასვლის შესაძლებლობა ერთსაც არ მიეცა.

შეგახსენებთ, ლონდონში **საბა კვერკველიას** “რუბინი” 0:1 დამარცხდა “ტოტენჰემთან”, **ლადო დვალიშვილის** “მაქაბიმ” შინ 5:0 გაანადგურა რუმინული “სტიაუა”, ხოლო **გიორგი ფოფხაძის** “შტურმმა” საკუთარ მოედანზე 0:2 წააგო ბელგიურ “ანდერლეხტთან”.

ქართველთა გუნდებმა ევროპის ლიგის მეთექვსმეტედფინალში გასვლის შანსი შეინარჩუნეს, თუმცა სამი ტურის შემდეგ ჯგუფიდან გამსვლელ მეორე ადგილზე მხოლოდ ჰაიფას “მაქაბია”.

**ლევან ჯანეზაშვილი**

რეკლამის მენეჯერის ვაკანსია „ლელოში“
E-mail:hr@kvirispalitra.com

ეროვნული ბიბლიოთეკა



● საქართველოს XXIII ჩემპიონატი. X ტურის წინათქმა

# გამძლეობის ტესტი

უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის მართლაც განსაკუთრებული პერიოდი იწყება, რომელზეც დიდად იქნება დამოკიდებული თითოეული გუნდის სატურნირო მდგომარეობა ჩემპიონატის გადამწყვეტი, მეორე ეტაპის წინ. შესაძლოა მერეც „რაღაც-რაღაცეები“ შეიცვალოს, მაგრამ ამ საშემოდგომო ქართული „ბოქსინგ-დეის“ რომ სერიოზული კორექტივების შეტანა შეუძლია თითოეული გუნდის გეგმებსა თუ მიზნებში, ეს დღესავით ნათელია. მოკლედ, „გამძლეობის ტესტები“ იწყება: უმაღლესი ლიგის თითოეულ გუნდს 16 დღის განმავლობაში ხუთი-ხუთი ოფიციალური მატჩის ჩატარება მოუწევს! ანუ, 22 ოქტომბრიდან 6 ნოემბრის ჩათვლით უმაღლესი ლიგის ოთხი ტურის შეხვედრებიც უნდა გაიმართოს და იმასაც შეგახსენებთ, რომ 2 ნოემბერს საქართველოს თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩებია დანიშნული. საერთოდ კი, ნებისმიერ „ბოქსინგ-დეის“ წარმატებით ის გუნდები ატარებენ, გრძელი სათადარიგოთა სკამი რომ გააჩნიათ: ამა თუ იმ გუნდის მწვრთნელმა ძირითად შემადგენლობაში ეფექტიანი როტაცია თუ არ მოახდინა, ყოველ მესამე დღეს ჩატარებულ მატჩებში სასურველი შედეგის მიღწევა ნამდვილად გაუჭირდება.



2011 წლის 19 აპრილი. დინამო-ბაია 2:1

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ. | ბურთები გაშ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 9 | 6 | 2 | 1 | 18 | 12 | 20 |
| 2 | დინამო | 9 | 6 | 1 | 2 | 19 | 10 | 19 |
| 3 | მეტალურგი | 9 | 5 | 2 | 2 | 12 | 7 | 17 |
| 4 | ბაია | 9 | 5 | 1 | 3 | 13 | 6 | 16 |
| 5 | ტორპედო | 9 | 5 | 1 | 3 | 9 | 6 | 16 |
| 6 | მერანი | 9 | 4 | 2 | 3 | 11 | 10 | 14 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 9 | 4 | 2 | 3 | 10 | 11 | 14 |
| 8 | დილა | 9 | 3 | 1 | 5 | 13 | 14 | 10 |
| 9 | გაგრა | 9 | 3 | 1 | 5 | 10 | 12 | 10 |
| 10 | სპარტაკი | 9 | 1 | 4 | 4 | 5 | 10 | 7 |
| 11 | კოლხეთი | 9 | 1 | 3 | 5 | 5 | 12 | 6 |
| 12 | სიონი | 9 | 0 | 2 | 7 | 3 | 18 | 2 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ტატანაშვილი (მეტალურგი) | 6 |
| ჩისკო (დინამო) | 5 |
| წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) | 4 |
| დვალი (ზესტაფონი) | 4 |
| მანწკავა (მერანი) | 4 |

## ბაია–დინამო

bwin: 3.2 3.1 2.1

22.10. ზუგდიდი ცენტრალური 15:00

ამ ტურის ცენტრალურ დაპირისპირებად ზუგდიდური მატჩი მივიჩნიეთ: სეზონის სასიამოვნო მოულოდნელობად აღიარებულმა „ბაიამ“ ქართული ფეხბურთის მარადიულ ფავორიტს „დინამოს“ უნდა უმასპინძლოს! ზუგდიდური გუნდის ასპარეზობა მხოლოდ და მხოლოდ ქებას იმსახურებს და „ბაიას“ თითოეული ფეხბურთელის გარდა მთავარი მწვრთნელის წარმატებული მუშაობაც უნდა აღინიშნოს. სხვათა შორის, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ბაიას“ მთავარი მწვრთნელი **ელგუჯა ქომეთიანი** ერთადერთია უმაღლესი ლიგის გუნდების თავკაცებს შორის, თავის პოსტს წინა სეზონის დასაწყისიდან მოყოლებული რომ ინარჩუნებს. ამას გარდა, „ბაიას“ თითქმის ყველა რგოლი მეტ-ნაკლებად თანაბრად არის დაკომპლექტებული, ამასთან, გუნდის წარმატებული ასპარეზობა მნიშვნელოვნად არის განპირობებული გამოცდილი მეკარის, 30 წლის **გიორგი სომხიშვილის** სტაბილური თამაშითაც. „დინამოს“ კი ევროტურნირების შემდეგ არასტაბილურობა „დასჩემდა“: ერთ-ორ მოგებულ მატჩს ქულების დაკარგვა უნდა მოაყოლოს ხოლმე; არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ **ალექს გარსიას** გუნდმა ამ სეზონში ვერც ერთი პრინციპული მატჩი ვერ მოიგო და ვეჭვობთ, რომ ყოველივე ამის გამო კლუბის მეპატრონეს **რომან ფიფიას** კმაყოფილების საბაბი ჰქონდეს. მით უფრო, რომ „დინამოს“ სამწვრთნელო შტაბი თუ ფეხბურთელები იმას ნამდვილად ვერ იტყვიან, სეზონის დაწყებამდე შესაბამისი პირობები არ გვქონდაო...

## გაგრა–დილა

bwin: 2.05 3.0 3.5

22.10. თბილისი მერანი (ზეემაა) 15:00

ფეხბურთში მოულოდნელობები მართლაც ხშირია: ჯერ იყო და, „გაგრას“ ჩინებულ სტარტს ვერავინ იფიქრებდა (ზედიზედ სამი გამარჯვება სეზონის დასაწყისში), შემდეგ კი საკადრო თუ „სხვა“ პრობლემების გამო გუნდს კრიზისი დაეწყო და მომდევნო ექვს შეხვედრაში მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა. აქედან გამომდინარე, ბევრისთვის მთლად „უცნაური“ არ უნდა ყოფილიყო „გაგრაში“ მომხდარი საკადრო ცვლილება: კლუბის ისტორიაში მართლაც საუკეთესო და ყველაზე წარმატებული მთავარი მწვრთნელი **ანატოლი პისკოვეცი** გუნდიდან საკუთარი სურვილით წავიდა (ყოველ შემთხვევაში, ასეთია ოფიციალური ვერსია) და მის ნაცვლად ეს საპასუხისმგებლო პოსტი სოხუმის „ცხუმის“, თბილისის „დინამოსა“ და სარატოვის „სოკოლის“ ყოფილმა ცენტრალურმა მცველმა **ზვიად ჯელაძემ** დაიკავა. ჯელაძემ წინა ტურშიც უთავკაცა „გაგრას“, მაგრამ „ზესტაფონთან“ შეხვედრაში მოვალეობის შემსრულებელი გახლდათ, აი დღეს კი უკვე ოფიციალურად მთავარი მწვრთნელის სტატუსით გამოიყვანს თავის გუნდს. ისე, ამ მატჩში ფავორიტის გამოცნობა ძნელი საქმეა, რადგან ერთმანეთს უშუალო კონკურენტები ხვდებიან და „გაგრამ“ თუ ქულების უმრავლესობა საშინაო მატჩებში მოიპოვა, „დილა“ პირიქით, სტუმრად უფრო წარმატებულად ასპარეზობს. ოღონდ, ახალგაზრდა მწვრთნელის, **გია ცეცაძის** გუნდის შედეგიანი თამაში თუ მართლაც დასაფასებელ-აღსანიშნავია, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით საკუთარი კარის უსაფრთხოდ დაცვაზე — ცხრა ტურის შემდეგ უმაღლეს ლიგაში ყველაზე მეტი გოლი „დილას“ აქვს გაშვებული.

## ვიტ ჯორჯია–ტორპედო

bwin: 2.15 3.0 3.2

22.10. მცხეთა მცხეთა-პარკი 15:00

არანაკლებ საინტერესო მატჩი გველოდება მცხეთაშიც: ახალგაზრდული „ვიტ ჯორჯია“ ჩვეული ენერგიული თამაშით ეცდება წარმატების მიღწევას; თუმცა, წინა ორი საშინაო მატჩისგან განსხვავებით **ზურაბ ბერიძის** გუნდს ამჯერად ბევრად უფრო სერიოზული მიზნების მქონე მეტოქე ჰყავს „ტორპედოს“ სახით. შეგახსენებთ, რომ არცთუ დამაჯერებელი სტარტის შემდეგ ქუთათურებმა ბოლო ოთხი შეხვედრიდან სამი მოიგეს და ერთიც ფრედ დაამთავრეს; თანაც, უკანასკნელი ორი გამარჯვება გუნდმა ახალი მწვრთნელის, **გია გეგუჩაძის** ხელმძღვანელობით მოიპოვა და ამჟამად „ტორპედო“ ლიდერთა სამეულს ცოტათიღა ჩამორჩება. ეს კი იმის „მანიშნებელი“ უნდა იყოს, რომ ამბიციური მწვრთნელი უკვე ამ სეზონშივე შეეცდება „ტორპედოსთვის“ ძველი დიდების დაბრუნებას; თუმცა ქუთათურებს მართლაც „მძიმე“ კვირა ელოდებათ: „ვიტ ჯორჯიას“ მერე „კოლხეთს“ უნდა უმასპინძლონ, შემდეგ კი ოქტომბრის მთავარი საინტრიგო მატჩიც გველოდება, როცა „ტორპედო“ სტუმრად ზესტაფონში ჩავა...

...ადრე, როცა „ტორპედო“ საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ კლუბად მიიჩნეოდა, ქუთაისელთა ყველაზე „უხერხული მეტოქე“ სწორედ „ვიტ ჯორჯია“ იყო. იგივე სიტუაცია იყო წინა სეზონშიც, როცა ოთხი დაპირისპირებიდან სამში „ვიტ ჯორჯიამ“ გაიმარჯვა, ერთი შეხვედრა კი ფრედ დასრულდა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი კი მეორე წრის მატჩი იყო, როცა **ჯაბა ლიპარტიას** ჩინებული გოლის წყალობით „ვეტერინარებმა“ სტუმრად შეძლეს „ტორპედოს“ დამარცხება.

## კოლხეთი–სიონი

bwin: 1.95 3.1 3.6

22.10. ლანჩხუთი ე.შევარდნაძე 15:00

ჩემპიონატში ერთადერთი გამარჯვება „კოლხეთმა“ 10 სექტემბერს მოიპოვა, „სიონი“ კვლავაც მოუგებლად ასპარეზობს, - სატურნირო ცხრილის ორი აუტსაიდერის დაპირისპირება, ფაქტობრივად, ექვსქულიან თამაშად უნდა „მოვნათლოთ“. საერთოდ, ბოლნისური კლუბის ქრონიკულ წარუმატებლობებს ბოლო არ უჩანს და ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ სასიკეთო ძვრებს, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, უახლოეს მომავალშიც არ უნდა ველოდოთ. „სიონს“ ჩემპიონატში ყველაზე ნაკლები გოლი აქვს გატანილი და ყველაზე მეტი გაშვებული. ასეთი მონაცემებიდან გამომდინარე, ქვემოქართლელთა ბოლო ადგილზე ყოფნა არავის უნდა გაუკვირდეს. სამაგიეროდ, ცოტა არ იყოს, უცნაური და გასაკვირია „კოლხეთის“ აშკარად არასახარბიელო მდგომარეობა, - არადა, გამოცდილი მწვრთნელის **სოსო ფილიას** გუნდს დღევანდელი მეტოქისაგან განსხვავებით არც ფინანსური პრობლემები აქვს და არც კვალიფიციური ფეხბურთელების სიმცირეს უჩივის. თუმცა, „კოლხეთის“ წარუმატებელი ასპარეზობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად, ალბათ, საშინაო მატჩების... სხვაგან ჩატარება უნდა მივიჩნიოთ: სატურნირო ცხრილში „მეზობელს“ ფოთელებმა დღესაც ლანჩხუთში უნდა უმასპინძლონ. ისე, დღევანდელ მეტოქეებს „საინტერესო“ სტატისტიკაც აქვთ: „კოლხეთს“ „საშინაო“ მატჩებში გოლი არ გაუტანია, „სიონს“ კი სტუმრად ჩატარებულ შეხვედრებში.

## მეტალურგი–მერანი

bwin: 1.53 3.5 5.75

22.10. რუსთავი ფოლადი 15:00

ამ ბოლო დროს თუ რომელიმე გუნდზე ითქმის, ჩინებულ ფორმაში იმყოფებაო, რუსთავის „მეტალურგია“ - **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდმა უკანასკნელ ორ შეხვედრაში მეტოქეთა კარში 6 გოლი გაიტანა და ზედიზედ ორი გამარჯვებით საჩემპიონო ამბიციებიც გაიმყარა. ისიც მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ უმაღლესი ლიგის გუნდებიდან საკუთარ მოედანზე საუკეთესო შედეგი სწორედ „მეტალურგს“ აქვს და ამ და კიდევ სხვა ნიუანსების გათვალისწინებით, დღევანდელ შეხვედრაში ფავორიტებად სწორედ მასპინძლები უნდა მივიჩნიოთ. „მეტალურგი“ საკმაოდ გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდია არანაკლებ გამოცდილი მწვრთნელით და არა გვგონია, რომ წინა ტურში „დინამოსთან“ სტუმრად მოპოვებული გამარჯვებით გამოწვეულმა ეიფორიამ დიდხანს გასტანოს; მით უფრო, რომ უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა „მერანმა“ უკვე რამდენჯერმე გამოაჩინა „კლანჭები“ და ახალგაზრდა მწვრთნელების, **მალხაზ ჟვანიასა** და **არჩილ ჩხაბერიძის** დამოძღვრილი გუნდი რუსთავშიც შეეცდება თავისთვის სასურველი შედეგის მიღწევას. სხვათა შორის, მასპინძლები დღევანდელ მატჩს სერიოზული საკადრო პრობლემებით ხვდებიან: დისკვალიფიკაციის გამო „მეტალურგს“ ძირითადი შემადგენლობით ორი შეუცვლელი ფეხბურთელი, **ალექსანდრე კვახაძე** და **ლუკა რაზმაძე** (ორივე 27 წლის გახლავთ) არ ეყოლება.

## სპარტაკი–ზესტაფონი

bwin: 5.15 4.0 1.5

Live რეპორტაჟი პირველ არხზე

22.10. თბილისი მ.მესხი 18:00

ერთდღიანი ტურის ყველა მატჩი 15 საათზე დაიწყება, გარდა „სპარტაკი“-„ზესტაფონისა“, რომლის პირდაპირი ტრანსლაციაც პირველ არხზე 18 საათზე დაიწყება. სატურნირო ცხრილს თუ შევხედავთ, წყვილის აშკარა ფავორიტად მოქმედი ჩემპიონი და სადღეისოდ ერთპიროვნული ლიდერი „ზესტაფონი“ უნდა მივიჩნიოთ; მით უფრო, რომ ახალგაზრდა მწვრთნელის, **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდი მართლაც მშვენიერ ფორმაში იმყოფება და ზედიზედ სამი გამარჯვებაც ამას ადასტურებს. ჩემპიონატში აბსოლუტურად განსხვავებული მიზნები აქვს „სპარტაკს“, თუმცა იმის ალბათობაც დიდია, რომ პირველი ეტაპის შემდეგ ცხინვალელები საუკეთესო 8 გუნდს შორის მოხვდნენ. გუნდში ახალი მწვრთნელის, გამოცდილი სპეციალისტის **ვლადიმერ ხაჩიძის** დაბრუნების შემდეგ „სპარტაკმა“ ქულების დაგროვებაც დაიწყო და კონკურენტებთან ჩამორჩენაც მნიშვნელოვნად შეამცირა. თუმცა, ყველა დაგვეთანხმება, რომ ფორმააკრეფილი მოქმედი ჩემპიონისათვის ქულ(ებ)ის წართმევა დღესდღეობით „სპარტაკზე“ ბევრად უფრო ძლიერ გუნდს გაუჭირდება...

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სერია A VIII ტურის წინ

# არცთუ გამორჩეული, მაგრამ საინტერესო



**დღეს**

**ფიორენტინა–კატანია 20.00**

ტრავმა: ჯილარდინომ კროლდრუპი - ლედესმა, კაპუანო, პოტენცა, ალვარესი, ლიამა, სუაზო.

**იუვენტუსი–ჯენოა 22.45**

დისკვალიფიკაცია: კალაძე (ჯენოა).
ტრავმა: ბუფონი, ჯაკერინი - ზე ედუარდო.

**ხვალ**

**ლეჩე–მილანი 14.30**

ტრავმა: დი მიკელე, დიამუტენე, ფერარიო - გატუზო, პატო, კისნლი, ფლამინი, ზეედორფი.

**რომა–პალერმო 17.00**

დისკვალიფიკაცია: კიაერი (რომა).
ტრავმა: ტოტი, სისინიო, როზი, ლობონტი, ოკაკა - დი მატეო.

**კალიარი–ნაპოლი 17.00**

ტრავმა: ერიკსონი - დონადელი, ბრიტოსი, პანდევი.

**ინტერი–კიევო 17.00**

ტრავმა: პოლი, რანოკია, კოუტინიო, ფორლანი, ვივიანი, სამუელი - სარდო, მორლეო.

**პარმა–ატალანტა 17.00**

ტრავმა: ბრაზი - ფერეირა, მანფრედინი.

**სიენა–ჩეზენა 17.00**

დისკვალიფიკაცია: მუტუ (ჩეზენა).
ტრავმა: ჩიკა, კომოტო, მარტინესი, მარტინიო, კოლუჩი (ჩეზენა).

**უდინეზე–ნოვარა 17.00**

დისკვალიფიკაცია: პინცი (უდინეზე).
ტრავმა: ბარეტო, პასკუალე - ლიზუძო, ჯორჯი, ლუდი, უიკანი.

**ბოლონია–ლაციო 22.45**

ტრავმა: ანტონსონი, დიამანტი, კრუზი - მაური.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 6 | 3 | 3 | 0 | 9-3 | 12 |
| 2. უდინეზე | 6 | 3 | 3 | 0 | 7-1 | 12 |
| 3. კალიარი | 6 | 3 | 2 | 1 | 8-5 | 11 |
| 4. ლაციო | 6 | 3 | 2 | 1 | 9-7 | 11 |
| 5. ნაპოლი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-5 | 10 |
| 6. პალერმო | 6 | 3 | 1 | 2 | 9-9 | 10 |
| 7. კიევო | 6 | 2 | 3 | 1 | 6-5 | 9 |
| 8. კატანია | 6 | 2 | 3 | 1 | 7-8 | 9 |
| 9. პარმა | 6 | 3 | 0 | 3 | 8-11 | 9 |
| 10. ფიორენტინა | 6 | 2 | 2 | 2 | 6-4 | 8 |
| 11. რომა | 6 | 2 | 2 | 2 | 7-6 | 8 |
| 12. ჯენოა | 6 | 2 | 2 | 2 | 9-8 | 8 |
| 13. მილანი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-8 | 8 |
| 14. სიენა | 6 | 1 | 3 | 2 | 4-4 | 6 |
| 15. ატალანტა | 6 | 3 | 2 | 1 | 8-7 | 5 |
| 16. ნოვარა | 6 | 1 | 2 | 3 | 10-12 | 5 |
| 17. ინტერი | 6 | 1 | 1 | 4 | 8-13 | 4 |
| 18. ბოლონია | 6 | 1 | 1 | 4 | 4-10 | 4 |
| 19. ლეჩე | 6 | 1 | 1 | 4 | 3-9 | 4 |
| 20. ჩეზენა | 6 | 0 | 2 | 4 | 2-7 | 2 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

**ბომბარდირები:** 5 - პალასიო (ჯენოა), ჯოვინკო (პარმა); 4 – დენისი (ატალანტა), დი ნატალე (უდინეზე); 3 - მიკოლი (პალერმო), მილიტო (ინტერი), ოსვალდო (რომა), რიგონი (ნოვარა), ჩერჩი (ფიორენტინა), კლოზე (ლაციო), კავანი (ნაპოლი).

სერია A-ს VIII ტურში ერთი და მით უმეტეს, რამდენიმე შეხვედრის გამორჩევა გაგვიჭირდება, რადგან დიდი გუნდების დაპირისპირებას ვერ ვიხილავთ. ვერც დერბის ვნახავთ და ვერც პრინციპული მეტოქეების დაპირისპირებას, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტური უინტერესო გამოვა...

დღევანდელი შეხვედრებიდან „იუვენტუსი-“ჯენოას“ ჯახი უნდა გამოვარჩიოთ. გენუელებმა კარგად დაიწყეს სეზონი და ერთი ხანობა სათავეშიც კი მოექცნენ ცხრილს, თუმცა შემდეგ აშკარად მოუკლეს და მეთორმეტე ადგილზე ჩამოქვეითდნენ. ამის გამო, **ენრიკო პრეციოზიმ** მთავარი მწვრთნელი, **ალბერტო მალეზანიც** კი გააკრიტიკა, რომელიც იქამდე ქებით ცაში აჰყავდა. აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ, რომ **კახა კალაძეა** დისკვალიფიცირებული და „იუვეს“ წინააღმდეგ ვერ იასპარეზებს. ეგ კი არა, ქართველ მცველს კიდევ სამი ტურის გამოტოვება მოუწევს. სხვა მხრივ, მალეზანის განსაკუთრებული პრობლემები არ აქვს და მრისხანე მეტოქეს ოპტიმალური შემადგენლობით შეერკინება.

მართალია, „იუვენტუსის“ ლაზარეთს სავსეს ვერ ვუწოდებთ, რადგან იქ მხოლოდ ორი ადამიანია, მაგრამ მათ შორის ერთი ისეთი გახლავთ, განსაკუთრებულ აღნიშვნას რომ იმსახურებს - ტრავმა თვით **ჯანლუიჯი ბუფონმა** მიიღო და „ჯენოასთან“ მატჩის გამოტოვება მოუწევს. მეორე ტრავმირებული **ემანუელე ჯაკერინი** გახლავთ, რომელიც მინიმუმ ათ დღეს იუქმებს. „გაძეტა დელო სპორტის“ ვერსიით, **ანტონიო კონტე** კვლავ ორი ფორვარდით და ორი გარემარბით შეუტევს, წინა ხაზზე **მირკო ვუჩინიჩი** და **ალესანდრო მატრი** გაირჯებიან, ფრთებიდან კი მათ **სიმონე პეპე** და **მარსელო ალეხანდრო ესტიგარიბია ბალმორი** დაეხმარებიან. ეს უკანასკნელი, რომელიც ჯობია უბრალოდ ესკიგარიბიას სახელით მოვიხსენიოთ, პარაგვაელი გარემარბი გახლავთ, „იუვეში“ პირველ სეზონს ატარებს და ძირითად შემადგენლობაში აქამდე არ უასპარეზია. ბარემ ვთქვათ, რომ 24 წლის გახლავთ და აქამდე სამხრეთამერიკულ კლუბებში ასპარეზობდა. ვნახოთ, რას იზამს პარაგვაელი და მთლიანად „იუვენტუსი“...

კვირის პირველ შეხვედრას „მილანი“ გამართავს, რომელსაც „ლეჩესთან“ უწევს გასვლითი პაექრობა. ჩვენი თქმა არ სჭირდება იმას, რომ ლომბარდიელთა ერთადერთი მიზანი სამი ქულის მოპოვებაა. სავარაუდოდ, **მასიმილიანო ალეგრი** სამი გამოკვეთილი შემტევით ითამაშებს: **ანტონიო კასანოს** და **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** უკნიდან **რობინიო** მიეხმარება. ძირითად შემადგენლობაში იქნებიან **ანტონიო ნოჩერინო**, **მარკ ვან ბომელი** და **ალბერტო აკვილანი**, ანუ ისინი, ვისაც ალეგრი ყველაზე ხშირად ენდობა. ტრავმირებულებიდან **კლარენს ზეედორფი** და **ალეშანდრე პატო** უნდა გამოვარჩიოთ, რომლებიც ასევე იმსახურებენ მწვრთნელის ნდობას. ამბობენ, „როსონერიმ“ კრიზისი დაძლიაო და ვნახოთ, რამდენად გამყარდება ეს მოსაზრება.

თითქმის გასავარდნ ზონაში მყოფი „ინტერი“ „კიევოს“ უმასპინძლებს და შეეცდება, ცოტა მაინც დაშორდეს მისთვის ასე უჩვეულო ადგილს. „ნერაძურის“ მთავარი მწვრთნელი ოპტიმისტურად არის განწყობილი და გულშემატკივრებს სამი ქულის მოპოვებას ჰპირდება - მოვუსმინოთ **კლაუდიო რანიერის**:

*„ქულების კარგვის უფლება აღარ გვაქვს და ეს კარგად უნდა გავაცნობიეროთ. „კიევო“ საკუთარ ნახევარზე გამაგრდება და შეეცდება კონტრშეტევებზე იხეიროს. ჩვენი მიზანია დიდი ძალებით შევუტიოთ, მაგრამ არც საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვა დაგვავიწყდეს. ჩემპიონთა ლიგაზე „ლილთან“ გამარჯვება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ბიჭებმა ისევ ირწმუნეს საკუთარი ძალების, რაც ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს“.*

სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე გამაგრებული „უდინეზე“ „ნოვარას“ მიიღებს, რაც ძალიან კარგი შანსია საიმისოდ, რომ პოზიციები კიდევ უფრო განიმტკიცოს. თანაც, ფრიულელები შესანიშნავ ფორმაში არიან, რაც ევროპის ლიგაზე მადრიდის „ატლეტიკოსთან“ პაექრობაშიც დაამტკიცეს. რომაულ დერბიში გამარჯვებული „ლაციო“ „ბოლონიას“ სტუმრობს და წესით, კარგი ბრძოლა უნდა გაჩაღდეს. რაც მთავარია, დედაქალაქელებს **მიროსლავ კლოზე** ჰყავთ მწყობრში, რომელსაც ტრადიციულად **ჯიბრილ სისე** შეუწყვილდება. ერთი კარგი ვეტერანი ფორვარდი „ბოლონიელთა“ რიგებშიც გვეგულება, მაგრამ ვაი რომ **მარკო დი ვაიო** მიმდინარე სეზონში ჩირადაც არ ღირს. ფავორიტი „ბიანკოჩელესტეა“, დანარჩენი კი მოედანზე გამოჩნდება.

„რომა“ „პალერმოს“ მიიღებს და ამ შეხვედრაზეც უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა. დერბიში მარცხის შემდეგ, **ლუის ენრიკე** კრიტიკის ქარცეცხლში გაახვიეს, ესპანელი წნეხშია მოქცეული და გამარჯვება ჰაერივით ესაჭიროება. „გაძეტა დელო სპორტის“ ვარაუდით, ენრიკე 4-3-3 ტაქტიკას აირჩევს და შეტევის წინა ხაზზე **პაბლო ოსვალდოს** გაამწესებს. ფლანგებზე **ბოიან კრკიჩი** და **ერიკ ლამელა** გაირჯებიან - განსაკუთრებით საინტერესო სწორედ ამ უკანასკნელის გამოჩენა იქნება, რომელსაც მისთვის უჩვეულო ადგილზე მოუწევს ასპარეზობა. დიახ, ლამელა არგენტინაში კლასიკური პლეიმეიქერი გახლდათ და რამდენად კარგად გაართმევს თავს გარემარბის მოვალეობებს, რთული სათქმელია.

„პალერმოს“ პრეზიდენტმა **მაურიციო ძამპარინიმ** გუნდის მთავარი მწვრთნელი, **დავიდე მანჯა** გააკრიტიკა, ეს კი სახუმარო ამბავი ნამდვილად არ გახლავთ. წესით, მანჯა შეშფოთებული უნდა იყოს და ბიჭებს გამარჯვებაზე თუ არა, ქულაზე მაინც გეშავდეს - ამბობენ, რომ **ფაბრიციო მიკოლი** დარჩება სათადარიგოთა სკამზე, შემტევ ტრიოს კი **ილიჩიჩი**, **პინილია** და **ერნანდესი** შეადგენენ.

**ლაშა წიკლაური**

● კვირის ფრაზები და მოვლენები

### რუნის შეცვლა შემიძლია

„ტოტენჰემ ჰოთსპურის“ თავდამსხმელი **ჯერმაინ დეფო** ამბობს, რომ სამი სანაკრებო მატჩით დასჯილი **უეინ რუნის** სრულფასოვნად შეცვლა თავისუფლად ძალუძს. შეგახსენებთ, რომ რუნიმ ევრო2012-ის შესარჩევი ეტაპის ბოლო შეხვედრაში არასპორტული საქციელის გამო წითელი ბარათი დაიმსახურა და პლუს ამას, ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპს გამოტოვებს. 29 წლის დეფომ, რომელსაც 2004 წლიდან მოყოლებული ინგლისის ნაკრებში 46 შეხვედრაში 15 გოლი აქვს შეგდებული, თქვა: *„როცა ფორმაში ვარ, ნებისმიერი სიტუაციიდან გოლის გატანა შემიძლია. მეწყინა, ჩერნოგორიასთან მატჩის განაცხადში რომ ვერ მოვხვდი, თუმცა ამით ენთუზიაზმი არ გამნელებია. პირიქით, სტიმული უფრო მომემატა. ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ გაისად ევროპის ჩემპიონატზე ძირითად შემადგენლობაში ვიყო — მე რუნის შეცვლა შემიძლია“.*

### ჩემპიონები ჩვენ გავხდებითო...

მიუნხენის „ბაიერნი“ ბუნდესლიგაში შეუჩერებელია — მას შემდეგ, რაც პირველ ტურში „კაიზერსლაუტერნთან“ 0:1 დამარცხდნენ, სულ იგებენ და თან, პლუს ამას, 14 შეხვედრაში მანუელ ნოიერს მხოლოდ ერთი ბურთი აქვს გაშვებული, სწორედ პირველ ტურში წაგებულ მატჩში. გუნდის ამბიციებზე და საჩემპიონო შანსებზე ერთ-ერთი მთავარი დამრტყმელი ძალა, **მარიო გომესი** საუბრობს: *„ჩვენ ძალიან მაგრად გამოვიყურებით. თუ ასე გავაგრძელეთ, „ვერცხლის სინს“ უეჭველად ჩვენ დავისაკუთრებთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გუნდის 8 ფეხბურთელი გერმანიის ნაკრებში თამაშობდა, მაინც არ დაგვიგდია ტემპი“.*

### რა შუაშია მსაჯი?

მილანის „ინტერი“ ამ სეზონში თავის თავს არა ჰგავს — სერია A-ში გამართული შვიდი შეხვედრიდან გუნდს მოგება არ აქვს და ბოლო ტურში „კატანიასთან“ 2:1 დამარცხდა, არადა, იგებდა **ესტებან კამბიასოს** გოლით, თუმცა მაინც დამარცხდნენ. **ხავიერ ძანეტიმ** განაცხადა: *„არ შეიძლება წაგება მსაჯს დააბრალო, როცა ეს მეშვიდე შეხვედრიდან უკვე მეოთხე მარცხია. ასე არ შეიძლება, რაიმე უნდა ვიღონოთ, რათა სიტუაცია გამოვასწოროთ“.*

### ერთ რამედ ღირდა

მადრიდის „რეალის“ ბრაზილიელმა ნახევარმცველმა **რიკარდო კაკამ** „ბეტისთან“ (4:1) მოგებულ მატჩში ერთ-ერთი გოლი გაიტანა და თან, ულამაზესი. ამ გოლით გახარებულმა პრესასთან საუბრისას თქვა: *„ერთ რამედ ღირდა ის გრძნობა, რაც შეცვლისას და მოედნიდან გასვლისას განვიცადე, მთელი „სანტიაგო ბერნაბეუ“ ტაშით მაცილებდა — ეს ენითაუწერელი გრძნობაა, რომელსაც ვერ გადმოვცემ“.*

### კვირის მატჩი

პრემიერლიგის მე-8 ტურში „ენფილდ როუდზე“ „ლივერპულმა“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ უმასპინძლა და 1:1 დაასრულა შეხვედრა. ანგარიში **სტივენ ჯერარდმა** გახსნა უზადოდ შესრულებული საჯარიმო დარტყმით, ხოლო შემდეგ კი **ხავიერ ერნანდესმა** გოლი გაიტანა და ამით „იუნაიტედი“ „ენფილდზე“ ბოლო ოთხი ვიზიტის მარცხით დასრულებისგან იხსნა — ასეთი რამ ბოლოს 1979 წელს მოხდა. ჩვენ კი ამ ინგლისური ფეხბურთის ერთ-ერთ კლასიკას კვირის მატჩად ვასახელებთ.

### კვირის გმირი

კვირის გმირი კი **ფერნანდო ტორესია**, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მესამე ტურში „გენკის“ (5:0) წინააღმდეგ ორი გოლი შეაგდო და კიდევ დაამტკიცა, რომ უფრო და უფრო ათამაშდა. აღსანიშნავია, რომ მეორე გოლი საკმაოდ ეფექტური გამოუვიდა — დაახლოებით 13 მეტრიდან დაარტყა თავით და ბურთი ბადეში მოათავსა.

**გიორგი ფულარიანი**



ელექტრონული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

ლიგა 1. XI ტურის წინ

# კორსიკელთა მეორე ბასტიონი

| დღეს | |
|---|---|
| ბორდო-ბრესტი | 21:00 |
| კანი-მონპელიე | 21:00 |
| მარსელი-აიაჩო | 21:00 |
| ნანსი-ნიცა | 21:00 |
| სტ. ეტიენი-ვალანსიენი | 21:00 |
| სოშო-ევიანი | 21:00 |
| ლორიანი-ტულუზი | 23:00 |
| **ხვალ** | |
| ოსერი-რენი | 19:00 |
| პარი სენ-ჟერმენი-დიჟონი | 19:00 |
| ლილი-ლიონი | 23:00 |

"აიაჩოს" ზედიზედ მეორე ტურია რთული გამომცდელი ჰყავს. ლიგა 1-ის უმთავრეს ფავორიტ "პარი სენ-ჟერმენთან" კორსიკელებმა თამაში ულაპარაკოდ ჩააგდეს. ახლა მათ "ველოდრომზე" ცუდ ფორმაში მყოფ, მაგრამ გამგელებულ "მარსელთან" ელით დაპირისპირე-



კევინ გამეირონ ლამის მოყვარულ მცველებთან ქიდილი მოუწევს

ბა. მასპინძლებს მოგება ახლა იმაზე მეტად უნდათ, ვიდრე ოდესმე, რადგან **დიდიე დეშამის** გუნდს 10 ტურში ერთადერთი მოგება აქვს და ჩემპიონატის ლიდერს უკვე 14 ქულით ჩამორჩება, რაც მათ საჩემპიონო ამბიციებს მსუყე კითხვის ნიშანს უსვამს. პროვანსელებს წინა ტურში ცუდად არ უთამაშიათ, მაგრამ "ტულუზს" ქულის მეტს მაინც ვერაფერს გამორჩნენ. თუმცა ვინ იცის, რომ არა **შარლ კაბორეს** გაძევება, იქნება მოსაგებადაც კი ებრძოლა. ვიცე-ჩემპიონებივით 6 ფრე აქვს ჩემპიონატში "ოსერს", მათზე მეტი კი მხოლოდ "ბრესტს" – 8. "იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ 32 წუთი კაცნაკლულები ვთამაშობდით, მე-10 ტურში აღებული ქულა ნორმალური იყო. მინდოდა, ცოტა მეტი ფანტაზია გამოგვეჩინა, მაგრამ არა უშავს. ფეხბურთელები ერთმანეთს გვერდში კარგად უდგნენ. ჩემს გუნდს დიდი პოტენციალი აქვს, რაც დავამტკიცეთ, მაგრამ რიგი ფაქტორების გამო ვერ გამოვიყენეთ და საბოლოო შედეგიც ვერ მივიღეთ," – აცხადებს დეშამი.

"ტულუზთან" მატჩმა ის ტენდენციები გამოკვეთა, რაც დღეს "მარსელს" ყველაზე მეტად აწუხებს. გუნდის დაცვას კიდევ არა უშავს. აი, თავდასხმა კიდევ მართლა საშინელებაა. მხოლოდ "ბრესტმა" (8) და "ნანსიმ" (7) გაიტანეს უფრო ცოტა გოლი ჩემპიონატში, ვიდრე "მარსელმა", რაც შეუძლებელია, გუნდის სამწვრთნელო შტაბს არ აღელვებდეს. არადა სეზონი პირიქით იწყებოდა, "ლილთან" სუპერთასის შეხვედრაში თავდასხმა ბრწყინავდა - 5 გოლი გაიტანა, დაცვა კი მოიკოჭლებდა – 4 ბურთი გაუშვა. დეშამს აქვს იმედი, რომ "აიაჩოსთან" გუნდს საუკეთესო ფეხბურთელი **მატიე ვალბუენა** დაუბრუნდება. ტანმორჩილმა ნახევარმცველმა მცირე ტრავმის გამო "ტულუზთან" შეხვედრა გამოტოვა. მასპინძლებს გამარჯვების იმედს ისიც აძლევს, რომ "აიაჩომ" "ველოდრომზე" 8 ვიზიტიდან ხუთჯერ წააგო, გამარჯვებით კი მხოლოდ ერთხელ იმარჯვა.

კორსიკაზე შესრულებული ჰეთთრიკის შემდეგ, როგორც **კევინ გამეირო** ამბობს, სერიოზულად იწყებს ბრძოლას ბომბარდირთა დავაში გასამარჯვებლად, სადაც ის აქამდე ორჯერ ჩაერთო და ორჯერვე დამარცხდა. 2010-ში ტიტული **მამადუ ნიანგთან** წააგო, 2011-ში - **მუსა სოუთან**. მე-11 ტურში მას მშვენიერი შანსი აქვს, კიდევ უფრო დაწინაურდეს, რადგან "დიჟონი" ის გუნდი არ არის, ვინც მყარი დაცვით გამოირჩევა, მით უფრო გასვლით შეხვედრებში, სადაც 5 მატჩში 12 ბურთი აქვს გაშვებული. "სასიამოვნო იყო საფრანგეთის ნაკრების წარმატების შემდეგ კლუბში დაბრუნება და უმალ ჰეთთრიკის შესრულება. გოლები ფილიპო ინძაგის სტილში გავიტანე. თანაც სამივე ერთმანეთს ჰგავდა. ძალიან მიყვარს დაცვის ზურგს უკან ბურთის მიღება და თავის ასე გამოჩენა. გპირდებით, რომ სეზონის განმავლობაში ასეთ გოლებს კიდევ ნახავთ". შეგირდს აქებს **ანტუან კომბუარეც**: "გამეირო მენტალურად ძალიან ძლიერია, რადგან საკუთარ ძალებში ეჭვი არასოდეს ეპარება. კევინი მრისხანე თავდამსხმელია, რომელიც სიტუაციას ზედმიწევნით გრძნობს".

ზემოთაც ვთქვით, "დიჟონი" ძლიერი დაცვით არ გამოირჩევა-თქო. ამის დასტური იყო თუნდაც წინა ტურში "მონპელიესთან". მატჩი, სადაც სტუმრები 2:0-ს იგებდნენ და საბოლოოდ 5:3 დამარცხდნენ. ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა **პატრის კარტერონის** შეგირდები 90 წუთში 5 ბურთს უშვებენ. 1-ელ ტურში მათ ანალოგიური რამ შეემთხვათ შინ "რენთან" (1:5). "მთელი კვირა ვაანალიზებდი "მონპელიესთან" გაშვებულ ბურთებს. ისეთ შეცდომებს, რაც ჩვენ ჩავიდინეთ, მე-8 ლიგის გუნდი თუ უშვებს. დიახ, ეს ძალიან მტკივნეული იყო. ვფიქრობ, ამ დროში სათანადოდ ვიმუშავეთ, რომ მეტად ასეთი რამე აღარ გავიმეოროთ. აღნიშნულ შეხვედრაზე მეტ კომენტარს აღარ გავაკეთებ. ახლა მოქმედების დროა, ჩვენს ნაბიჯებში კი ჩვენ რადიკალურები უნდა ვიყოთ," – ამბობს პატრის კარტერონი.

დაბოლოს, კვირას, ჩვენი დროით 23:00-ზე ტურის უმთავრესი დაპირისპირება გაიმართება. ჩემპიონი "ლილი" მესამეადგილოსან "ლიონს" უმასპინძლებს. ჩემპიონობის პრეტენდენტთა დაპირისპირება ბუნებრივ ინტერესს იწვევს. თანაც ჩემპიონთა ლიგაში ორივე გუნდმა წააგო და გულშემატკივართა წინაშე მათ რეაბილიტაცია მართებთ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 10 | 7 | 2 | 1 | 19-8 | 23 |
| 2. მონპელიე | 10 | 6 | 2 | 2 | 22-14 | 20 |
| 3. ლიონი | 10 | 6 | 2 | 2 | 17-10 | 20 |
| 4. ლილი | 10 | 5 | 4 | 1 | 18-11 | 19 |
| 5. რენი | 10 | 5 | 3 | 2 | 20-14 | 18 |
| 6. ტულუზი | 10 | 5 | 3 | 2 | 12-10 | 18 |
| 7. ლორიანი | 10 | 4 | 4 | 2 | 12-9 | 16 |
| 8. კანი | 10 | 4 | 3 | 3 | 14-12 | 15 |
| 9. სტ. ეტიენი | 10 | 3 | 4 | 3 | 10-13 | 13 |
| 10. ოსერი | 10 | 2 | 6 | 2 | 16-14 | 12 |
| 11. სოშო | 10 | 3 | 3 | 4 | 16-22 | 12 |
| 12. დიჟონი | 10 | 3 | 2 | 5 | 11-20 | 11 |
| 13. ნიცა | 10 | 2 | 4 | 4 | 11-10 | 10 |
| 14. ვალანსიენი | 10 | 2 | 3 | 5 | 12-12 | 9 |
| 15. მარსელი | 10 | 1 | 6 | 3 | 10-12 | 9 |
| 16. ბრესტი | 10 | 0 | 8 | 2 | 8-10 | 8 |
| 17. ევიანი | 10 | 1 | 5 | 4 | 10-15 | 8 |
| 18. ბორდო | 10 | 1 | 5 | 4 | 11-17 | 8 |
| 19. აიაჩო | 10 | 1 | 4 | 5 | 10-20 | 7 |
| 20. ნანსი | 10 | 0 | 5 | 5 | 7-13 | 5 |

შესაძლო ტრანსფერი

# უარი ეშმაკებს

ლისაბონის "სპორტინგის" ჰოლანდიელი თავდამსხმელის, 22 წლის **რიკი ვან ვოლფსვინკელის** აგენტმა **ლუდოვიკ ლაროსმა** უარყო ხმები, თითქოს მისი კლიენტი იანვარში "მანჩესტერ იუნაიტედში" აპირებს გადასვლას. ჰოლანდიელი შემტევი "სპორტინგში" აგვისტოში გადავიდა და ჩემპიონატის 7 შეხვედრაში 6 გოლი გაიტანა.



"ალისფერი ეშმაკები" ფეხბურთელს უკვე რამდენიმე წელია აკვირდებიან. ინგლისელებს **კრიშტიანო რონალდოსა** და **ლუიშ ნანის** ტრანსფერების შემდეგ "სპორტინგთან" მჭიდრო კავშირები აქვთ. ჭორების საფუძველიც ალბათ ეს გარემოება გახდა. არა, ინგლისელთა ინტერესი თითიდან გამოწოვილი სულაც არ არის. მეტიც, სერ **ალექს ფერგიუსონის** თანაშემწე **მაიკ ფელანი** "სპორტინგის" მატჩს რამდენჯერმე სწორედ რიკიზე დასაკვირვებლად დაესწრო. სწორედ მან განაცხადა, არ არის გამორიცხული, ლისაბონელებს ტრანსფერზე იანვარშივე დაველაპარაკოთო. "რიკი ძალიან კარგად შეეწყო "სპორტინგს". მას ეს ქალაქიც შეუყვარდა და კლუბიც ძალიან მოსწონს. საქმეები კარგად მისდის. "იუნაიტედის" ინტერესზე მსმენია, მაგრამ ის, რომ ტრანსფერი იანვარშივე შედგება, მხოლოდ ხმ[illegible] მეტი არაფერი. გარწმუნებთ, აღნიშ[illegible]ლ თემაზე ჯერ არავისთან მილაპარაკია. ნორმალურია, როცა ვოლფსვინკელის კალიბრის ფეხბურთელს ამა თუ იმ კლუბთან აკავშირებენ, რადგან პორტუგალიის ჩემპიონატს ბევრი ადევნებს თვალყურს, თანაც დიდი სიამოვნებით. სკაუტები ამ ქვეყანაში ყოველთვის საუკეთესო ფეხბურთელებს პოულობენ," – განაცხადა ლუდოვიკ ლაროსმა.

ამბები



## ვან მარვიიკი ეინდჰოვენში?

ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, 59 წლის **ბერტ ვან მარვიიკი** გულწრფელად ამბობს, ის ტიპაჟი არ ვარ, ერთ ადგილზე მუშაობა ძალიან დიდხანს რომ შემეძლოსო. ის "ნარინჯისფრებს" სათავეში 2008 წლიდან უდგას. 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ კი კონტრაქტის ვადა ეწურება და მის გახანგრძლივებას არც აპირებს. 4 წლის შემდეგ ის მზადაა, ახალი სამუშაოს ძებნას შეუდგეს. მიუხედავად დადებითი შედეგებისა, თავის მხრივ ამჟამინდელი მწვრთნელის მუშაობით მაინცდამაინც აღფრთოვანებული არ ჩანს "ეინდჰოვენი". პსვ სეზონის ბოლოს **ფრედ რუტენს** ალბათ გამოეთხოვება კიდეც. ჰოლანდიური „ფუტბოლ ინტერნეშენელის" ცნობით, ფილიპსელები რუტენის ადგილას სწორედ ვან მაარვიკის კანდიდატურას განიხილავენ.

## ვან ბასტენი არ დაბრუნდება

"აიაქსის" დირექტორთა საბჭოს სახელით **იოჰან კრუიფი** მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდას, 47 წლის **მარკო ვან ბასტენს** კლუბის სპორტული დირექტორის პოსტს სთავაზობდა. მარკომ მოსაფიქრებლად რამდენიმე დღე ითხოვა. აიაქსელებისდა სამწუხაროდ, ვან ბასტენმა ამსტერდამში დაბრუნებაზე თავაზიანი უარი განაცხადა. მან ეს ჟურნალისტებს პირადად დაუდასტურა. "აიაქსთან" მოლაპარაკება გავმართე. მათი წინადადება საკმაოდ მომხიბლავი იყო, მაგრამ კონკრეტულ დეტალებზე ვერ შევთანხმდით. ასე რომ, ამსტერდამში ტყუილად ნულა დამელოდებიან," – განუცხადა მან "დე ტელეგრააფს".

## ჩელსი ფავორიტია

"ლილის" საფეხბურთო აკადემიის რექტორმა **ჟან-მიშელ ვანდამმა** საინტერესო განცხადება გააკეთა. მისი თქმით, **ედენ აზარის** გადასაბირებლად რამდენიმე კლუბი ერთდროულად იბრძვის, ამ რბოლას კი ერთი ფავორიტი ჰყავს – "ჩელსი". "უპირველესად მინდა ვთქვა, რომ ედენი სულაც არ არის წინააღმდეგი, თუკი "ლილში" სეზონის ბოლომდე დარჩება, მაგრამ... საკითხი ასე მარტივად არ დგას. ყველაზე აქტიურად ინტერესს "ჩელსი" გამოხატავს. ამ ეტაპზე ესპანური გრანდები ჩუმად არიან, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ისინი მხოლოდ დროს უცდიან და თავიანთ წინადადებას აუცილებლად შემოგვთავაზებენ. არ ვგულისხმობ მხოლოდ "რეალსა" და "ბარსელონას". მყიდველს კარგა გვარიანად მოუწევს ჯიბეზე ხელის გაკვრა. კლუბი აზარს ყველაზე ცოტა 40 მილიონ ევროდ თუ გაყიდის. ხოლო თუკი სერიოზული კონკურენცია იქნა, შეიძლება მისი ფასი კიდევ გაიზარდოს," – თქვა ვანდამმა.

## ლიონი ნაგებაზე მუშაობს

მიუხედავად იმისა, რომ "ლიონის" პრეზიდენტის **ჟან-მიშელ ოლას** თქმით, კლუბი სულ უფრო მეტ საქმიან პარტნიორს პოულობს, კლუბის დავალიანება სულ უფრო იზრდება. ამას მოწმობს დამოუკიდებელი აუდიტორული შემოწმება, რომლის თანახადაც "ლიონის" წლიური ბიუჯეტი ბოლო 1 წლის განმავლობაში 3,5%-ით შემცირდა და ახლა 154,6 მილიონს შეადგენს. ამას არც თავად კლუბის წარმომადგენლები უარყოფენ. "ლიონმა" 2010 წელი 28 მილიონი ევროს წაგებით დაასრულა, რაც მნიშვნელოვნად მცირეა 2009 წლის ზარალზე, როცა უარყოფითმა ბალანსმა 35,6 მილიონი შეადგინა.

## მოხუცი ბექსი

**ზინედინ ზიდანმა** "პარი სენ-ჟერმენში" **დევიდ ბექჰემის** შესაძლო ტრანსფერზე გააკეთა კომენტარი. მისი თქმით, პარიზული კლუბის ხელმძღვანელობა ცოტა ფრთხილად უნდა იყოს, როცა **დევიდ ბექჰემს** 2-წლიან კონტრაქტში 9 მილიონი ევროს გასამრჯელოს სთავაზობს. ეს სერიოზული რისკია, რადგან ჩემი მეგობარი უკვე ასაკშიაო. "მე მისი კონდიციები კი არა, ასაკი მაშფოთებს. ის 36 წლის არის და საკუთარ თავს რამდენიმე კითხვა აუცილებლად უნდა დაუსვას. ეს ფაქტორი აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ასევე კლუბმაც. თუმცა ეს მათი გადასაწყვეტია. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ დევიდის პროფესიონალიზმში არასოდეს შემპარვია ეჭვი. ის ყოველ ვარჯიშს განსაკუთრებულად უდგებოდა".

## ირანელი და ნარკოტიკი

ირანის ნაკრების ფეხბურთელი **ამუ ჰასანი** იტალიურმა პოლიციამ მილანის აეროპორტში დააკავა. საბუთებიდან ირკვევა, რომ ის რამდენიმე დღით ადრე ჯერ ამსტერდამში იყო, შემდეგ კი ლონდონში. დაკავებისას მას ჩანთაში ზაფხულის ღია ფეხსაცმელსა და ყურანში გადამალული 690 გრამი კოკაინი აღმოაჩნდა. კარაბინერების თქმით, ამოღებული ნარკოტიკი შავ ბაზარზე 250 ათასი ევროს ღირებულებისაა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანია. ბუნდესლიგა. X ტურის წინ

# დორტმუნდისგან რეაქციას ველით!

## ბაიერნი ჰანოვერშიც გაილაღებს?

**გუშინ**

| | |
|---|---|
| **აუგსბურგი-ვერდერი** | **1:1** |

**დღეს**

**ბორუსია (დ)–კიოლნი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** პერიშიჩი (ბორუსია დ)
**ტრავმა:** კოხი, ოვომოიელა, ზიდანი – ვარვოდიჩი, ანდრეზინიო, ჟერომელი, მაკენა, პეტიტი

**ნიურნბერგი–შტუტგარტი 17:30**

**ტრავმა:** რაკოვსკი, რ. შეფერი, ნილსონი, პინოლა, დიდავი, აიგლერი – ბიჩაქჩიჩი, დელპიერი, ნიდერმაიერი, აუდელი, შიბერი

**კაიზერსლაუტ.–ფრაიბურგი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** როდნი (კაიზერსლაუტერნი)
**ტრავმა:** შიმუნეკი - მუიჯა

**ჰოფენჰაიმი–ბორუსია (მ) 17:30**

**ტრავმა:** შტარკე, გულდე, იაისლე, სალიჰოვიჩი, ვაისი – ბობადილია, დე კამარგო

**ჰერტა–მაინცი 17:30**

**ტრავმა:** კარიუსი, გოპკო, შიონჰაიმი, სვენსონი, სალაი (ორივე მაინცი)

**ჰამბურგი–ვოლფსბურგი 20:30**

**ტრავმა:** შტეპანეკი, არსლანი, კასტელენი, ილიჩევიჩი - მადლუნგი

**ხვალ**

**ლევერკუზენი–შალკე 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** კასტრო – ფერმანი
**ტრავმა:** ბარნეტა, ორტეგა, ადლერი, რენატო – ჰუგლანდი, ყენია, ფერმანი

**ჰანოვერი–ბაიერნი 19:30**

**ტრავმა:** მილერი, რადლინგერი, ანდრეასენი, კარლიტოსი – ბრენო, რობენი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 9 | 7 | 1 | 1 | 25:1 | 22 |
| 2. ბორუსია (მ) | 9 | 5 | 2 | 2 | 11:6 | 17 |
| 3. ვერდერი | 10 | 5 | 2 | 3 | 17:13 | 17 |
| 4. ბორუსია (დ) | 9 | 5 | 1 | 3 | 15:7 | 16 |
| 5. შტუტგარტი | 9 | 5 | 1 | 3 | 14:6 | 16 |
| 6. შალკე | 9 | 5 | 0 | 4 | 18:15 | 15 |
| 7. ჰანოვერი | 9 | 4 | 3 | 2 | 11:12 | 15 |
| 8. ლევერკუზენი | 9 | 4 | 2 | 3 | 12:13 | 14 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 9 | 4 | 1 | 4 | 12:9 | 13 |
| 10. კიოლნი | 9 | 4 | 1 | 4 | 15:18 | 13 |
| 11. ჰერტა | 9 | 3 | 3 | 3 | 12:13 | 12 |
| 12. ვოლფსბურგი | 9 | 4 | 0 | 5 | 11:16 | 12 |
| 13. ნიურნბერგი | 9 | 3 | 2 | 4 | 10:12 | 11 |
| 14. კაიზერსლაუტ. | 9 | 2 | 2 | 5 | 7:13 | 8 |
| 15. მაინცი | 9 | 2 | 2 | 5 | 12:19 | 8 |
| 16. აუგსბურგი | 10 | 1 | 5 | 4 | 8:17 | 8 |
| 17. ფრაიბურგი | 9 | 2 | 1 | 6 | 14:24 | 7 |
| 18. ჰამბურგი | 9 | 2 | 1 | 6 | 11:21 | 7 |

**ბომბარდირები:** 10 – გომესი (ბაიერნი); 8 – ჰუნტელაარი (შალკე); 7 – სისე (ფრაიბურგი); 6 - აბდელაუ (ჰანოვერი), პისარო (ვერდერი), პოდოლსკი (კიოლნი); 5 – ლევანდოვსკი (ბორუსია დ), მანჯუკიჩი (ვოლფსბურგი).

გერმანიაში ყველა და ყველაფერი ისევ „ბაიერნის" გარშემო ტრიალებს – ყველა იმის მოლოდინშია, როდის დაკარგავს რეკორდმაისტერი ქულებს, რათა მდევრებს მიახლოების შანსი გაუჩნდეთ. არადა, მიუნხენური გრანდის მდევართაგან ვერცერთი ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე. 9 ტურის შემდეგ მეორე ადგილზე მყოფ „გლადბახს" სათვალავში ჯერაც არავინ აგდებს, რაც ლოგიკურიცაა და ამ ეტაპზე ყველას ისევ „დორტმუნდის" იმედი აქვს, რომელიც მესამე პოზიციაზეა. არადა, მოქმედი ჩემპიონიც ვერ დგას თავის სიმაღლეზე – მართალია, „ბორუსიამ" ბუნდესლიგაში მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოისწორა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში წარუმატებლობები **იურგენ კლოპის** გუნდს მაინც დაღს ასვამს. მიონხენგლადბახელებს ამ ტურში ჰოფენჰაიმთან გასვლით მატჩში მოუწევთ იმის დამტკიცება, რომ სათვალავში ჩასაგდებები არიან, დორტმუნდელები კი კარგ ფორმაში მყოფ „კიოლნს" მასპინძლობენ. ამ ტურის საინტერესო მოვლენაა **ტორსტენ ფინკის** დებიუტი „ჰამბურგის" მწვრთნელის რანგში (ვოლფსბურგთან), „ლევერკუზენი" ხვალ „შალკეს" უმასპინძლებს, ხოლო თვით „ბაიერნი" კი ჰანოვერში ჩადის.

### დორტმუნდი: სრული კონცენტრაცია ბუნდესლიგაზე

საბერძნეთში ნაგებული თამაშის შემდეგ, რომლის წყალობითაც გერმანიის ჩემპიონს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გასვლის შანსი საგრძნობლად შეუმცირდა და მხოლოდ თეორიულიღა ეთქმის, დორტმუნდის „ბორუსია" ვალდებულია, ბუნდესლიგაში პროგრესი განაგრძოს. ფაქტია, რომ წინა ტურში „ვერდერთან" გამარჯვებამ კლოპის გუნდი საჩემპიონო მარათონში დააბრუნა, დღეს კი „შავ-ყვითლებს" „კიოლნთან" ექნებათ საქმე. კლოპი **ივან პერიშიჩს** ვერ გამოიყენებს – ხორვატი „ვერდერთან" გააძევეს და დისკვალიფიცირებულია. თავის მხრივ, საკმაოდ კარგ ფორმაშია „კიოლნიც", რაც „თხებმა" წინა ტურში, „ჰანოვერთან" გამარჯვებით (2:0) დაამტკიცეს. შესანიშნავად გამოიყურება გუნდის ლიდერი **ლუკას პოდოლსკი**, რომელმაც ხსენებულ მატჩში დუბლი შეასრულა და იმდენი მოახერხა, რომ მწვრთნელისგან საუკეთესო ეპითეტები დაიმსახურა – **სტალე სოლბაკენმა** კვირის დასაწყისში „პრინცი პოლდი" თვით **ლეო მესის** შეადარა. ყოველ შემთხვევაში, ასე თქვა: პოდოლსკი „კიოლნისთვის" იგივეა, რაც მესი „ბარსელონასთვისო". აღსანიშნავია, რომ „თხების" ფლანგის მცველმა **ანდრეზინიომ** უმძიმესი ტრავმა მიიღო და გერმანიის ჩემპიონატის პირველი წრე მისთვის უკვე დამთავრებულია.

### შტუტგარტი ნიურნბერგში, ფრაიბურგს უჭირს

ტრავმიანობაა „ნიურნბერგშიც". ფრანკებს ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურა, **აიგლერი** დაუშავდათ – ეს უკანასკნელი ვოლფსბურგში 1:2-ზე წაგებულ შეხვედრაში გოლის გატანის შემდეგ მოედნიდან საკაცით გაიყვანეს. ზოგადად, „ნიურნბერგი" ფორმიდან ამოვარდა – ფრანკებმა სეზონი კარგად დაიწყეს, მაგრამ აგერ უკვე ოთხი ტურია, არ მოუგიათ. ახლა კი კარგ ფორმაში მყოფ „შტუტგარტს" მასპინძლობენ. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ნიურნბერგს" მომდევნო ტურში „ბაიერნთან" ბავარიული დერბის სახით ურთულესი თამაში ელის. „შტუტგარტში" კი შესანიშნავი განწყობაა: **ბრუნო ლაბადიას** ბიჭებმა წინა ტურში „ჰოფენჰაიმი" 2:0 დაამარცხეს და საუკეთესო ოთხეულში მოკალათდნენ. თვალშისაცემია შვაბთა სტაბილურობა დაცვაში: „შტუტგარტს" „ბაიერნის" შემდეგ ყველაზე ძლიერი უკანა ხაზი ჰყავს.

„კაიზერსლაუტერნისა" და „ფრაიბურგის" დუელი გადარჩენისთვის ბრძოლაა. „ეშმაკებმა" ერთი კვირის წინ „შალკეს" დამარცხება (2:1 გელზენკირხენში) მოახერხეს და ძალიან კარგ ხასიათზე არიან, „ფრაიმ" კი კონკურენტ „ჰამბურგთან" წააგო და ბოლოსწინა ადგილზე დამკვიდრდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბრაისგაუელებს ამ სეზონში სტუმრად ოთხ თამაშში ოდენ ქულა აქვთ მოპოვებული.

### დამაინცა: რა შეუძლია გლადბახს?

ექსპერტების საკმაოდ დიდი ნაწილი „ჰოფენჰაიმისა" და „გლადბახის" დაპირისპირებას ტურის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო მატჩად მიიჩნევს, რადგან „ჰოფე" ის გუნდია, რომელსაც ნებისმიერის გამწარება შეუძლია, „ბაიერნს" კი 2 ქულა დაატოვებინა. მიონხენგლადბახელები ჯერ კიდევ სენსაციურად კარგად თამაშობენ და მეორე ადგილზე არიან. „ჰოფე" წინა ტურში „შტუტგარტთან" დამარცხდა (0:2) და თანაც, „სოფლელებს" უკვე სამი თამაშია, გოლი არ გაუტანიათ. მთავარ მწვრთნელ **ჰოლგერ სტანისლავსკის** ახლა გოლეადორ **ვედად იბიშევიჩის** იმედი აქვს, რომელიც ბოლოს და ბოლოს გამოჯანმრთელდა და სავარაუდოდ ძირითად შემადგენლობაში იქნება. „გლადბახს"



ლაიტნერი და კლოპი საბერძნეთში განცდილი მარცხის შემდეგ: დორტმუნდის ბორუსია გერმანულ ფეხბურთს ჩემპიონთა ლიგაში ჯერჯერობით არცხვენს

წინა ტურში „ლევერკუზენი" უნდა დაემარცხებინა და დაამარცხებდა კიდეც, გუნდის ლიდერ **მარკო როისს** არაერთი რეალური საგოლე მომენტი რომ არ გაენიავებინა – შედეგად, მატჩი 2:2 დამთავრდა. „გლადბახი" ოფიციალურად „ბაიერნის" ნომერ პირველი მდევარია და რაც დრო გადის, მით უფრო მძიმე წნეხის ქვეშ ექცევა, თუმცა **ლუსიენ ფავრის** შეგირდები ჯერჯერობით თავისუფლად თამაშობენ. მიონხენგლადბახელებს ორი საკადრო პრობლემა აქვთ: თავდამსხმელები **დე კამარგო** და **ბობადილია** ტრავმირებულები არიან.

„ჰერტა" მიუნხენში უშანსოდ იყო და 0:4 დამარცხდა, თუმცა ბერლინელებმა ისედაც დაგეგმილი წაგება უკვე დაივიწყეს და ახლა საშინელ ფორმაში „მაინცთან" სამი ქულის მოპოვებით, წარმატებულ გზაზე დაბრუნებას გეგმავენ. *„ამ ტურში აუცილებლად კარგად უნდა ვითამაშოთ და გულშემატკივრებს ვაჩვენოთ, რომ „ბაიერნთან" მხოლოდ იმიტომ გავნადგურდით, რეკორდმაისტერი ძალიან კარგ ფორმაში რომ არის,"* - ეს **ლევან კობიაშვილის** თანაგუნდელის, **პატრიკ ებერტის** სიტყვებია. უკეთ თამაში და წარმატებულ გზაზე დაბრუნება „მაინცის" მოტივაციაცაა: **თომას ტუხელის** გუნდმა ერთი კვირის წინ საკუთარ მოედანზე „აუგსბურგთან" წააგო, რაც „მაინცისთვის" დიდი სირცხვილია. ზოგადად, ტუხელის ბიჭებს შვიდმატჩიანი მოუგებელი სერია აქვთ და ბოლო ადგილს მხოლოდ ერთი ქულაღა აშორებთ.

### ფინკის დებიუტი ჰამბურგში

შაბათის საღამოს მატჩი უდიდეს ინტერესს მხოლოდ იმიტომ იწვევს, რომ **ტორსტენ ფინკი** „ჰამბურგს" პირველად ათამაშებს. მიუხედავად იმისა, რომ სპორტულმა დირექტორმა **ფრანკ არნესენმა** დროებითი მწვრთნელის რანგში ჩრდილოგერმანულ კლუბს ფრაიბურგში მოაგებინა (2:1), ჰამბურგელები მაინც ბოლო ადგილზე დარჩნენ, ახლა კი, ფინკისთვის სადებიუტო მატჩში „ვოლფსბურგს" მასპინძლობენ – **ფელიქს მაგათზე** უკეთეს გამომცდელს ტორსტენი ვერც ინატრებდა. თავის მხრივ, „მგლებმა" წინა ტურში „ნიურნბერგი" დაამარცხეს, განსაკუთრებით კარგ ფორმაშია **მარიო მანჯუკიჩი**, რომელმაც ფრანკებს დუბლი შეუსრულა და ბომბარდირთა რეიტინგშიც გამოჩნდა (5 გოლით). „ვოლფებს" დისკვალიფიკაციამოხდილი **კირიაკოსი** და **რუსი** დაუბრუნდნენ, სამაგიეროდ, **ალექსანდერ მადლუნგი** დაშავდა.




### შალკე შიურლეს უნდა უფრთხილდეს

ხვალ პირველი თამაში ჩემპიონთა ლიგის მონაწილე „ლევერკუზენისა" („ფარმაცევტებმა" „ვალენსია" 2:1 დაამარცხეს და „დორტმუნდისგან" განსხვავებით მერვედფინალს უმიზნებენ) და ევროპის ლიგელი „შალკეს" (5:0 „ლარნაკასთან") დაპირისპირებაა. „ბაიერში" **ანდრე შიურლე** ბოლოს და ბოლოს გაიხსნა და გოლების გატანა დაიწყო – შესაბამისად, გელზენკირხენელი მცველები სწორედ მას უნდა უფრთხილდნენ. „შალკეს" კარს ისევ **ლარს უნერშტალი** დაიცავს, რადგან ძირითადი მეკარე **რალფ ფერმანი** დისკვალიფიცირებული და ტრავმირებულია.

### ნუთუ ჰანოვერსაც გადაუვლიან?

ტურს მიუნხენის „ბაიერნის" ჰანოვერში სტუმრობა დახურავს. რეკორდმაისტერმა ოფიციალურ მატჩებში 1147-წუთიანი მშრალი სერია კი შეწყვიტა, მაგრამ **მანუელ ნოიერს** გოლი ისევ თანაგუნდელმა გაუტანა – **ჰოლგერ ბადშტუბერის** ავტოგოლის გამო ბავარიელებმა ნეაპოლში ქულა დატოვეს. ბუნდესლიგაში კი, მიუნხენური გრანდი რვამატჩიან მშრალ სერიას აგრძელებს. საინტერესო ის არის, რომ „ჰანოვერს" საკუთარ კედლებში ჯერ ერთი თამაშიც კი არ წაუგია და საკუთარი პუბლიკის თვალწინ 11 გოლი აქვს გატანილი. ევროპის ლიგაში **მირკო სლომკას** გუნდმა „კოპენჰაგენთან" მხოლოდ ფრე ითამაშა – იქნებ „წითლებმა" ძალები „ბაიერნთან" ბრძოლისთვის დაზოგეს? აბა, ვნახოთ, რა შეუძლია „ჰანოვერს"...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

● ტრანსფერი



# შალკემ ჰილდებრანდი აიყვანა!

## კონტრაქტი სეზონის ბოლომდე: ტიმომ ტრავმირებული ფერმანი უნდა შეცვალოს

ამ ტრანსფერის განხორციელება „შალკეს" **რალფ ფერმანის** ტრავმამ გადააწყვეტინა. გერმანიის ნაკრების ყოფილი მეკარე **ტიმო ჰილდებრანდი** უკლუბოდ იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ გელზენკირხენული კლუბის კარის დაცვა ზამთრამდე შეუძლია. 32 წლის ტიმომ „შალკესთან" კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გააფორმა.

მან 23 წლის ფერმანი უნდა შეცვალოს – ეს უკანასკნელი ბუნდესლიგის წინა ტურში, „კაიზერსლაუტერნთან" 1:2-ზე წაგებულ შეხვედრაში დაშავდა. ექიმებმა მას მინიმუმ ხუთთვიანი იძულებითი პაუზა გამოუწერეს. „შალკე" მხოლოდ გამოუცდელი **ლარს უნერშტალის** იმედად ვერ დარჩებოდა და მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** ჰილდებრანდი ამიტომაც აიყვანა.

*„ფერმანის ტრავმამ ყველა საგონებელში ჩაგვაგდო. მესამე მეკარის ყიდვაზე მაშინვე დავიწყეთ ფიქრი, მე კი სწორედ ტიმო გამახსენდა, რომელიც უმუშევარი იყო, ფორმას კი ინდივიდუალური ვარჯიშით ინარჩუნებდა. ჰილდებრანდი გამოცდილი მეკარეა და დარწმუნებული ვარ, რომ „შალკეში" თავის საქმეს ხუთიანზე გააკეთებს,"* - ეს ჰელდტის სიტყვებია.

ამ უქმეებზე გელზენკირხენელთა კარს უნერშტალი დაიცავს, ტიმო კი **ლევან ყენიას** გუნდთან ერთად ვარჯიშს ორშაბათიდან შეუდგება. ჰელდტი ამბობს, ჰილდებრანდს ძირითად შემადგენლობაში თამაში გარანტირებული არ აქვსო: *„ლარს უნერშტალთან ერთად, არც მათიას შობერი უნდა დაგვავიწყდეს. ფერმანის არყოფნაში ტიმოს სწორედ ამ მეკარეებისთვის მოუწევს კონკურენციის გაწევა, „შალკეს" კარში კი, ამ სამიდან უძლიერესი ჩადგება."*

**გოტფრიდ ლენცი**

# ჰაინკესი: ბაიერნში როსის ადგილი არ არის

„ბაიერნის" მთავარმა მწვრთნელმა **იუპ ჰაინკესმა** უარყო მორალური ხმები იმის შესახებ, თითქოს ზამთარში რეკორდმაისტერი მიონხენგლადბახის „ბორუსიას" ახალგაზრდა შემტევის, **მარკო როისის** ყიდვას აპირებდეს.

*„ეს სპეკულაციებია, - განუცხადა მიუნხენური კლუბის თავკაცმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს, - მართალია, მარკო შესანიშნავი ფეხბურთელია, მაგრამ ჩვენს გუნდში ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა ამ ეტაპზე ძალიან გაუჭირდებოდა. მინიმუმ ორი წლის მანძილზე „ბაიერნში" როისის ადგილი არ არის, მე კი არ მინდა, რომ ასეთი ნიჭიერი მოთამაშე სათადარიგოთა სკამისთვის ვიყიდოთ. ვფიქრობ, მარკო დორტმუნდის „ბორუსიას" ან ბრემენის „ვერდერს" მოერგებოდა. ჩვენთან მისთვის ზედმეტად დიდი კონკურენციაა."*

„ბილდის" ინფორმაციით, დღესდღეობით როსის ფასი 18 მილიონი ევროა.

**გოტფრიდ ლენცი**

● ესპანეთი. ლა ლიგა. VIII ტურის წინ

# მივედით ზღაპრის ბოლოში?

## თუ გაგრძელება იქნება... ყველაფერი ვალენსიურ დერბიზეა დამოკიდებული

**დღეს**

**სპორტინგი-გრანადა 20:00**

**ტრავმა:** კარმელო (?) - ხუანი (?), კორტესი (?), მარტინში, იგჰალო

**რასინგი-ესპანიოლი 20:00**

**ტრავმა:** ოსმარი (?), კენედი, აკოსტა - მატიონი, ალბინი

**მალაგა-რეალი 22:00**

**ტრავმა:** ბაპტიშტა (?), ხიმენესი - ალბიოლი (?), კარვალიო (?), დიარა (?), შაჰინი

**დისკვალიფიკაცია:** კაბალიერო (მალაგა)

**ბარსელონა-სევილია 00:00**

**ტრავმა:** აფელაი, პიკე, სანჩესი - ნეგრედო (?), პეროტი

**ხვალ**

**ბეტისი-რაიო ვალეკანო 14:00**

**ტრავმა:** ფაბრისიო (?), ნელსონი (?), ვადილიო - ფუეგო (?)

**რეალ სოსიედადი-ხეტაფე 18:00**

**ტრავმა:** ზურუტუზა (?), ველა (?), ილარამენდი (?) - მასილელა (?), პედრო ლეონი (?), უსტარი, გავილანი, ბარადა

**დისკვალიფიკაცია:** ლასენი (ხეტაფე)

**ატლეტიკო-მალიორკა 20:00**

**ტრავმა:** არდა (?), სილვიო (?), სალვიო (?), კოშტა, ლოპესი (?) - მარტი (?), ნუნიეში, ლაკრუსი, კასერესი, ზუიველროონი

**ოსასუნა-სარაგოსა 20:00**

**ტრავმა:** რიკარდო (?), როვერსიო (?), მასუდი, ეჩაიდე - ბრაულიო, პინტერი, მინერო

**დისკვალიფიკაცია:** ლამა (ოსასუნა)

**ვალენსია-ბილბაო 22:00**

**ტრავმა:** კოშტა (?), მადურო - ი. გომესი (?), კასტილიო, პერესი

**დისკვალიფიკაცია:** რამი (ვალენსია)

**ვილიარეალი-ლევანტე 00:00**

**ტრავმა:** კამუნიასი (?), სენა (?), რუბენი (?), ა. ლოპესი, ნილმარი - ხორდა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 7 | 5 | 2 | 0 | 26-4 | 17 |
| 2. ლევანტე | 7 | 5 | 2 | 0 | 11-3 | 17 |
| 3. რეალი | 7 | 5 | 1 | 1 | 24-6 | 16 |
| 4. სევილია | 7 | 4 | 3 | 0 | 8-4 | 15 |
| 5. ვალენსია | 7 | 4 | 2 | 1 | 10-7 | 14 |
| 6. მალაგა | 7 | 4 | 1 | 2 | 10-7 | 13 |
| 7. ბეტისი | 7 | 4 | 0 | 3 | 10-11 | 12 |
| 8. ატლეტიკო | 7 | 2 | 3 | 2 | 8-6 | 9 |
| 9. სარაგოსა | 7 | 2 | 3 | 2 | 9-13 | 9 |
| 10. ესპანიოლი | 7 | 3 | 0 | 4 | 6-11 | 9 |
| 11. ბილბაო | 7 | 2 | 2 | 3 | 10-10 | 8 |
| 12. მალიორკა | 7 | 2 | 2 | 3 | 6-8 | 8 |
| 13. სოსიედადი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-10 | 7 |
| 14. ვილიარეალი | 7 | 1 | 4 | 2 | 7-11 | 7 |
| 15. ოსასუნა | 7 | 1 | 4 | 2 | 6-15 | 7 |
| 16. ვალეკანო | 7 | 1 | 3 | 3 | 6-11 | 6 |
| 17. ხეტაფე | 7 | 1 | 2 | 4 | 6-10 | 5 |
| 18. გრანადა | 7 | 1 | 2 | 4 | 2-8 | 5 |
| 19. რასინგი | 7 | 0 | 4 | 3 | 4-12 | 4 |
| 20. სპორტინგი | 7 | 0 | 1 | 6 | 3-12 | 1 |

**ბომბარდირები:** 10 - **მესი** (ბარსელონა); 8 - **იგუაინი** (რეალი); 7 - **რონალდო** (რეალი); 5 - **სოლდადო** (ვალენსია), **ფალკაო** (ატლეტიკო).

ტურის ცენტრალური მატჩი დღეს „კამპ ნოუზე" გაიმართება - ჩემპიონი „სევილიას" მასპინძლობს, ორივე გუნდი დაუმარცხებელია, ანდალუსიელები პირველ ადგილზე მყოფ „ბარსელონას" სულ რაღაც ორი ქულით ჩამორჩებიან. ამაზე კარგი თამაში რა უნდა იყოს თითქოს ტურში, თუმცა კიდევ ორ დაპირისპირებას დაგისახელებთ, რომელთაც არანაკლები დაინტერესება გამოიწვიეს. დღესვე (ორი საათით ადრე, ვიდრე კატალონიაში) „სამეფო კლუბი" ანდალუსიაში „მალაგას" ეწვევა, ხვალ კი ვალენსიური დერბია - „ელ მადრიგალზე" უნდა გაირკვეს, გაგრძელდება თუ არა ზღაპარი სახელად „ლევანტე" პრიმერაში. ურიგო მატჩს არც „მესტალიაზე" ველით, სადაც „ვალენსია" ბილბაოს „ატლეტიკს" მასპინძლობს.

მოკლედ, არც ამ ტურში უნდა მოვიწყინოთ წესით. ყველაზე დიდი სიახლე ჩემპიონის ბანაკში ისაა, რომ **სესკ ფაბრეგასი** გამოჯანმრთელდა, თუმცა არა გვგონია, ახალწვეულმა სათადარიგოთა სკამზე მეტს მიაღწიოს პირველ ჯერზე. **ალექსის სანჩესი** ჯერ კიდევ მკურნალობს, **ჟერარდ პიკესაც** ერთი კვირა მოუწევს უქმობა. სტუმართა ყველაზე დიდი პრობლემა **ალვარო ნეგრედოს** ტრავმაა. ესპანეთის ნაკრების შემტევის თამაში თითქმის გამორიცხულია. მოკლედ, **მარსელინოს** ძალიან ძნელი დავალება აქვს გადასაჭრელი - ტყავიდან უნდა გამოძვრეს, რომ ლა ლიგაში „სევილიას" მწვრთნელის რანგში პირველი მარცხი „კამპ ნოუზე" არ იწვნიოს. არადა, „ბარსა" ბრწყინვალედ თამაშობს - 4 საშინაო მატჩში 21 გოლი გაიტანა. სხვათა შორის, „ბარსელონა" 13 თამაშია ამ სეზონში (არა მხოლოდ ჩემპიონატში), რაც წაუგებლად თამაშობს, ეს კი კლუბის რეკორდი ყოფილა. მარსელინომ უნდა განაწყოს გუნდი „ბარსასთან" საომრად, გუნდი, რომელიც ბოლო დროს მესი და კომპანიამ ძალიან დაჩაგრა - ბოლო მატჩებში კატალონიიდან ქულაც ვერ წაიღო და გოლიც ვერ გაიტანა (თუმცა 13 გაუშვა). მარსელინოს ხელში გუნდის პროგრესი რომ თვალსაჩინოა იქიდანაც ჩანს, რომ ეს სტარტი ანდალუსიური კლუბის ისტორიაში საუკეთესოა (4 მოგება და 3 ფრე). „სევილიამ" შარშან კი მოიგო „კამპ ნოუზე", მაგრამ ეს იყო თასის მატჩი - 2:1 მოიგო და გათამაშებიდანაც გამოთიშა გრანდი.

**ხოსეპ გვარდიოლა** (ბარსელონა): *„სევილია" დიდებული კლუბია. მათ შეუძლიათ ნებისმიერი სიტუაციიდან გამარჯვებულები გამოვიდნენ. ეს არის კარგი ტესტი იმის გასაგებად, რამდენად კარგები ვართ სინამდვილეში. მეტოქე ძლიერია, მათმა მწვრთნელმა აჩვენა, რომ დაცვით ტაქტიკაში დიდებულად ერკვევა. ამასთან, ანდალუსიელებს შემტევი პოტენციალიც არანაკლები აქვთ. „რეალის" შემდეგ ლა ლიგაში ყველაზე უკეთ კონტრშეტევებზე თამაში სწორედ „სევილიას" ეხერხება. სესკის დამატება დიდად წაგვადგა, ის ნამდვილი პროფესიონალია და გუნდისთვის შეუცვლელი ფეხბურთელი. ბოლო დღეებში ყოჩაღად ვარჯიშობს და, ვფიქრობ, თამაში უკვე შეუძლია. თუ არადა, ჩვენ შეგვიძლია ინიესტა ან ალკანტარა ვათამაშოთ".*

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბარსელონა:** *ვალდესი - დანი ალვეში, პუიოლი, მასკერანო, აბიდალი - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - პედრო, მესი, ვილია.*

**სევილია:** *ვარასი - კასერესი, სპაჰიჩი, ესკუდე, ნავარო - ტროხოვსკი, მედელი - ხესუს ნავასი, დელ მორალი, პეროტი - კანუტე.*

როცა ბარსელონაში ტურის ცენტრალური მატჩი დაიწყება, ჩემპიონებს და მათ ფანებს უკვე ეცოდინებათ, თუ რა ქნა მათმა უმთავრესმა კონკურენტმა „რეალმა". „სამეფო კლუბი" ყოფილი მწვრთნელის, **მანუელ პელეგრინის** „მალაგასთან" საპაექროდ ემზადება. შარშან ჩილელს არაფერი გამოუვიდა, მაგრამ შარშან სულ სხვა „მალაგა" იყო და წლეულს სულ სხვაა - ვარსკვლავებით გადატენილი (ზაფხულში 58 მილიონი ევრო დახარჯეს) და სერიოზული მიზნებისთვის მზადმყოფი. მოკლედ, ეს ის „მალაგა" აღარაა, გაზაფხულზე „რეალმა" 7:0 რომ მოუგო.

ერთადერთი, რაც მანუელ პელეგრინის ადარდებს, ბრაზილიელი **ჟულიო ბაპტიშტას** ფეხია, ფორვარდი ისევ იტკიებს ფეხს და ჯერაც უცნობია, შეძლებს თამაშს თუ ვერა. „მალაგას" არ ეყოლება მეკარე **ვილი კაბალიეროც**, რომელიც წინა ტურში გაძევებისთვის დისკვალიფიცირებულია. „რეალის" **რაულ ალბიოლს** მოტეხილი ყბა ჯერაც არ მოურჩენია, საეჭვოა **რიკარდო კარვალიოს** თამაშიც - ასე რომ, **ჟოზე მოურინიოს** კვლავ მოუწევს **სერხიო რამოსის** დაცვის ცენტრში დაყენება (ან არის მეორე ვარიანტი - ახალგაზრდა **ვარანი**). **ნური შაჰინის** დებიუტს „რეალში" კი ალბათ უფრო შემდეგ ტურში უნდა ველოდოთ, რომელიც შუა კვირაშია. პორტუგალიელი თავკაცის მთავარი საფიქრალი ისაა, თუ ვინ დააყენოს თავდასხმაში - **გონსალო იგუაინი**, თუ **ქარიმ ბენზემა** - ორივე ფორვარდი ჩინებულ ფორმაშია, მაგრამ გამორიცხულია, ჟოზემ სტუმრად აშკარად გამოკვეთილი ორი ფორვარდი დააყენოს. ასე რომ, მძიმე არჩევანის გაკეთება მას აუცილებლად მოუწევს.

**ჟოზე მოურინიო** (რეალი): *„გუნდი შესანიშნავ ფორმაშია და მას ბევრი გოლი გააქვს. ხომ ვამბობდი, რომ კრიშტიანო რონალდო არ არის ეგოისტი ფეხბურთელი. ნახეთ, რამხელა სარგებელი მოაქვს მას. კრიშტიანოს თავისებური დიმ აქვს, რომელსაც მე ვერ შევცვლი და რომლის შეცვლასაც არ ვაპირებ. ამჯერად, ძნელი მატჩი გველის, ნუ ელით, რომ 4 გოლს გავიტანთ, „როსალედაზე" ამის გაკეთება კი ძალიან გვინდა, მაგრამ ძნელი იქნება - მე პატივს ვცემ „მალაგას" არის მათში რაღაც რეალური".*

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მალაგა:** *რუბენი - გამესი, დემიკელისი, მატეისენი, მონრეალი - კასორლა, ტულალანი, მარესკა - ხოაკინი, ვან ნისტელროი, ისკო.*

**რეალი:** *კასილიასი - არბელოა, პეპე, სერხიო რამოსი, მარსელო - ჩაბი ალონსო, ხედირა - კაკა, იოზილი, რონალდო - იგუაინი.*

ვალენსიური დერბი ტურის უკანასკნელი მატჩია, ოღონდ მხოლოდ ქრონოლოგიურად - ჩემპიონატის სენსაცია „ლევანტე" „ელ მადრიგალს" ესტუმრება, სადაც ჩემპიონატის ერთ-ერთი იმედგაცრუება „ვილიარეალს" შეხვდება. „ელ სუბმარინო", რომელმაც სეზონი მე-4 ადგილზე დაასრულა, ახლა მე-14-ეა ერთადერთი გამარჯვებით. მასპინძლებს კვლავ არ ეყოლებათ **ნილმარი** და **მარკო რუბენი**, გამოდის, რომ შეტევაში მთავარი იმედი ისევ **ჯუზეპე როსია, კანი** კი მას სიღრმიდან დაეხმარება. „ლევანტე" წაუგებელია და ქულებით „ბარსას" ტოლ-სწორია. ის ახლა „ბარსას" და „რეალს" შორის მურმანის ეკალივითაა გაჩხერილი. „ლევანტეს" დააკლდება **რაფაელ ხორდა**, სხვა მხრივ პრიმერას მოულოდნელი თანალიდერი საკადრო პრობლემებს არ განიცდის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



კადრები „ბარსას" ახალი სკოლის, ახალი „ლა მასიის" გახსნიდან, რომლის დევიზი იყო: ახალი ლა მასია ახალი მესისთვის





ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. IX ტურის წინ

# სპექტაკლი ოცნებათა თეატრში

**დღეს**

**ვულვერჰემპტონი-სუონსი 15:45**

**ტრავმა:** ბიტი, ოგუსტეინი, კოლკერი, ტაიტი, ბოდე (ყველა სუონსი)

**ასტონ ვილა-ვესტ ბრომვ. 18:00**

**ტრავმა:** დელფუენსო, ჯონასი, ლიჩაი (ყველა ასტონ ვილა)

**ბოლტონი-სანდერლენდი 18:00**

**ტრავმა:** მირსი, ლი, ჰოლდენი, შ. დევისი, რიკეტსი – გორდონი, კემპბელი

**ნიუკასლი-უიგანი 18:00**

**ტრავმა:** დონალდსონი, სმიტი, ვუჩკიჩი, უილიამსონი (ყველა ნიუკასლი)

**ლივერპული-ნორვიჩი 20:30**

**ტრავმა:** ვუგანი, უიტბრედი, აიალა, უორდი (ყველა ნორვიჩი)

**დისკვალიფიკაცია:** ლუკას ლეივა (ლივერპული)

**ხვალ**

**არსენალი-სტოკი 16:30**

**ტრავმა:** გიბსი, სანია, ვერმაელენი, უილშირი, დიაბი – დიაო, უილკინსონი

**ფულჰემი-ევერტონი 16:30**

**ტრავმა:** მერფი, რუისი, სენდეროსი, ს. დევისი – ჰეიტინგა, ენიჩიბე

**მან. იუნაიტედი-მან. სიტი 16:30**

**ტრავმა:** ლინდეგაარდი, გიბსონი, კლევერლი, ბებე (ყველა იუნაიტედი)

**ბლექბერნი-ტოტენჰემი 18:00**

**ტრავმა:** კინგი, კრანჩარი, ჩორკუკა, ლენონი, სანდრო, გალასი, ჰადლსტოუნი, დოუსონი (ყველა ტოტენჰემი)

**დისკვალიფიკაცია:** ლევერტი (ბლექბერნი)

**ქუინზ პარკი-ჩელსი 19:00**

**ტრავმა:** კემპბელი, გებიდონი, ჰალსი, დაიერი – რამირესი, ილარიო, ესიენი

**დისკვალიფიკაცია:** ტორესი (ჩელსი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 8 | 7 | 1 | 0 | 27-6 | 22 |
| 2. იუნაიტედი | 8 | 6 | 2 | 0 | 25-6 | 20 |
| 3. ჩელსი | 8 | 6 | 1 | 1 | 20-9 | 19 |
| 4. ნიუკასლი | 8 | 4 | 4 | 0 | 11-6 | 16 |
| 5. ლივერპული | 8 | 4 | 2 | 2 | 11-9 | 14 |
| 6. ტოტენჰემი | 7 | 4 | 1 | 2 | 13-12 | 13 |
| 7. სტოკი | 8 | 3 | 3 | 2 | 6-8 | 12 |
| 8. ასტონ ვილა | 8 | 2 | 5 | 1 | 10-9 | 11 |
| 9. ნორვიჩი | 8 | 3 | 2 | 3 | 10-11 | 11 |
| 10. არსენალი | 8 | 3 | 1 | 4 | 12-17 | 10 |
| 11. ქუინზ პარკი | 8 | 2 | 3 | 3 | 6-14 | 9 |
| 12. ვესტ ბრომვიჩი | 8 | 2 | 2 | 4 | 7-10 | 8 |
| 13. სუონსი | 8 | 2 | 2 | 4 | 7-12 | 8 |
| 14. ფულჰემი | 8 | 1 | 4 | 3 | 10-9 | 7 |
| 15. ევერტონი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-11 | 7 |
| 16. ვულვზი | 8 | 2 | 1 | 5 | 6-12 | 7 |
| 17. სანდერლენდი | 8 | 1 | 3 | 4 | 10-10 | 6 |
| 18. ბოლტონი | 8 | 2 | 0 | 6 | 12-22 | 6 |
| 19. უიგანი | 8 | 1 | 2 | 5 | 6-14 | 5 |
| 20. ბლექბერნი | 8 | 1 | 2 | 5 | 9-18 | 5 |

**ბომბარდირები:** 9 – რუნი (მანჩესტერი); 8 – აგუერო (სიტი); 6 – ჯეკო (სიტი); 5 – ბა (ნიუკასლი), ვან პერსი (არსენალი); 4 — აგბონლაჰორი (ასტონ ვილა), ლემპარდი (ჩელსი), სტარიჯი (ჩელსი), სუარესი (ლივერპული); 3 – ადებაიორი (ტოტენჰემი), ბალოტელი (მანჩესტერ სიტი), ბესტი (ნიუკასლი), დეფო (ტოტენჰემი), დი სანტო (უიგანი), ფლეტჩერი (ვულვერჰემპტონი), ჯონსონი (ფულჰემი), კლასნიჩი (ბოლტონი), ნანი (მანჩესტერ იუნაიტედი), ლონგი (ვესტ ბრომვიჩი).

ჩემპიონატის ცენტრალური მატჩებისა რა მოგახსენოთ, ჯერ ძალიან ადრეა, მაგრამ ტურის ცენტრალური შეხვედრა რომ მანჩესტერული დერბია, ვფიქრობთ, ლაპარაკი არ უნდა. ეს გახლავთ მატჩი, რომელიც მკაფიოდ გამოაჩენს, რამდენად მყარი ნიადაგი აქვს „მანჩესტერ სიტის“ ამბიციებს. ნაწილობრივ, შესაძლოა პასუხი გაეცეს კითხვასაც: ვინ იქნება ამ სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარი კონკურენტი, თანაქალაქელი „სიტი“ თუ რომელიმე სხვა გუნდი, მაგალითად, „ჩელსი“.

„სიტისთვის“ ეს შეხვედრა, გარდა ფსიქოლოგიური მხარისა, იმითიც არის მნიშვნელოვანი, რომ წარმატების შემთხვევაში პირველ ადგილზე დარჩება, რაც მომდევნო ტურების წინ კარგ „სასტარტო მდგომარეობაში“ ჩააყენებს — ერთია, როდესაც ცხრილის სათავეში დროებით, ერთი კვირით მოხვდები და მეორე, როდესაც პოზიციას შეინარჩუნებ, თან უშუალო კონკურენტის დამარცხების შედეგად.

ჩახედეთ ცხრილს, „სიტიმ“ „ოლდ ტრეფორდზე“ ფრეც რომ ითამაშოს, მაინც პირველ ადგილზე დარჩება. „იუნაიტედთან“ ორქულიან უპირატესობას ხომ შეინარჩუნებს და თუნდაც მოიგოს, ვერც „ჩელსი“ დაეწევა. „ჩელსის“ კი მოსაგები თამაში აქვს: თავისივე უბანში — ორ ნაბიჯში, ამ სიტყვის ლამის პირდაპირი გაგებით — პრემიერლიგაში ახალდაბრუნებულ „ქუინზ პარკ რეინჯერსს“ სტუმრობს.

მანჩესტერულ დერბიზე ლაპარაკისას აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ თამაში „იუნაიტედის“ სტადიონზეა, ამ „ოცნებების თეატრად“ წოდებულ სარბიელზე კი მასპინძლები ყოველთვის განსაკუთრებულ ფეხბურთს თამაშობენ, მით უფრო, თუ ძლიერი მოწინააღმდეგე სტუმრობთ.

ისტლენდელთა „შერეკილ“ თავდამსხმელს, ბოლოხანს შესანიშნავ ფორმაში მყოფ 21 წლის **მარიო ბალოტელის** სწამს, რომ მანჩესტერული დერბი მალე მსოფლიოს ყველა დერბის გადაჩრდილავს.

*„სულაც არ გამოვრიცხავ, რომ დღეს „სიტისა“ და „იუნაიტედის“ შეხვედრაში უფრო ლამაზ ფეხბურთს თამაშობენ, ვიდრე „მილანისა“ და „ინტერის“ დერბიში* — თქვა ფორვარდმა, რომელმაც წინა ტურში „ევერტონს“ შესანიშნავი გოლი გაუტანა მაკრატელა დარტყმით — *მე რომ სახლში ვიჯდე და ტელევიზორში ასარჩევად მქონდეს საქმე, მანჩესტერული დერბის ნახვას ვამჯობინებდი. ჯერჯერობით, „ბარსა“ „რეალის“ წინააღმდეგ მაინც ყველაზე დიდი დაპირისპირებაა, მაგრამ მალე მსოფლიოს ყველაზე დიდი „ჯახი“ „იუნაიტედისა“ და „სიტის“ თამაში გახდება“.*

ის, რომ მანჩესტერული დერბი სულ უფრო და უფრო მაღალი დონისა ხდება, ამ გუნდებს შორის „უემბლიზე“ გამართულმა ბოლო ორმა თამაშმა დაამტკიცა — პირველი, ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალი „სიტიმ“ მოიგო, ხოლო მეორე, „ქომუნითი შილდისა“ „იუნაიტედმა“. განსაკუთრებული დრამატიზმით ბოლო მატჩი გამოირჩეოდა — ისტლენდელები 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ „იუნაიტედმა“ ძალლონე მოიკრიბა და 3:2 გაიმარჯვა. თუმცა, ბალოტელისთვის, შესაძლოა, პირველი მატჩი უფრო დასამახსოვრებელი ყოფილიყო. ჯერ ერთი, რომ მისმა გუნდმა გაიმარჯვა, მეორე კი... ის „იუნაიტედის“ ვეტერან **რიო ფერდინანდს** ეჩხუბა.

*„მას მერე ფერდინანდს არ დავლაპარაკებივარ, მაგრამ მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. იმ დღეს გამარჯვებით გახარებულმა „სიტის“ მაისურა ვაჩვენე, ის კი გაბრაზდა. ჩემთვის ის, რაც მოედანზე ხდება, მოედანზევე რჩება. მას მერე ჩვენ მეგობრებად ვრჩებით... მეგობრებად თუ არა, ერთმანეთს პატივს ნამდვილად ვცემთ. ის დიდი ფეხბურთელია და მე მას მატჩის წინ, ისევე როგორც „იუნაიტედის“ ყველა სხვა ფეხბურთელს, ხელს ჩამოვართმევ“.*

და ბოლოს, რას ფიქრობს ბალოტელი სატურნირო მდგომარეობასა და გუნდებს შორის ძალთა თანაფარდობაზე:

*„მე ოთხი წელიწადი „ინტერის“ ფეხბურთელი ვიყავი და ლიდერობას ვარ დაჩვეული. გასულ სეზონში, პრემიერლიგაში ჩვენ მეორე ადგილზე (უფრო სწორედ, „ჩელსიმ“ და „სიტიმ“ ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვა, ხოლო გატანილ-გაშვებული გოლების უკეთესი სხვაობის გამო მეორეზე „ჩელსი“ იყო) გავედით. ასეთი რამ ჩემს ცხოვრებაში პირველად მოხდა. მეორეობა ჩემი საქმე არ არის. ჩემი ბუნებრივი მდგომარეობა პირველობაა“.*

ზემოთ „ჩელსი“ ვახსენეთ. შეგახსენებთ, რომ ორი ტურის წინ „ლურჯების“ პორტუგალიელმა თავკაცმა, **ანდრე ვილაშ-ბოაშმა** განაცხადა, რომ მის გუნდს ცხრილში მდგომარეობის გაუმჯობესების დიდებული შანსი აქვს და ამის მიზეზად „მანჩესტერ იუნაიტედის“ კალენდარი დაასახელა. „იუნაიტედს“ წინა ტურში ლივერპულში, „ენფილდ როუდზე“ ჰქონდა თამაში, რომელიც 1:1 დამთავრდა (ანუ ინგლისის ჩემპიონმა ორი ქულა დაკარგა), ხვალ კი, როგორც მოგახსენეთ, მანჩესტერული დერბია, რითაც ვილაშ-ბოაში სარგებლობას აპირებს. რამდენიმე დღის წინ „ლურჯებმა“ ჩემპიონთა ლიგაში ბელგიური „გენკი“ გაანადგურეს — 5:0 გაიმარჯვეს. ახალგაზრდა პორტუგალიელმა მწვრთნელმა იმ შეხვედრაში **ჯონ ტერი** და **დიდიე დროგბა** დაასვენა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ პრემიერლიგაში, უბნელების წინააღმდეგ ათამაშებს.




ისე, „ქუინზ პარკ რეინჯერსს“, ჯერჯერობით, ლონდონურ დერბიში არ უმართლებს. დასავლეთ ლონდონში, სადაც „რეინჯერსი“ და „ჩელსი“ ბინადრობენ, კიდევ ერთ გუნდს აქვს ბინა. ეს გუნდი „ფულჰემია“, რომელმაც 2 ოქტომბერს უკვე უმასპინძლა „ქუინზ პარკს“ და... 6:0 მოუგო. ასეთ ანგარიშს, რასაკვირველია, ვერავინ ვერავის ჰპირდება, მაგრამ „ჩელსის“ ფანები გამარჯვებას ელიან.

ცხრილში შემდეგი გუნდი „ნიუკასლი“ გახლავთ, რომლისგანაც ასეთ კარგ სტარტს არავინ ელოდა. „კაქკაჭები“ ცუდ დღესა და ცხრილის ქვედა ნაწილში ჩავარდნილ „უიგანს“ მასპინძლობენ. ინგლისური გაზეთები გაოცებით წერენ, რომ მას მერე, რაც „ნიუკასლმა“ მწვრთნელი, **კრის ჰაფტონი ალან პერდიუთი** შეცვალა, საუკეთესო თავდამსხმელი, **ენდი ქეროლი** და მცველი, **ხოსე ენრიკე** „ლივერპულს“ მიჰყიდა, გამორჩეული ნახევარმცველი, **ჯოი ბერტონი** კი „ქუინზ პარკ რეინჯერსში“ გაუშვა, საუცხოოდ ათამაშდა. ფეხბურთისას რას გაიგებ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ, წესითა და რიგით, დღეს „ნიუკასლმა“ მორიგი გამარჯვება უნდა მოიპოვოს.

თუ ასე მოხდება, „ლივერპულმა“ „ნორვიჩს“ რომც მოუგოს, მეოთხე ადგილზე მაინც ვერ გადავა, მაგრამ ეს მერსისაიდელთა განწყობას, რასაკვირველია, ვერ შეცვლის — **კენი დალგლიშის** გუნდი უმაღლესი მიზნებისთვის აპირებს ბრძოლას და, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, წინა ტურში კინაღამ „მანჩესტერ იუნაიტედს“ მოუგო. მართალია, კინაღამ არ ითვლება, მაგრამ...

თუმცა, „ნორვიჩი“ დანებებას არ აპირებს. აი, რას ამბობს ნახევარმცველი **ენტონი პილკინგტონი**: *„ჩვენ ბევრ შეხვედრაში აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ და მათ რიცხვში უნდა იყოს ისეთი შეხვედრები, სადაც ჩვენი მოწინააღმდეგე ძლიერი გუნდი იქნება. ეჭვი არ გვეპარება, რომ „ნორვიჩ სიტის“ ძლიერების გამწარების ძალა შესწევს“.*

„ტოტენჰემი“ ბლექბერნში მიდის და... ერთხელაც ჩახედეთ ცხრილს. ხომ ხედავთ, სადაც არიან რივერსაიდელები? ისინი მდგომარეობის გამოსასწორებლად გამწარებულები იბრძოლებენ, მაგრამ მეორე მხრივ, თუ „დეზებს“ მართლა მაღალი მიზნები აქვთ, უნდა მოიგონ.

ფეხბურთელის ბედი

## ნაგვის ყუთი ტევესისთვის

27 წლის თავდამსხმელი, **კარლოს ტევესი** თვალის დახამხამებაში ქალაქ მანჩესტერის მთელი მოსახლეობის მტერი გახდა — ხვალ, არგენტინელს, ალბათ, „ოლდ ტრეფორდის“ მიდამოებთან გავლაც კი არ მოუნდება. მოგეხსენებათ, კვირას მანჩესტერული დერბია, მაგრამ ტევესი თავისი ყოფილი გუნდის, „იუნაიტედის“ წინააღმდეგ ვერ ითამაშებს — „ახალი“ გუნდის, „სიტის“ თავკაცმა **რობერტო მანჩინიმ** ის დასაჯა. მიზეზი: ფორვარდმა ჩემპიონთა ლიგაში, „ბაიერნთან“ თამაშის დროს, მწვრთნელს მოედანზე შესვლაზე უარი უთხრა.

ამრიგად, არგენტინელზე გაბრაზებულები არიან როგორც „მანჩესტერ იუნაიტედის“, ასევე „მანჩესტერ სიტის“ გულშემატკივრები. შეგახსენებთ, რომ ტევესი „იუნაიტედიდან“ 2009 წელს გაიქცა და თან სად... პირდაპირ „სიტიში“. ეს სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ ქალაქის „წითელ ნახევარს“ იგი შეეძულებინა.

ახლა კი აი, რა ხდება: „მანჩესტერ იუნაიტედის“ ერთ-ერთმა სპონსორმა, ტოტალიზატორმა „ბეტფეარმა“ ტევესის საწინააღმდეგო აქცია დაასპონსორა. კერძოდ, ხვალ „ოლდ ტრეფორდის“ შორიახლოს ივლის სატვირთო მანქანა, რომელსაც ერთი მხრიდან ლურჯად, მეორე მხრიდან კი წითლად ექნება აფარებული დიდი ბანერი წარწერით „გადაყარეთ ტევესის მაისურები“. ამ მანქანასთან ერთსულოვნად მივლენ როგორც „იუნაიტედის“ ასევე „სიტის“ ფანები და ტევესის მაისურებს ზედ შემოდგმულ კონტეინერში ჩაუძახებენ. ტოტალიზატორის გეგმის თანახმად, დაგროვებულ მაისურებს (სტადიონზე კი დაახლოებით 75 ათას მაყურებელს ელიან) ფეხბურთელის მშობლიურ არგენტინაში გაგზავნიან და იქ იაფად გაყიდიან, შემოსულ თანხას კი საქველმოქმედო მიზნებს მოახმარენ.

ამასობაში კი გაირკვა, რომ მიუნხენის „ალიანს არენაზე“, „ბაიერნთან“ ავადსახსენებელი თამაშის დღეს, „სიტის“ არც ერთ ფეხბურთელს არ გაუგია, როგორ განაცხადა ტევესმა მოედანზე შესვლაზე უარი. მეტიც, „სიტი“ არგენტინელს ბრალად უყენებდა, რომ მან მანჩინისა და ფიზმომზადების მწვრთნელის, **ივან კარმინატის** დავალების შესრულებაზე თქვა უარი, თუმცა თავად კარმინატიმ სულ სხვანაირი სურათი აღწერა: *„კარლოსი რომ წამოდგა, მე მეგონა გახურებას აპირებდა, მაგრამ ამასობაში მანჩინიმ გამოუცხადა, აღარ გათამაშებო“.*

კიდევ, ბრაზილიური „კორინთიანსის“ საფეხბურთო დირექტორმა, „არსენალის“ ყოფილმა ფეხბურთელმა, **ედუმ** განაცხადა, რომ „მანჩესტერ სიტი“ იანვარში ტევესზე ფასის დაკლებას აპირებს — არგენტინელი თავდამსხმელი მხოლოდ 20 მილიონი ფუნტი ანუ 31,55 მილიონი დოლარი ეღირებაო. იოლი მისახვედრია, რომ ედუმ თავის არსენალისდროინდელ თანაგუნდელ **პატრიკ ვიეირას** დაურეკა — მოგეხსენებათ, ვიეირა დღეს „სიტიში“ განვითარების დეპარტამენტის შეფია.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



სამბო. პრესკონფერენცია.



# ქართული ჭიდაობის მადლით

## ყურადღებით მადლიერი სამბისტები ვეზგვერდს ქმნიან, თან შეკრებების და მსაჯების მნიშვნელობაზე ლაპარაკობენ

**გუშინ** საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში მსოფლიოს ჭაბუკთა და ახალგაზრდული პირველობიდან დაბრუნებულმა სამბისტებმა პრესკონფერენცია გამართეს, რომელსაც სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი **თემურ გიორგაძე** უძღვებოდა. შეხვედრას ფედერაციის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე **გიორგი გალდავაც** ესწრებოდა.

შეგახსენებთ, რომ რიგაში დამთავრებულ ზემოაღნიშნულ ტურნირში ქართულმა დელეგაციამ 5 ოქრო და 4-4 ვერცხლ-ბრინჯაო მოიპოვა. აქედან 1 ბრინჯაო გოგოების მონაგარია, დანარჩენი - ბიჭებისა. იმათგან ეს მედლები ასე ნაწილდება - ახალგაზრდებმა 2 ოქრო, 3 ვერცხლი და 1 ბრინჯაო მოიპოვეს, ჭაბუკებმა - 3 ოქრო, 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო. ბიჭების ორივე ნაკრები გუნდურ ჩათვლაში მეორეზე გავიდა.

ახალგაზრდებიდან ჩემპიონები **გიორგი ნოზაძე** (90) და **სლავა რეზესიძე** (+100) გახდნენ, **ვახტანგ ჩიდრაშვილი** (52), **თორნიკე თათარაშვილი** (62) და **ლაშა ზურაბიანი** (82) მეორეზე გავიდნენ, **ზვიად კაპანაძე** (68) - მესამეზე. ჭაბუკებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე **მიხეილ მეზურნიშვილი** (70), **გიორგი ბიწაძე** (75) და **ალექსანდრე მილდიანი** (87) ავიდნენ, **ბექა ტულუშს** (65) ვერცხლი ერგო, ბრინჯაო **აბესალომ ვაშაყმაძემ** (520 და **გაგა ჯიხვაძემ** (+87) მოიპოვეს. გოგოებში ერთადერთი მონაწილე გვყავდა - **შორენა შარაძე** (64), რომელიც ახალგაზრდებში მესამეზე გავიდა.

თემურ გიორგაძისთვის ეს შეჯიბრება პირველი ოფიციალური ტურნირი იყო ფედერაციის პრეზიდენტის რანგში. პარალელურად, ის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობასაც ითავსებს, თუმცა რიგაში მთელ რიგ შეხვედრებში ამათაც მწვრთნელად ეჯდა. ლატვიაში მოპოვებული წარმატება მან მწვრთნელებისა და სპორტსმენების შემართების გარდა, იმ დახმარების დამსახურებადაც მიიჩნია, რომელიც გუნდებს მოსამზადებელ პერიოდში სპორტის სამინისტრომ გაუწია. „ასეთი მაჩვენებელი ჩემპიონატამდე განვლილი შეკრებების დამსახურებაა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს შეკრებების დიდ მნიშვნელობას და სამომავლოდ ყველა გუნდი აუცილებლად გაივლის მას. დახმარებისთვის დიდი მადლობა სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობას. ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე კენჭისყრას იმიტომ დავთანხმდი, რომ მათგან მაქსიმალური დახმარების იმედი მქონდა, თორემ ჩემი სამსახურის გამო, აქ სამუშაოდ დიდი დრო ნამდვილად არ მრჩება. თუმცა ხელმძღვანელობამ სრული მხარდაჭერა აღმითქვა, რასაც ასრულებს კიდეც".

შეკრების მნიშვნელობის გარდა, გიორგაძემ ხაზი მსაჯთა ფაქტორსაც გაუსვა. ჩემპიონატზე ამჯერად ორი არბიტრი გვყავდა — **ოთარ ყურაშვილი** და ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ემილ რაში**, რომელიც საერთაშორისო კატეგორიის მსაჯია. ცალკეული საკამათო ეპიზოდების მიუხედავად, გიორგაძე მაინც კმაყოფილია მსაჯობით, ჩვენდამი არბიტრებისა თუ საერთოდ, სამბოს საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელთა დამოკიდებულებით და მსაჯობას ობიექტურად მიიჩნევს. მან საერთაშორისო შეჯიბრებებში მსაჯთა როლზეც ილაპარაკა და ამ კუთხით ჩვენი წარმომადგენლობის გაზრდის აუცილებლობაც არაერთხელ აღნიშნა.

მისი თქმით, საამისოდ ფედერაცია მომავალშიც იმუშავებს. გიორგაძემ გულისტკივილი რაზეც გამოთქვა, ეს ჭაბუკთა ნაკრების გამოსვლას უკავშირდებოდა, რომელსაც სულ ცოტა დააკლდა გუნდურ პირველობაში გამარჯვებამდე. თუმცა ვიმეორებთ - ეს მხოლოდ სინანული იყო, ასე ცოტა რომ დააკლდათ უმაღლეს შედეგამდე, და არა გუნდის კრიტიკა.

მილოცვისა და შექების გარდა, გიორგი გალდავა ქართულ საჭიდაო სახეობებში დღეისათვის პრობლემად და საკამათოდ ქცეულ ერთ მნიშვნელოვან საკითხსაც შეეხო. მისი თქმით, ამ ბიჭების წარმატება ქართული ჭიდაობის დამსახურებაა და ამაზე ყურადღების გამახვილება ჟურნალისტებს საგანგებოდ გვთხოვა. მიზეზთა გამო, დღეს ქართულ ჭიდაობასთან ყველაზე ახლოს სამბო დარჩა, ყველაზე ახლო კავშირი ჭიდაობის ამ ორ სახეობას აქვს, ვიდრე - ძიუდოს და მით უფრო, ბერძნულ-რომაულსა და „თავისუფალს". სიმბოლურია, რომ თემურ გიორგაძე სამბომდე საქართველოს ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტადაც აირჩიეს და იმ პოსტს ახლაც ინარჩუნებს. ეს საჭირბოროტო თემა მოგვიანებით ოთარ ყურაშვილმაც განავრცო, რომელმაც ნოზაძეზე და ბიწაძეზე პირდაპირ თქვა, მათ ქართული ჭიდაობა რომ არ სცოდნოდათ, რუსებთან აუცილებლად წააგებდნენო. გალდავამ ისიც აღნიშნა, რომ სამბოში ქართული ჭიდაობის ილეთებიც მრავლადაა, რადგან ის ყოფილი საბჭოთა კავშირის დროსაა შექმნილი და მასში იმ სახელმწიფოში შემავალი ყველა ხალხის ნაციონალური ჭიდაობაა გაერთიანებული. ამდენად, სამბო სულაც არაა მხოლოდ რუსული ჭიდაობა, როგორც ეს გავრცელებული აზრიაო, თქვა გალდავამ.

პრესკონფერენციაზე ფედერაციასთან დაკავშირებული კიდევ ერთი სასიამოვნო სიახლეც გაგვაცნეს - სავარაუდოდ, უკვე მომავალ კვირაშივე ამოქმედდება ფედერაციის საიტი: www.sambo.ge. ეს ძალზე მნიშვნელოვანი სიახლეა - სამწუხაროდ, ამგვარი საიტით ბევრი ჩვენი ფედერაცია ვერ დაიკვეხნის, სამბოში კი ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რადგან სპორტის ამ სახეობაში ვერც რუსული, ვერც საერთაშორისო, ევროპული თუ წამყვანი ქვეყნების ფედერაციების ვებგვერდები მოიწონებენ თავს გამართული მუშაობით. ცხადია, არ გვაქვს ილუზია, რომ ქართული საიტი ოპერატიულობის პრობლემას მოგვიხსნის, მაგრამ ვიმედოვნებთ, რადგან ამ ნაბიჯზე წავიდნენ და საამისოდ თანხაც დახარჯეს, კოორდინაცია ფედერაციასა და შეჯიბრებაზე წასულ ნაკრებებს შორის ბევრად გაუმჯობესდება. შედეგად მთლიანად ტურნირზე თუ არა, უშუალოდ ჩვენი სამბისტების შესახებ მაინც მივილებთ დაწვრილებით ინფორმაციას. ბოლო-ბოლო, ვინ რომელ ადგილზე გავიდა, ამას მაინც შევიტყობთ დროულად.

შეხვედრაზე 10-14 ნოემბერს ვილნიუსში გასამართ უფროსთა მსოფლიოს ჩემპიონატზეც ითქვა. ამ მნიშვნელოვანი ტურნირისთვის მზადებას ჩვენი ნაკრები უკვე შეუდგა - დუშეთში გადიან შეკრებას. ლიტვაში წამსვლელი გუნდის ძირითადი ბირთვიც ცნობილია, თუმცა ჯერ გასარკვევია სამი წონის ლიდერის საკითხი - 52, 90 და მძიმე წონებში შეკრების დასასრულს საკონტროლო შეხვედრები ჩატარდება, მანამდე კი შემადგენლობის დასახელებისგან მწვრთნელები თავს იკავებენ.

**ირაკლი თავაძე**

თავისუფალი ჭიდაობა. სომხეთის ტურნირი

ბიბლიოთეკა

# თავისუფლები ვანაძორს შეეჩვივნენ

**ამ უქმეებზე** თავისუფალი სტილით მოჭიდავე ქართველ ფალავნებს დიდი მიმოსვლა აქვთ სომხურ ვანაძორში. ჯერ „მართვეს" ახალგაზრდული გუნდი წავიდა ცნობილი მსაჯის, ვეტერანთა შორის მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონ ჟორა ოგანესიანის სახელობის ტურნირში საჭიდაოდ. ისინი დაბრუნდნენ და მალევე მეორე ჯგუფი გააგზავნეს სხვა შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის, რომელიც ახლაც გრძელდება, დღეს კი იქ ეროვნული ნაკრები გაემგზავრა გაფართოებული, 30-კაციანი შემადგენლობით. მათი მიზანი სტეფან სარქსიანის სახელობის შეჯიბრებაში გამოსვლაა, რაც საგაისო სეზონისთვის მზადების შემადგენელი ნაწილია. ჩვენებს ნოემბრის ბოლომდე, როცა საქართველოს პირველობა ჩატარდება, სხვა ტურნირი არ ელოდებათ, სომხეთი კი რაკი ახლოსაა და იქ გამოსვლა იაფი უჯდებათ, გადაწყვიტეს, ყველა სათადარიგო მონაწილის გამოცდა. ამიტომ ვანაძორში ლიდერებიდან მხოლოდ ორი წავიდა - **გიორგი გოგშელიძე** (96) და **დავით მოძმანაშვილი** (120), დანარჩენები კი, მწვრთნელთა გადაწყვეტილებით, ისვენებენ და ქვეყნის პირველობისთვის ემზადებიან.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# ქვაცაბაიამ წყვილებში უკვე მოიგო, ერთეულებშიც ტიტულს მიუახლოვდა



სოფიო ქვაცაბაია

**ანთალიის** საერთაშორისო ტურნირის (თურქეთი, 10 ათასი დოლარი) მეოთხედფინალში ქართული დუელი გაიმართა - უფრო გამოცდილმა, 23 წლის **სოფიო ქვაცაბაიამ** (440) **ეკა გორგოძეს** (417) ძალზე იოლად მოუგო - 6:2, 6:0. არადა, გორგოძე მე-3 ნომრად იყო ტურნირზე განთესილი, ქვაცაბაია კი - მეხუთე ნომრად. ნახევარფინალში სოფიო პირველ ნომრად განთესილ რუმინელ **დიანა ენაჩეს** (381) ეთამაშება. მეორე ნახევარფინალურ წყვილში მე-2 ნომრად განთესილი რუმინელი **ლაურა ანდრეი** გერმანელ **ანა ფრიედსამს** შეხვდება.

ქვაცაბაიამ ერთი ტიტული უკვე მოიგო - წყვილთა ბადეში უკრაინელ **მარინა ზანევსკასთან** (451) ერთად იმარჯვა. ფინალში მე-3 ნომრად განთესილმა ქართულ-უკრაინულმა დუეტმა პირველ ნომრად განთესილი რუმინულ-ჰოლანდიური (ენაჩე, **ჰარმსენი**) დაამარცხა - 6:4, 6:1.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭიდაობა. ვეტერანთა მსოფლიოს პირველობა

# ვეტერანებმა ახალგაზრდობა გაიხსენეს

**ბერძნულ-რომაული** სტილით მოჭიდავე ქართველმა ვეტერანებმა პოლონურ რაციბორზში წარმატებით იჭიდავეს მსოფლიოს პირველობაზე. იქ ჩვენგან ექვსი კაცი გაემგზავრა, რომელთაგანაც ხუთმა მედალი მოიპოვა - 2-2 ოქრო-ვერცხლი და 1 ბრინჯაო. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონები **ომარ მელაშვილი** (58) და **შალვა გაფრინდაშვილი** (76) გახდნენ, **ესტატე გოგლიჩიძე** (130) და **ზაურ ხუბაშვილი** (58) მეორეზე გავიდნენ, **გრიგოლ რობაქიძემ** (58) - მესამეზე. უმედლოდ მხოლოდ **ვასილ ქავთარაძე** (85) დაგვირჩა, რომელიც მეშვიდე ადგილზე გავიდა.

ბერძენ-რომაელთაგან განსხვავებით, მსოფლიოს ჩემპიონატში ვერ გამოვიდნენ თავისუფალი სტილით მოჭიდავე ვეტერანები. მათ ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში უნდა ეჭიდავათ, თუმცა სავიზო პრობლემები ვერ მოაგვარეს. მიზეზი ალბანური მხარეა, რომელმაც დროულად არ გამოაგზავნა მიწვევის ცნობა. ამის მიუხედავად, ჩვენები მაინც გაემგზავრნენ ალბანეთში იმ იმედით, რომ ვიზას გზაში დააწევდნენ, მაგრამ საბოლოოდ უკან მოუხდათ დაბრუნება.

**ირაკლი თავაძე**




**FM 107,9**

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

## ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

● ფარიკაობა. სპორტული კლუბი

# დიდი სპორტის სათავე სკოლაა

შარშან შემოდგომაზე ტიციან ტაბიძის სახელობის თბილისის 43-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი **თინათინ აბუთიძე**) ფარიკაობის კლუბი ჩამოყალიბდა. ინიციატორი გახლდათ ტიციან ტაბიძის შვილიშვილი, ვეტერანი მოფარიკავე, ახალგაზრდებში მსოფლიოს და სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ნიკოლოზ ანდრიაძე**, რომელიც ამჟამად კარდიო-რეანიმაციული ცენტრის დირექტორია.

კლუბის ჩამოყალიბებიდან წელიწადი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ახალგაზრდა მწვრთნელების — **ქეთევან ერემეიშვილისა** და **გიორგი პაიჭაძის** ხელმძღვანელობით აქაურმა მოფარიკავეებმა არაერთ წარმატებას მიაღწიეს. 43-ე სკოლის მეექვსეკლასელი **ნიკა შენგელია** თანატოლებში საქართველოს ჩემპიონი და გურამ ლორთქიფანიძის თასის მფლობელია, მისი თანაკლასელი **ანა აფრასიძე** საქართველოს პრიზიორია (ორივე-ხმალში), ხმალსა და რა-



მარცხნიდან: ნიკოლოზ ანდრიაძე, ნიკა შენგელია, ანა აფრასიძე, არიადნა მანუსაჯევა, სოფო ნიქარაშვილი და ქეთევან ერემეიშვილი.

პირაში მე-2 ადგილები დაიკავა მერვეკლასელმა **სოფიო ნიქარიშვილმა.**

ნიკოლოზ ანდრიაძის სახელობის საფარიკაო კლუბში სხვა სკოლების წარმომადგენლებიც მეცადინეობენ. 37-ესკოლელი **არიადნა მანუსაჯევა** თანატოლებში საქართველოს ორგზის ჩემპიონია, ხოლო **ქრისტინე ნოზაძემ** (54-ე სკოლა) წლეულს იუნიორებში მე-2 ადგილი დაიკავა...

გუშინ 43-ე სკოლაში ზეიმით აღინიშნა კლუბის დაარსების წლისთავი. ამ თარიღს მიეძღვნა კლუბის ღია პირველობა. გოგონათა ფინალში **ელენე ნანობაშვილმა** სოფიო ნიქარიშვილს სძლია 8:7, ხოლო ვაჟთა გადამწყვეტ პაექრობაში ნიკა შენგელიამ სეხნია — **ნიკა ქეიშვილს** აჯობა 8:4. გამარჯვებულები და პრიზიორები, ასევე, ნორჩი მოფარიკავეები, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **მამუკა ახვლედიანმა** ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

**მამუკა ახვლედიანი:** — ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს საჯარო სკოლებში სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს სპორტის სხვადასხვა სახეობა. ფარიკაობა, მოგეხსენებათ, ელიტარული სპორტია და წარმატებების მოპოვება იოლი არ არის. სასიამოვნოა, რომ ჩვენი ათლეტები საერთაშორისო სარბიელზე უწინდელი ტრადიციების დაბრუნებას ცდილობენ. საწყისი სწორედ საჯარო სკოლების ბაზები უნდა გახდეს, მსგავსად დედაქალაქის 43-ე საჯარო სკოლისა. დიდ სპორტზე რომ არაფერი ვთქვათ, ასეთ კლუბებში ახალგაზრდების მოზიდვა ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვასა და ჰარმონიულად განვითარებული ახალგაზრდების აღზრდაში დაგვეხმარება, ამიტომ თითოეული ჩვენგანი მსგავს კლუბებს გვერდით უნდა დაუდგეს.

**არჩილ გოგელია,** საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტი: — მოხარული ვარ, რომ სკოლებში ნელ-ნელა ინერგება ფარიკაობა. 43-ე სკოლა ამ საქმეში მაგალითისა და ტონუსის მიმცემია. მადლობელი ვარ სკოლის დირექტორის — ქალბატონ თინათინ აბუთიძისა, რომელიც მწვრთნელებსა და სპორტსმენებს ყოველმხრივ უწყობს ხელს. მე თუ მკითხავთ, დიდი სპორტი სკოლებში უნდა იღებდეს სათავეს. ჩვენ იმდენი ბაზა თუ დარბაზი არ გვაქვს, რომ ყველა მსურველი დავიტიოთ, ამიტომაც გვჭირდება საჯარო სკოლების მხარდაჭერა და თანადგომა. კარგია, რომ ბოლო დროს საქართველოში სპორტი სწორედ ამ მიმართულებით ვითარდება. მადლობა მინდა ვუთხრა დღევანდელი ლამაზი ღონისძიების ორგანიზატორებს. ნიკოლოზ ანდრიაძის სახელობის ფარიკაობის კლუბს ჩვენი ფედერაციის თანადგომაც არ მოაკლდება.

**ნიკოლოზ ანდრიაძე:** ჩვენმა ჩანაფიქრმა გაამართლა: 43-ე სკოლის საფარიკაო კლუბში უკვე ფრთიანდებიან ჩემპიონები, თუმცა მისი ჩამოყალიბებიდან სულ რაღაც წელიწადი გავიდა, თანაც ახლო-მახლო სკოლების წარმომადგენლებიც მიიზიდა. რომ არა თბილისის საკრებულოს, პირადად მამუკა ახვლედიანის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის ხელმძღვანელის ზაზა დოლიძის, საკრებულოს წევრ მარი დგებუაძის აქტიური თანადგომა, წარმატებების მიღწევა გაგვიჭირდებოდა. საგულისხმოა ისიც, რომ ამერიკელ ლეგიონერთა ხელშეწყობით საფარიკაო ფორმებისა და ინვენტარის ნაკლებობასაც არ ვუჩივით. ამგვარი ერთსულოვნება თუ იქნება, ჩემპიონებს მომავალშიც გავზრდით.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

● ოლიმპიური ფილატელია



დღეს გთავაზობთ 1896 წლის ზაფხულის I ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი ოლიმპიური ფილატელიის კიდევ სამ ნიმუშს.

ავტორები: **ე. მუშინი** (გრავიორი) და **გ. გილერონი** (მხატვარი).

● ვინ რა თქვა..

„ლეო მესი საუკეთესოა მათ შორის, ვინც ოდესმე მინახავს და ვისაც ოდესმე ვნახავ".

**პეპ გვარდიოლა**

■ ■ ■

„მოხარული ვიქნებოდი, რომ ფეხბურთში, ჩვენთანაც იყოს ბევრი ისეთი წესი, რაც საკალათბურთო ნბა-შია, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენზე არაა დამოკიდებული".

**ენრიკე სერეზო**
საფეხბურთო კლუბი „ატლეტიკო მადრიდის" პრეზიდენტი 2003 წლიდან.

● თარიღი. 23-28 ოქტომბერი

**23. 1940 წ.** დაიბადა **პელე** - ფეხბურთი (ბრაზილია).
**23. 1929 წ.** დაიბადა **შანდორ კოშიჩი**-ფეხბურთი (ესპანეთი).
**23. 1956 წ.** დაიბადა **პაოლო როსი**-ფეხბურთი (იტალია).
**24. 1956 წ.** დაიბადა **მარკო ტარდელი**-ფეხბურთი (იტალია).
**25. 1955 წ.** დაიბადა **კარლ ჰაინც რუმენიგე** - ფეხბურთი (გერმანია).
**26. 1927 წ.** დაიბადა **ენცო ბეარზოტი** - ფეხბურთი (იტალია).
**27. 1953 წ.** დაიბადა **კლაუდიო ჯენტილე** - ფეხბურთი (იტალია).
**28. 1891 წ.** შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „პენიაროლი" (მონტევიდეო, ურუგვაი).

● სპორტის არაოლიმპიური სახეობები

# პოლო

**პოლო**. ცხენოსნური სპორტული გუნდური თამაში ბურთით და გრძელი, ჩაქუჩისმაგვარი ჯოხებით. მიჩნეულია უძველეს აზიურ თამაშად. სავარაუდოდ, გავრცელებული იყო სპარსეთში, ჩინეთსა და ინდოეთის ჩრდილოეთში. XIX საუკუნის შუა წლებში ინდოეთის შტატ მანიპურში ინგლისელმა დამპყრობლებმა მივიწყებული სახეობა კვლავ აალორძინეს. ამ საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ლეიტენანტ ჯონ ფ. შერერს, რომელსაც თანამედროვე პოლოს მამასაც უწოდებენ. თამაში სწრაფად გავრცელდა მთელ ინდოეთში, 1869 წელს კი ინგლისელმა სამხედროებმა იგი ევროპაში ჩამოიტანეს. მოგვიანებით პოლომ ფეხი მოიკიდა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც.

ოლიმპიადაზე პოლო პირველად 1900 წელს პარიზში გამოჩნდა, თუმცა, ზოგი ისტორიკოსის ცნობით, სახეობა იმდენად მეომრული იყო, რომ მისთვის ბოლომდე ოლიმპიური სტატუსი არც მიუციათ. პარიზში გაიმარჯვა ბრიტანელი და ამერიკელი სპორტსმენების ნაკრებმა გუნდმა „ოქსჰანტერსმა". 1908 წელს ლონდონის თამაშებში სარბიელზე გამოვიდა სამი ბრიტანული გუნდი, 1920 წელს კი შეჯიბრებამ მართლაც საერთაშორისო ხასიათი მიიღო. ბოლოს ოლიმპიადის პროგრამაში პოლო შეტანილი იყო 1936 წელს. გაიმარჯვა არგენტინამ.



პოლოს თამაშობს ცხენოსანთა ორი გუნდი ფეხბურთის მოედანზე, დაახლოებით ცხრაჯერ დიდ მინდორზე ბურთით, რომლის სისწრაფე ხშირად საათში 50 კილომეტრს აღწევს. გუნდში 4 კაცია. პოლოში ტაიმს ჩუკას უწოდებენ. მისი ხანგრძლივობა 7 წუთია. ოთხწუთიანი შესვენების დროს მოთამაშეები ცხენებს იცვლიან. შეჯიბრების ხარისხის მიხედვით, მატჩი 4 ან 8 ტაიმისგან შედგება. ფრის შემთხვევაში თამაში გოლამდე გრძელდება. თითოეულ მოთამაშეს ოფიციალურად მინიჭებული აქვს გოლების ჰანდიკაპი (2-იდან 10 გოლამდე). თუ გუნდი, რომლის ჯამური ჰანდიკაპი, მაგალითად, 20-ს უდრის, ეთამაშება 14-იან მეტოქეს, იგი ვალდებულია მატჩი 6 გოლის მიცემით დაიწყოს. მეტოქეები შეიძლება ერთმანეთს შეეჯახონ, რაც ხშირად ჯარიმას იწვევს.

არსებობს პოლო სპილოებით, პოლო დარბაზში, პოლო ღია მოედანზე, ზამთრის პოლო, პოლო კროსი და სხვა ნაირსახეობები.

● პირველი, პირველმა, პირველად...

■ ■ ■

**პირველი** საერთაშორისო ველორბოლა ჩატარდა აშშ-ში და იგი ექვს ეტაპს მოიცავდა.

■ ■ ■

**პირველმა** თვითნაკეთი იალქნიანი ნავით თავისი ქვეყნიდან ინგლისამდე იმოგზაურა ჰოლანდიელმა ქირურგმა **ჰენრი დე ვოლტმა.**

■ ■ ■

**პირველად** ბურთის თამაში უცხოურ ლიტერატურაში გერმანულ საერო ეპოსში „სიმღერა ალექსანდრეზე" 1125 წელს მოიხსენიება.

● სპორტის უცნაური სახეობები

## წყალქვეშა რაგბი

ეს თამაში ტარდება 4 მეტრის სიღრმის აუზში. ორი გუნდი 11-11 მოთამაშით ცდილობს მოწინააღმდეგის კალათაში, რომელიც განთავსებულია აუზის ძირზე, ჩააგდოს მძიმე ბურთი. აქ მათ შეუძლიათ ნებისმიერი მოძრაობის შესრულება და ახალი ტაქტიკის მოფიქრება.



## წვერ-ულვაშის ჩემპიონატი

წვერ-ულვაშის ჩემპიონატში, რა თქმა უნდა, იმარჯვებს ის, ვისაც აქვს რაიმე ორიგინალური ვარცხნილობა წვერზე ან ულვაშზე.

## ცოლის ხელით ტარების ჩემპიონატი

პირველად საფუძველი ასეთ შეჯიბრებას ჩაეყარა ფინეთში. ამ თამაშის არსი ის არის, რომ მამაკაცმა ხელში აყვანილი ცოლით უნდა შემოირბინოს სპეციალურად მოწყობილი მოედანი. გამარჯვებულია ის, ვინც ყველაზე სწრაფად შეასრულებს დავალებას.

● ვიქტორინა

**1. სად და რომელ წელს ჩატარდა ძალოსნობაში მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი?**
ა — 1848 წელს პარიზში
ბ — 1891 წელს ლონდონში
გ — 1904 წელს სტამბოლში

**2. რომელ წელს, ვინ და სად გამოიგონა კალათბურთის თამაში?**
ა — 1880 წელს ბალცომ, რუმინეთი
ბ — 1886 წელს შმიდტმა, გერმანია
გ — 1891 წელს ნეისმითმა, აშშ

**3. რომელი წლიდან მონაწილეობენ ქალი კალათბურთელები ოლიმპიურ თამაშებში?**
ა — 1952 წლიდან
ბ — 1976 წლიდან
გ — 1984 წლიდან

**4. სად და რომელ წელს შეიქმნა პირველად კრივის წესები?**
ა — საფრანგეთში 1844 წელს
ბ — ავსტრალიაში 1904 წელს
გ — ინგლისში, 1856 წელს

**5. სად და რომელ წელს ჩართეს პირველად ხელბურთის თამაში ფიზიკური აღზრდის სასკოლო პროგრამაში?**
ა — დანიაში, 1898 წელს
ბ — შვეციაში, 1912 წელს
გ — უნგრეთში, 1932 წელს

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ბ, 4-გ, 5-ა

## კროსვორდი



**თარაზულად:** 3. ავსტრალიელი ჩოგბურთელი მარგარეტ ...; 6. ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" ქართველი თავდამსხმელი; 7. პრაღის საფეხბურთო კლუბი; 9. მუქარა ჭადრაკში; 10. სპორტსმენის მიერ ნაჩვენები შედეგი, რომელიც აღემატება ყველა ადრინდელ მიღწევას; 11. ესპანელი ჩოგბურთელი კარლოს ...; 14. საჩხერის საფეხბურთო კლუბი; 15. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია /შემოკლებით/; 17. ქართული წარმოშობის ნალჩიკის "სპარტაკის" მცველი; 18. იხ. სურათი: XX საუკუნის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე; 19. "მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარე ... დე ხეა; 20. მალის საფეხბურთო ნაკრებისა და "მონაკოს" თავდამსხმელი; 24. გაბრიელ ... ბატისტუტა; 25. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი; 27. გერმანიის საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი; 30. კანადელი ჰოკეისტი, "კალგარი ფლეიმზის" კაპიტანი; 31. ძიუდოს საქიდაო ხალიჩა; 32. იტალიური "კატანიას" არგენტინელი ნახევარმცველი.

**შვეულად:** 1. თავისუფალი მცველი ფეხბურთში; 2. არგენტინული ცხენბურთი; 3. მასწავლებელი კარატეში; 4. ქართული ცხენოსნური თამაში; 5. ბურთის გადაცემა; 6. "მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანი; 8. ფილიპინური საბრძოლო ხელოვნება; 12. გერმანიის საფეხბურთო კლუბი; 13. მილანის "ინტერის" მთავარი მწვრთნელი; 14. ოთხი წერტილი კამათელზე; 16. გამარჯვების ქალღმერთი; 19. ცნობილი ბერძენი ძალოსანი პიროს ...; 21. ფარიკაობაში: განმეორებითი გამაფრთხილებელი ჩხვლეტა; 22. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 23. რიგის საფეხბურთო კლუბი; 26. მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა რეკორდსმენი ცურვაში ვაჟთა შორის; 28. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი; 29. ცნობილი გერმანელი ფიგურისტი კატარინა ...;

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

● სუპერლიგა. I ტურის MVP

# სუპერლიგა გაიმპორტულდა

| I ტური | |
|---|---|
| შსს-ბათუმი | 101:77 |
| სამედიცინო-სტუ | 75:104 |
| სოხუმი-რუსთავი | 108:62 |
| თსუ-ოლიმპი | 68:69 |
| ქუთაისი-დინამო | 108:73 |

**რეკორდები**

**ქულა**
31 - ბრენდონ გაი (სოხუმი)
2-ქულ 4/6; 3-ქულ 6/12; საჯ 5/6
15.10.11 სოხუმი-რუსთავი

**მოხსნა**
16 - ილიცა მილუტინოვიჩი (ოლიმპი)
(მეტოქ: 5; საკუთ: 11)
15.10.11 თსუ - ოლიმპი

**პასი**
10 - რობერტ კრეპსი (შსს)
15.10.11 შსს-ბათუმი
10 - ლაშა ფარლალავა (სოხუმი)
15.10.11 სოხუმი-რუსთავი

**ჩაჭრა**
5 - დუდა სანაძე (დინამო)
16.10.11 ქუთაისი-დინამო

**დაფარება**
6 - ილიცა მილუტინოვიჩი (ოლიმპი)
15.10.11 თსუ-ოლიმპი

ჯერაც ვერ მოვეშვი სამი წლის წინანდელი და ამჟამინდელი ჩემპიონატების შედარებას: მაშინ სუპერლიგაში ორად ორი ლეგიონერი თამაშობდა, თუმცა მათაც იმდენი დრო ჰქონდათ გატარებული ჩვენს ქვეყანაში, რომ ქართულ პასპორტს ელოდნენ (**ტუჯანი** და **როდუმტა**). მას მერე სიტუაცია პოზიტიურად შეიცვალა, თუმცა ჩვენს ჩემპიონატში ისეთი უცხოელი არ გამოჩენილა, ქართველებზე უკეთესი ყოფილიყოს. ამიტომაც „ლელოს“ ყოველკვირეული სიმბოლური ხუთეულები მაინც ქართველებით ივსებოდა. დღეს კი 2011-12 წლების სუპერლიგის I ტურის სიმბოლურ ნაკრებში სამი უცხოელი და ორი ქართველია. მეტსაც გეტყვით, მეორე ტურიდან პირველობაში „არმია“ ჩაერთვება და მერე ნახეთ სიმბოლურის „გაიმპორტულება“.

ვიდრე ხუთეულსა და პირველ ტურს შევეხებოდეთ, ზოგად მოსაზრებას მოგახსენებთ: მერედა, კარგია გუნდების უცხოელებით შევსება? ეს კითხვა უკრაინაშიც მძაფრად დაისვა, შარშანწინ გუნდები ბანაკებად დაიყო და ორი პარალელური ჩემპიონატი ჩატარდა... მაშინ იმ ჯგუფს ვემხრობოდი, რომლებიც ლეგიონერთა ლიმიტის შეზღუდვას არ უჭერდა მხარს. მიმაჩნია, რომ საქართველოს ჩემპიონატს ლეგიონერები მხოლოდ გაალამაზებენ და ინტერესს შემატებენ. დებულების მიხედვით ხომ თითო გუნდს მაქსიმუმ ხუთი უცხოელის დამატების უფლება აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ განაცხადში 7 ქართველი იქნება. მივყვეთ ლოგიკას: თუ კლუბს ხუთი უცხოელის ჩამოყვანის საშუალება აქვს, გამორიცხულია ადგილობრივებზე სუსტები დაიმატოს. ხოლო, ძლიერ ლეგიონერებთან ვარჯიში და თამაში რა სარგებლობას იძლევა, ამას **ანატოლი ბოისა** გვეტყვის:

- ყველას კარგად მოეხსენება, რომ „არმიის“ ხუთივე უცხოელი მაღალი დონისაა. სხვა კალათბურთს თამაშობს. ამიტომ, ჩვენ, ქართველებიც ერთიორად ვინდომებთ, ვცდილობთ, ტოლი არ დავუდოთ, რაც ვარჯიშების ხარისხზე დადებითად მოქმედებს.

■ ■ ■

პირველ ტურში „არმიას“ არ უთამაშია, ამიტომ გასული შაბათ-კვირის მატჩებში ყველაზე მაღალი კლასის კალათბურთელი **ბრენდონ გაი** იყო. მან ეს ევროჩელენჯის საკვალიფიკაციო მატჩებშიც დაამტკიცა. თბილისში, „მინსკთან“ მართალია 26 წუთში 10 ქულა ჩააგდო, მაგრამ ძირითადად შავი სამუშაოს შესრულებით იყო დაკავებული და თანაგუნდელებს ეხმარებოდა. თუმცა სროლის სიზუსტეს ვერ დავუწუნებდით: 5-დან 3 ორქულიანი, 4-დან 2 სამიანი, 4-დან 3 საჯარიმო. მეორე მატჩში ბრენდონი ერთადერთი იყო სოხუმელთაგან, ვინც 10-ქულიანი ბარიერი გადალახა - 18 ქულა ჩააგდო.



გასაკვირი სულაც არ არის, რომ გაიმ საქართველოს ჩემპიონატი რეკორდით დაიწყო - 31 ქულა ჩააგდო და ქართული მასმედიისგან ტურის საუკეთესო კალათბურთელად აღიარება დაიმსახურა. საინტერესოა ისიც, რომ ბრენდონი მოედნის მიღმაც საინტერესო პიროვნებაა, ხშირად ნახავთ წიგნებით, თავმდაბალი და განათლებულია.

■ ■ ■

ტურის ყველაზე დაძაბული შეხვედრა თსუ-სა და ახლად შექმნილ „ოლიმპს“ შორის გაიმართა. ვინ გაიმარჯვა, ამავე გვერდზე შეგიძლიათ წაიკითხოთ, აქ კი მთავარზე გავამახვილებთ ყურადღებას - ოლიმპელებს კარგი ლეგიონერები შეურჩევიათ. პირველივე ტურში გუნდში რამდენიმე დღის ჩამოსულმა **ილიცა მილუტინოვიჩმა** 16 ქულა და 13 მოხსნა მიითვალა, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია - მის ანგარიშზე 6 დაფარებაა. ვფიქრობთ, სიმბოლურ ნაკრებში ცენტრად სერბი კალათბურთელის დაყენება ლოგიკურია. მას თსუ-სთან მატჩისას ფორვარდის პოზიციიდან **მიხეილ ბერიშვილი** ეხმარებოდა, რომელმაც 19 ქულას მოუყარა თავი. ეს ორი თანაგუნდელი ერთმანეთს სიმბოლურშიც დაეხმარებიან.

ჩვენს ხუთეულში მესამე ნომრის პოზიციაზე ბრენდონ გაი დავაყენეთ, ხოლო მსროლელად მისი თანაგუნდელი **ლაშა ფარლალავა,** რომელსაც შარშან სამმაგ დუბლამდე ხან ერთი მოხსნა დააკლდა, ხან - პასი. წლევანდელი ჩემპიონატიც ასე დაიწყო - ორით მეტი რომ მოეხსნა, „ტრიპლ-დაბლს“ გაიფორმებდა. დაველოდოთ მომდევნო ტურებს...

ჩვენს ნაკრებში გამთამაშებლის პოზიციაზე შსს-ს ამერიკელი ლეგიონერი **რობო კრეპსი** გავამწესეთ. **ბექა წივწივაძის** არყოფნაში (შეუძლოდ იყო) პირველი ნომრის ფუნქციაც კარგად შეასრულა და პირველობაც ითავა. რობოს ორმაგი დუბლიც ეფექტური გამოუვიდა - 22 ქულა, 10 პასი.




● საქართველოს XXI ჩემპიონატი. II ტური




# რეგიონული ლოგიკა

სუპერლიგის მეორე წრე გუშინ რეგიონებში გაიხსნა: „რუსთავმა“ „ქუთაისს“ უმასპინძლა, ხოლო „ბათუმმა“ - თსუ-ს. შეხვედრებში მოულოდნელი შედეგები არ დაფიქსირებულა, გაიმარჯვეს ფავორიტებმა. ქუთათურებმა რუსთავში პირველივე მეოთხედში მოიპოვეს ხელჩასაჭიდი უპირატესობა. რაც შეეხება თსუ-ს, შარშანდელი ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონს ბათუმში გაუჭირდა, მესამე პერიოდის შემდეგ 56:63-ს აგებდა, თუმცა გადამწყვეტ რაუნდში 21:5 იმარჯვა და სეზონის პირველი მოგება ჩაიწერა.

**21 ოქტომბერი, ბათუმი**

**ბათუმი-თსუ 68:77**

10:27, 24:19, 29:10, 5:21

**ბათუმი:** ვ. მაისურაძე (3ქ, 7მ), მიქელაძე (20ქ, 5), ნინუა (2ქ), ელიაძე (6ქ), კეშელავა (20ქ, 12მ), ელიაშვილი (6ქ, 5მ, 3პ), რამიშვილი (5ქ, 5მ), ბოლქვაძე (6ქ, 6მ).

**თსუ:** ჩიტაშვილი (5ქ, 5პ), ზ. მაისურაძე (2ქ), ფანჩულიძე (24ქ, 4პ, 3ჩ), კოხრეიძე (2ქ, 5მ), მარკოიშვილი (8ქ, 7მ), ნინიაშვილი (14ქ, 6მ, 3ჩ), დ. ბერიშვილი (6ქ), შერმადინი (6ქ, 10მ, 2დ), კორკოტაძე (6ქ), ხიზანიშვილი (4ქ).

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, მ. ანდღულაძე

**კომისარი:** ა. კაზანჯიანი

**21 ოქტომბერი, რუსთავი**

**რუსთავი-ქუთაისი 61:98**

12:34, 17:22, 21:21, 11:21

**რუსთავი:** არწივიძე (6ქ, 3პ), ჩაჩანიძე (7ქ), ხმელიძე (23ქ, 9მ, 3ჩ), მაჭავარიანი (9ქ), გუგავა (5ქ, 7მ), ბააკაშვილი (1ქ), კოპალიანი (7ქ, 6მ), გ. ბერუაშვილი, თვარაძე (3ქ, 6მ).

**ქუთაისი:** ფაშაევი (4ქ, 5მ, 3პ), ბაბუნაშვილი (17ქ, 8მ, 5პ), დიდია (7ქ, 6პ), ცეკვავა (6ქ, 8პ, 4ჩ), მესხი (2ქ), ტუკვაძე (6ქ), დ. ბარბაქაძე (6ქ, 6მ, 4პ), ლომინაშვილი (8ქ, 6მ), გ. ბარბაქაძე (16ქ, 5მ, 4ჩ), კუჭავა (2ქ), ქორიძე (4ქ), მათიაშვილი (20ქ, 4პ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, ი. ბერიშვილი, გ. მიქელაძე.

**კომისარი:** რ. ხომერიკი

● პერსპექტივა

# 11 სექტემბრიდან, ოქტომბრამდე

11 ოქტომბერს სერბეთის ქალაქ ბელგრადიდან დაბრუნდა 16 წლის კალათბურთელი **გიორგი ჭონიაშვილი.** იგი საკალათბურთო აკადემიაში გადიოდა „სტაჟირებას“ და როგორც თავად ამბობს, მოკლე დროში ბევრი ისწავლა. მეტს არ განვაგრძობთ, მოვუსმინოთ თავად გიორგის.



- ამ ზაფხულს სერბეთის საკალათბურთო აკადემიაში გიგა კვეტენაძე და ლევან სულაბერიძე იყვნენ. მათთან ერთად კიდევ არაერთი უცხოელი ჩავიდა ბელგრადში სავარჯიშოდ. წესით, მეც ზაფხულში უნდა გავმგზავრებულიყავი, მაგრამ ვიზა დაგვიანებით მომცეს და საქართველოდან 11 სექტემბერს წავედი. აკადემიაში ზუსტად ერთი თვე ვიყავი.

**- ვინ გავარჯიშებდა?**

- გორან სტეფანოვიჩი, რომელიც ინდივიდუალური მომზადების ძლიერი სპეციალისტია. მის ხელში არაერთ ცნობილ კალათბურთელს გაუვლია.

**- რა სახის ვარჯიშები იყო?**

- ძირითად დროს დარბაზში ვატარებდით. პირველი ვარჯიში 10 საათზე იწყებოდა, შემდეგ ტრენაჟორების ოთახში შევდიოდით, ხოლო საღამოს კვლავ ორსაათიანი წვრთნა გვქონდა. მოკლედ, დღეში ხუთი საათი ვვარჯიშობდით. ყურადღება ექცეოდა დრიბლინგს, სროლას, დაცვას, ტაქტიკას, ტექნიკას, მოკლედ ყველა საკალათბურთო კომპონენტს. მართალია, ერთი თვე ვიყავი, მაგრამ ბევრი რამ ვისწავლე.

**- ახლა საკუთარი კარიერის შესახებ გვითხარი.**

- კალათბურთის თამაში 11 წლისამ მწვრთნელ ხათუნა გაბედავასთან დავიწყე. გასულ სეზონში 16-წლამდელთა ჩემპიონატში „ავერსის“ შემადგენლობაში ვთამაშობდი. წლეულს კადეტთა ნაკრებშიც გამომიძახეს, თუმცა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის საბოლოო განაცხადში ვერ მოვხვდი. ახალ სეზონსაც „ავერსში“ დავიწყებ, ოღონდ 18-წლამდელთა პირველობაზე ვიასპარეზებთ.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესკონფერენცია



მარჯვნივ იან სმიტი

# მიზანი ერთია, მხოლოდ პირველი ადგილი

საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების ხელმძღვანელებმა, რომლებიც რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში ევროპის ჩემპიონატზე მიემგზავრებიან, „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ პრესკონფერენცია გამართეს. ჩვენი 17-წლამდელთა ნაკრები ბუქარესტში ერთწრიან ტურნირში ბელგიის, რუმინეთისა და პორტუგალიის ნაკრებებს დაუპირისპირდება.

ცხრამეტწლამდელთა ტურნირში კი 2012 წლის მსოფლიოს ალაფის საგზურის მფლობელის ვინაობა გაირკვევა. აქ ჩვენს ნაკრებს მეტოქეობას გაუწევენ რუმინეთის, პორტუგალიის, ბელგიის, რუსეთის, ესპანეთის, შვეიცარიისა და ჰოლანდიის ნაკრებები.

საქართველოს ნაკრები, როგორც შარშანდელი შეჯიბრის გამარჯვებული, პირველ ნომრადაა განთესილი და მეოთხედფინალში მერვე ნომრად განთესილ შვეიცარიის ნაკრებს დაუპირისპირდება. გამარჯვების შემთხვევაში კი, ნახევარფინალში რუმინეთისა და პორტუგალიის ნაკრებებს შორის გამარჯვებულს ეთამაშება.

**დავით ჩავლეიშვილი**, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

*„ბუქარესტში იმ ორი გუნდის ვინაობა გაირკვევა, რომლებიც გაისად 18-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატზე ექვს ელიტარულ გუნდს დაემატებიან. ჩვენი მეტოქეებიდან კარგად ვიცნობთ რუმინეთის ნაკრებს, რომელსაც შარშან ვეთამაშეთ და დავამარცხეთ. ბელგიის ნაკრები თითქმის ყველა ასაკში ფრანგებითაა გაძლიერებული. პორტუგალიის ნაკრები კი ტრადიციულად სწრაფი, მოძრავი გუნდია და ღია, ხელდახელ თამაშშია ძლიერი.*

**მამუკა ტყეშელაშვილი,** საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი:

*„მზადება თბილისში გავიარეთ. პირველი შეკრება ათდღიანი იყო. ვეცადეთ, რაც შეიძლება მეტი მოთამაშე გაგვესინჯა. ამის მერე დილმის მასივში, „ლოკომოტივის“ საწვრთნელ ბაზაზე ორკვირიანი შეკრება მოვაწყვეთ. ამ პერიოდში ის 26 მორაგბე შევარჩიეთ, ვინც ბუქარესტში ნაკრების კვართს მოირგებს.*

*ამასთან, ბევრი ვიმუშავეთ წინა ტურნირზე წარმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრაზე. უკანა ხაზში საკმაოდ კარგი მოთამაშე გამოჩნდა. ტრადიციულად ძლიერია ჩვენი შერკინება. შესამჩნევად სწრაფი მეორე და მესამეხაზელები გვყავს. გუნდში სულ ხუთი მხტომელია, რაც ამ ასაკის გუნდისთვის ძალიან კარგი მაჩვენებელია“.*

**იან სმიტი,** საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

*„ჩვენი ნაკრების მიზანი ბუქარესტში ევროპის ჩემპიონატის მოგებაა, რაც საშუალებას მოგვცემს, მომავალ წელს იაპონიაში გასამართ მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფზე მივიღოთ მონაწილეობა. თუმცა საამისოდ ფინალში გასვლაც საკმარისი იქნება.*

*ტურნირზე ჩვენი მთავარი მეტოქეები რუმინეთის, რუსეთისა და პორტუგალიის ნაკრებები იქნებიან. მათ შესახებ კონკრეტულად არაფერი ვიცით, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი გუნდი ზუსტად ისე ითამაშებს, როგორადაც ვავარჯიშებთ.*

*საქართველოში ამ ასაკში ყველა საუკეთესო მორაგბე შევკრიბეთ. ზოგი ადვილად ულებს ალლოს ახალ მოთხოვნებს, ზოგს უჭირს, თუმცა მაინც ნელ-ნელა მივდივართ იქითკენ, რომ გამართული, თანამედროვე რაგბი ვითამაშოთ.*

*გუნდში არ არის ისეთი რგოლი, რომლის თამაშიც დახვეწას, გაუმჯობესებას არ საჭიროებდეს. ექვსი კვირა ყველაფრისთვის საკმარისი არ არის, მაგრამ მაინც ბევრის გაკეთება მოვახერხეთ და მორაგბეები ამჟამად ბევრად უკეთესები არიან.*

*ჩვენს მიმართ მოთხოვნა ასეთია, შედეგთან ერთად განვითარებაზეც უნდა ვიზრუნოთ. ეს ძალიან რთულია, თუმცა, ვფიქრობთ, რომ კარგად ვიმუშავეთ, რაც ბუქარესტში აუცილებლად უნდა გამოჩნდეს“*

### საქართველოს ნაკრები, U-17

რამაზ მაზმიშვილი, ბაქარ პირიაშვილი, ალექს ცისკარიშვილი, გიორგი ჩაჩუა, ზაურ ხარებავა, შოთა სადაგაშვილი, მიხეილ მახარაშვილი, შალვა შაშიაშვილი, გიორგი მარგველანი, საბა შუბითიძე, გიორგი გოგლიძე, შოთა თევზაძე, ვახტანგ ამირანაშვილი, ონისე მოგელაშვილი, ბადრი ალხაზიშვილი, რევაზ ბორძელი, თეიმურაზ თუთბერიძე, მიხეილ ზურიკაშვილი, რევაზ ჯინჭველაშვილი, გიორგი ნათელაშვილი, ლაშა ლაშხია, გიორგი ფრუიძე, მურაზ გიორგაძე, დევი დევსურაშვილი, ილია მელაძე, გიორგი აფციაური, ნიკა ამაშუკელი, საბა ჩიხლაძე, უჩა გურგენიძე, ფარნავაზ გასვიანი.

### საქართველოს ნაკრები, U-19

თორნიკე ჯიბლაძე, დავით ხიდეშელი, საბა ნიკოლავა (სამივე-თიბისი), ვახო ახობაძე, გიორგი თეთროშვილი (ორივე-ალბი), არჩილ ბეჟიაშვილი მინდია ელგუჯაური (ორივე-ყოჩები), სანდრო ქოიავა, ელგუჯა სურგულაძე, დაჩი კოპაძე (სამივე-ლელო), გურამ შენგელია (ჯიქები), ვახტანგ რაფავა (ნატალ შარქსი), ვაჟა ხუციშვილი, გიორგი ბასილაია (ორივე-ხარები), ნიკო ჯინჭველაშვილი, ზურაბ ძნელაძე, ნოდარ მარდალეიშვილი, გიორგი ზიბზიბაძე (ოთხივე-აია), გიორგი ბიწაძე (ლოკომოტივი), მერაბ შარიქაძე, ლევან გოგოლაშვილი (ორივე-აკადემია), გიორგი ლომთაძე (ბრეთფორდი), ბექა მამრიკიშვილი, ზაზა ნავროზაშვილი (ორივე-არმია), ლაშა სირაძე, გიორგი მისრიაშვილი (ორივე-არმაზი).

### ევროპის ჩემპიონატი, U-19

მეოთხედფინალი

საქართველო-შვეიცარია, რუმინეთი-პორტუგალია, ბელგია-ჰოლანდია, რუსეთი-ესპანეთი

### ევროპის ჩემპიონატი, U-17

**29 ოქტომბერი**

საქართველო-რუმინეთი, ბელგია-პორტუგალია

**3 ნოემბერი**

საქართველო-ბელგია, რუმინეთი-პორტუგალია

**5 ნოემბერი**

საქართველო-პორტუგალია, რუმინეთი-ბელგია

მსოფლიოს თასი

# ვოლაბები შინ ბრინჯაოთი დაბრუნდნენ

**ავსტრალია-უელსი 21:18**

ავსტრალია (15-9) ბეილი (ჰორნი 9), ოკონორი, ეშლი-კუპერი, ბარნსი, იოანი, კუპერი (ე.ფაინგაა 20), გენია (ბარჯესი 68). (1-8) სლიპერი, პოლოტა-ნაუ (ს.ფაინგაა 52), მააფუ (ალექსანდერი 60), ჰორვილი, შარპი (საიმონსი 47), ჰიგინბოთამი (სამო 24), პოკოქი, მაკკალემენი.

2ლ: ბარნსი, მაკქალმენი. 2ს,გ: ოკონორი. ა: ბარნსი

უელსი (15-9) ჰალპფენი, ნორსი, დევისი, რობერტსი, ვილიამსი, ჰუკი (ს.ჯოუნზი 50), ფილიპსი. (1-8) ჯენკინსი, ბენეტი, ჯეიმზი (ბევინგტონი 63). დევისი, ჩარტერისი, ლიდიატი (პოუელი 60), ფალეტაუ, ჯოუნზი.

2ლ: შ.ვილიამსი, ჰალპფენი. 2ს: ს.ჯოუნზი, ჰუკი, გ: ს.ჯოუნზი

მსაჯი: უეინ ბარნსი (ინგლისი)

ავსტრალიის ნაკრებმა ოქლენდში, „ედენ პარკზე“ მესამე ადგილისთვის მატჩში უელსის ეროვნულ გუნდს 21:18 მოუგო და პირველად თავის ისტორიაში მსოფლიოს თასზე ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, შესანიშნავი გამოდგა. „ვოლაბებმა“ და „წითელმა ურჩხულებმა“ თავიანთი პოტენციალი მაქსიმალურად გამოავლინეს და რაგბის ქომაგს მშვენიერი „სპექტაკლი“ შესთავაზეს.

ავსტრალიელები მატჩს საკადრო პრობლემებით შეხვდნენ, მათ ტრავმების გამო ოთხი წამყვანი მოთამაშე დააკლდათ. პირველი ტაიმის საწყის 20 წუთში კი ზედიზედ ორი საკვანძო ფიგურა, ფულბეკი **ქართლი ბეილი** და მგეზავი **ქუადე კუპერი** დაკარგეს.

„ვოლაბების“ თავკაცი **რობი დინსი** იძულებული გახდა გუნდის შემადგენლობაში გადაადგილებები განეხორციელებინა, რამაც აშკარად გაუმართლა. მგეზავად დაწინაურებულმა ბერიკ ბარნსმა შესანიშნავად გაართვა დაკისრებულ მოვალეობას თავი.

პირველი ტაიმი სანახაობრივად კარგი იყო, მაგრამ არაშესატყვისად შედეგიანი გამოდგა. ბარნსის გატანილ ლელოს, რომელიც **ჯეიმზ ოკონორმა** გარდასახა, უელსელებმა მხოლოდ ერთი საჯარიმოთი უპასუხეს და ტაიმი 7:3 დასრულდა.

მეორე ნახევარი ის იყო დაიწყო, რომ უელსელთა გარემარბმა **შეინ ვილიამსმა** ინდივიდუალური გარღვევა განახორციელა და თავისიანები დააწინაურა - 8:7. ოკონორმა მალე ზედიზედ ორი საჯარიმო მიითვალა და წინ ისევ ვოლაბები გავიდნენ, ამას ბარნსმა დიდოსტატური არეკნიც მიაყოლა, რაზეც უელსელთა მგეზავმა **სტივენ ჯოუნზმა** ერთი საჯარიმოთი უპასუხა - 11:16.

თამაშის დასრულებას ათი წუთი აკლდა. უელსს ერთი გარდასახული ლელო შველოდა, უტევდა კიდეც, მაგრამ ავსტრალიელებმა კონტრიერიშზე დაიჭირეს და **ბენ მაკქალმენის** ლელოთი გამარჯვება გაინაღდეს - 21:11.

უელსელები დანებებას არ აპირებდნენ და საკმაოდ ხანგრძლივი იერიში წამოიწყეს. „წითელმა ურჩხულებმა“ ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოლეს და შეტევის 28-ე ფაზაზე ლელოც გაიტანეს. ის ფულბეკ **ლეიგ ჰალპფენის** ანგარიშზეა, ჯოუნზმა გარდასახა - 18:21 და თამაშიც დასრულდა.

# ოცნება, რომელიც შესაძლოა საშინელებად შეიცვალოს

ხვალ ახალ ზელანდიაში მსოფლიოს თასის გათამაშების ბოლო შეხვედრა გაიმართება. მასპინძლები, ახალზელანდიელი მორაგბეები „ვებ ელისის“ თასისთვის ბრძოლაში საფრანგეთის ნაკრებს დაუპირისპირდებიან.

ამ მატჩის ფავორიტი, უდავოდ, „ოლ ბლექსია“, მაგრამ საფრანგეთის ნაკრები სწორედ ის გუნდია, რომელიც პროგნოზებს ყველაზე ხშირად ამსხვრევს. „ლე ბლო“ ახალი ზელანდიის ნაკრებისთვის დიდ ხანია კერკეტი კაკალია. სწორედ ფრანგებმა შეძლეს თითქოსდა უპირობო ფავორიტის, „ოლ ბლექსის“ დამარცხება 1999 და 2007 წლების მსოფლიოს თასის გათამაშებაში.

თუ მიმდინარე მსოფლიოს თასზე ფრანგთა მიერ ნაჩვენებ თამაშს გავიხსენებთ, არაფერი ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ მათ მასპინძლების დამარცხება შეუძლიათ. პირიქით, „ოლ ბლექსს“ თითქმის არ აქვს სუსტი მხარე. ტრავმირებული მგეზავის, **დენ კარტერის** შემცვლელმა, **აარონ კრადენმაც** დაამტკიცა, რომ შეუძლია დაკისრებულ მოვალეობას თავი წარმატებით გაართვას.

თუმცა, ფრანგებისგან ყველაფერია მოსალოდნელი. თუ ახალზელანდიელებმა მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევა საწყის წუთებშივე მოახერხეს, დამთავრებულია, მათ ველარ შეაჩერებენ. მაგრამ, თუ „ლე ბლომ“ 30 წუთი გაძლო, რაც საკმარისი იქნება იმისთვის, რომ „ოლ ბლექსის“ მორაგბეების ფსიქოლოგიაში ბზარი გაჩნდეს, მაშინ ახალზელანდიელთა ოცნება, შესაძლოა, საშინელებად გადაიქცეს.

თუმცა ჯობია, კვირას დაველოდოთ, ყველაფერი „ედენ პარკის“ მწვანე მინდორზე გამოჩნდება.

**ახალი ზელანდია-საფრანგეთი**

**ახალი ზელანდია:** 15. იზრაელ დაგი, 14. ქორი ჯეინი, 13. კონრად სმითი, 12. მაა ნონუ, 11. რიჩარდ კაჰუი, 10. აარონ კრადენი, 9. პირი ვიპუ. 1. ტონი ვუდკოქი, 2. კევინ მეალამუ, 3. ოუენ ფრენქი, 4. სამუელ ვაითლოქი, 5. ბრედ თორნი, 6. ჯერომ კაინო, 7. რიჩი მაქოა, 8. კირან რიდი.

16. ენდრიუ ჰორი, 17. ბენ ფრენქსი, 18. ალი ვილიამსი, 19. ადამ თომსონი, 20. ენდი ელისი, 21. სტივენ დონალდი, 22. სონი ბილ ვილიამსი.

**საფრანგეთი:** 15. მაქსიმ მედარი, 14. ვინსენ კლერი, 13. ორელიან რუჟერი, 12. მაქსიმ მერმოსი, 11. ალექსის პალისონი, 10. მორგან პარა, 9. დიმოტრი იაშვილი. 1. ჟან-ბატისტ პუ, 2. ვილიამ სერვა, 3. ნიკოლა მასი, 4. პასკალ პაპე, 5. ლიონელ ნალე, 6. ტიერი დუსოტუარი, 7. ჟულიენ ბონერი, 8. იმანოლ არინორდოკი.

16. დიმიტრი სჟარჟევსკი, 17. ფაბიენ ბარსელა, 18. ჟულიენ პიერი, 19. ფულენსე უოდრაოგო, 20. ჟან-მარკ დუსენი, 21. ფრანსუა ტრინ-დუკი, 22. დამიენ ტრაი.

**მსაჯი:** კრეიგ იუბერი (სამხრეთ აფრიკა)



### საქართველოს ჩემპიონატი

დღეს

**გასავარდნი ფინალი**

ლელო-ლოკომოტივი 16 საათი

**შესარჩევი ფინალი**

აია-არმია 16 საათი

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

უცხოური სპორტი

კალათბურთი

# ოპტიმიზმი პესიმიზმმა შეცვალა


ბილ ჰანტერი

ფუჭი გამოდგა კალათბურთის იმ გულშემატკივართა ოპტიმიზმი, რომლებსაც უახლოეს პერიოდში NBA-ის ახალი სეზონის დაწყების იმედი ჰქონდათ.

გუშინ დილით დასრულდა ასოციაციის კლუბების მფლობელთა და მოთამაშეთა პროფკავშირის მორიგი შეხვედრა. მხარეებმა ისევ ვერ მიაღწიეს კონსენსუსს ორ მთავარ საკითხზე - საერთო შემოსავლის გაყოფასა და სახელფასო ბიუჯეტის ლიმიტზე.

ასევე ცუდი ამბავია ის, რომ მხარეები უახლოეს პერიოდში არ აპირებენ მოლაპარაკებების გაგრძელებას.

*„საბოლოოდ, ჩვენ ისევ ვერ შევძელით საკამათო საკითხების მოგვარება,* - ამბობს ლიგის კომისრის მოადგილე **ადამ სილვერი**. - *ვგრძნობთ, რომ ამ ყველაფერს ცუდი შედეგები მოჰყვება, ამიტომაც შეწუხებული ვართ შექმნილი სიტუაციის გამო. იმედი ვიქონიოთ, რომ შევძლებთ ისევ მივუსხდეთ მოლაპარაკებათა მაგიდას“.*

სილვერმა ისიც გაუმხილა ჟურნალისტებს, თუ რატომ ჩაიშალა გუშინდელი მოლაპარაკებები: *„მოთამაშეებსა და მფლობელებს შორის წარმოიშვა უთანხმოება მოგების გაყოფასთან დაკავშირებით. ჩვენი მხარე მზად იყო კალათბურთელებისთვის 50 პროცენტი მიეცათ, იმ დროს, როცა მოთამაშეები არ თანხმდებიან 52.5 პროცენტზე ნაკლებს“.*

შეგახსენებთ, რომ ადრე NBA-ის კომისარი **დევიდ სტერნი** აცხადებდა, რომ თუ მხარეები ამ კვირას მოლაპარაკებას ვერ შეძლებდნენ, ლიგა გააუქმებდა 2011-12 წლების რეგულარული ჩემპიონატის მატჩების მორიგ პორციას. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკებები ჩაიშალა, ადამ სილვერი აცხადებს, რომ ლიგა ჯერ მზად არ არის კალენდრის კიდევ რამდენიმე კვირით შესამცირებლად.

თავად NBA-ის კომისარი დევიდ სტერნი გრიპის გამო არ ესწრებოდა გუშინდელ მოლაპარაკებებს.

რა თქმა უნდა, შეხვედრის შემდეგ ისმოდა ურთიერთბრალდებები. მაგალითად, მოთამაშეები დაადანაშაულეს იმაში, რომ განზრახ აჭიანურებენ მოლაპარაკებათა პროცესს. პროფკავშირების პრეზიდენტი **დერეკ ფიშერი** კალათბურთლების დასაცავად გამოვიდა.

*„მინდა გავარკვიოთ, რომ ადრე თქვენ ყველას გატყუებდნენ. ჩვენ არ ვხარჯავთ დროს ფუჭად და არ ვაყოვნებთ მოლაპარაკებებს. ჩვენ ვადასტურებთ დიალოგის წარმართვის სურვილს“,* - განაცხადა ფიშერმა.

პროფკავშირების აღმასრულებელი დირექტორი **ბილ ჰანტერი** კი თავის პოზიციას იმეორებს და მიიჩნევს, რომ კალათბურთელები შეთქმულების მსხვერპლნი გახდნენ. ჰანტერი დარწმუნებულია იმაში, რომ კლუბების მფლობელებს აწყობთ ლოკაუტი, რადგან მატჩების გაუქმებით ისინი დანერგავენ იმ სისტემას, რომელიც კარგად მოიფიქრეს ბოლო სამი წლის განმავლობაში და რომელიც მოთამაშეებს ჯერჯერობით არ ესმით.

*„თავიდანვე ვიცოდი, რომ კლუბების მფლობელებმა დაგეგმეს ეს ლოკაუტი. ამაში დარწმუნებული ვარ“,* - განაცხადა ჰანტერმა.

გარდა ამისა, პროფკავშირების აღმასრულებელმა დირექტორმა გამოაცხადა, რომ იქამდე, სანამ მფლობელების მიერ მოფიქრებული პროგრამა მოთამაშეებისთვის გასაგები არ გახდება, ისინი არ დათანხმდებიან შემოსავლების თანაბრად განაწილებას.

კრივი

# ჯალათს ტიტული დაუბრუნეს

მსოფლიოს საკრივო საბჭომ (WBC) გადაწყვიტა თავისი ვერსიით ნახევრადმძიმე წონაში საჩემპიონო ქამარი შეუნარჩუნოს ამერიკელ მოკრივე **ბერნარდ ჰოპკინსს**.

შეგახსენებთ, რომ ერთი კვირის წინ ჰოპკინსს ტექნიკური ნოკაუტით წაგება ჩაუთვალეს **ჩედ დოუსონთან** შეხვედრაში. მეორე რაუნდში დოუსონმა მეტოქის დარტყმა აიცილა თავიდან და მთელი ტანით დაეჯახა ბერნარდს. ეს უკანასკნელი რინგზე დაეცა და ხელი დაიზიანა. ბრძოლა შეწყდა და მსაჯებმა გამარჯვება დოუსონს მისცეს. საბოლოოდ, შეხვედრა სკანდალით დასრულდა, რადგან ჰოპკინსმა მიიჩნია, რომ ბრძოლა გაუქმებულად უნდა გამოეცხადებინათ, დოუსონის აზრით კი, მეტოქე ტრავმის სიმულირებას ახდენდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰოპკინსი ბრძოლის შემდეგ საავადმყოფოში გაგზავნეს, სადაც გამოკვლევამ აჩვენა, რომ მას მხარის სახსარი ჰქონდა დაზიანებული.

ახლა კი WBC-ის საბჭომ იმ მომენტის ვიდეოგამეორების შესწავლისას დოუსონის მოქმედება წესის დარღვევად შეაფასა. ამიტომაც მას გამარჯვება ჩამოართვეს, ჰოპკინსს კი ტიტული დაუბრუნეს.

დოუსონის პრომოუტერი **გარი შოუ** არ დაეთანხმა WBC-ის გადაწყვეტილებას. *„იმედგაცრუებული ვარ იმით, რომ WBC-მა ბრძოლის შედეგად ტექნიკური ფრე გამოაცხადა,* - განაცხადა პრომოუტერმა. - *იმედი მაქვს, რომ ეს ორგანიზაცია ისევ გამოაცხადებს დოუსონს ტიტულის აუცილებელ პრეტენდენტად და ისევ მისცემს შანსს.*

*არ მგონია, რომ ეს სწორი გადაწყვეტილება იყოს. ჩვენი აზრით, პირველმა წესი ჰოპკინსმა დაარღვია, როცა ჩედს ზურგზე დაახტა: დოუსონმა კი გააკეთა ის, რასაც სხვა ნებისმიერი გააკეთებდა - მისი ზურგიდან ჩამოგდება სცადა. ვიღებთ WBC-ს გადაწყვეტილებას, მაგრამ არ ვეთანხმებით მას“.*



კალათბურთი

# ფავორიტებმა იმძლავრეს

ექვსი მატჩით გაგრძელდა ევროლიგის ჯგუფური ეტაპის პირველი ტური და თითქმის ყველა მატჩში ლოგიკური შედეგი დაფიქსირდა.

B ჯგუფში ტურნირის მოქმედი ჩემპიონი „პანათინაიკოსი“ საკუთარ მოედანზე იღებდა ესპანეთის „უნიკახას“ და მძიმე პირველი ტაიმის შემდეგ, მაინც მოახერხა დიდი ანგარიშით მოგება. ბერძნებმა პირველი მეოთხედი 9-ქულიანი უპირატესობით მოიგეს, მაგრამ „უნიკახამ“ მეორე 10-წუთეულში მკვეთრად მოუმატა თამაშს, რამაც დიდ შესვენებამდე სხვაობის სამ ქულამდე შემცირების საშუალება მისცა. თუმცა მეორე ტაიმში ყველაფერი თავის ადგილას დადგა. „პანათინაიკოსმა“ მეორე ნახევარი ჯამში 18 ქულით მოიგო და საბოლოოდ, მატჩი 21-ქულიანი უპირატესობით დაასრულა - 98:77.

ბერძნების რიგებში ერთბაშად შვიდმა კალათბურთელმა დააგროვა მინიმუმ 10 ქულა. მათ შორის ყველაზე შედეგიანი იყო ვეტერანი **დიამანტიდისი**, რომელმაც 17 ქულა მიითვალა.

■ ■ ■

ამავე ჯგუფში კიდევ ერთი გამანადგურებელი ანგარიში დაფიქსირდა. ხორვატიის „ზაგრებმა“ სტუმრად ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია გერმანიის „ბამბერგს“. მატჩის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყდა. საწყის მეოთხედში მასპინძლებმა 10-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს, რასაც მეორე მეოთხედში კიდევ 12 ქულა დაუმატეს და დიდი შესვენებისთვის „ბამბერგი“ 22 ქულით იყო წინ.

შესაბამისად, მეორე ნახევარი ფორმალობად გადაიქცა. „ზაგრებმა“ მხოლოდ მეოთხე მეოთხედი ჩაატარა ღირსეულად და ეს ათწუთიანი მონაკვეთი ერთი ქულით წააგო, რამაც ჯამში 31-ქულიანი ჩამორჩენა შეადგინა - 96:65.

■ ■ ■

სერბეთში ფავორიტის სტატუსი დაამტკიცა „ეფეს პილსენმა, რომელიც ბელგრადში „პარტიზანს“ სტუმრობდა. თითქმის თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ, თურქულმა კლუბმა მატჩის ბედი მესამე მეოთხედში გადაწყვიტა, როცა 10 წუთში 20 ქულა ჩაუგდო მეტოქეს, თავად კი საკუთარ ფარში მხოლოდ ექვსი ქულა მიიღო.

ბოლო მეოთხედში „პარტიზანმა“ სცადა მატჩის გადარჩენა, შეხვედრის დასკვნითი ნაწილი ექვსი ქულითაც მოიგო, მაგრამ 11 ქულაზე ახლოს ვერ მიუახლოვდა მეტოქეს. აღსანიშნავია, თურქების კარგი თამაში დაცვაში. კერძოდ, „ეფესის“ ორმა კალათბურთელმა - **ვუიაჩიჩმა** და **ილიასოვამ** ჯამში რვა ჩაჭრა მიითვალეს.

■ ■ ■

ევროლიგაზე მოთამაშე ქართველთაგან ყველაზე კარგი სტატისტიკა **თორნიკე შენგელიამ** დააფიქსირა, რომელიც ბელგიის „შარლერუას“ ღირსებას იცავს. ქართველ კალათბურთელს მადრიდის „რეალთან“ საშინაო მატჩში ერთი მოხსნა არ ეყო ორმაგ დუბლამდე - თორნიკეს ანგარიშზე 10 ქულა და 9 მოხსნა მოდის.

რაც შეეხება შეხვედრას, მთელი მატჩის განმავლობაში იგრძნობოდა „რეალის“ უფრო მაღალი კლასი. ესპანელებმა ოთხივე მეოთხედი მოუგეს მეტოქეს და საბოლოოდ, 24-ქულიანი უპირატესობა დააფიქსირეს - 100:76.

„რეალს“ 19 ქულა შესძინა NBA-დან აყვანილმა **რუდი ფერნანდესმა**. ამდენივე ქულა იყო **ფელიპე რეიესის** ანგარიშზე, რომელმაც ამ მონაგარს ცხრა მოხსნაც დაუმატა.

■ ■ ■

ყველაზე დაძაბული შეხვედრა მილანში გაიმართა, სადაც ადგილობრივი კლუბი - „არმანი ჯინსი“ ევროლიგის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტს თელ-ავივის „მაკაბის“ ხვდებოდა. ისრაელის ჩემპიონმა კარგად დაიწყო შეხვედრა და პირველი მეოთხედი ხუთი ქულის სხვაობით მოიგო, მაგრამ მეორე და მესამე პერიოდში „მილანი“ სრულ უპირატესობას დაეუფლა. მეორე ათწუთეულში მან ჯერ გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ სამი



ქულით წინ გასვლა მოახერხა, მესამე მეოთხედში კი 10 ქულა მოიგო და უპირატესობა სოლიდური გახადა.

ბოლო პერიოდში დაგვიანებული იყო „მაკაბის“ მხრიდან მატჩის გადარჩენის მცდელობა. მართალია, ეს 10-წუთიანი მონაკვეთი სტუმრებმა ექვსი ქულით მოიგეს, მაგრამ შვიდ ქულამდე ახლოს ვერ მივიდნენ მეტოქესთან - 89:82 მილანელთა სასარგებლოდ, რომელთა რიგებში გამორჩეული იყო NBA-დან გადაბირებული **დანილო გალინარი** - მის ანგარიშზე 23 ქულა და 7 მოხსნა მოდის.

■ ■ ■

D ჯგუფის ერთადერთ შეხვედრაში კიდევ ერთი ფავორიტი თამაშობდა და მორიგი გამანადგურებელი ანგარიში ვიხილეთ. „ბარსელონამ“ სტუმრად, სლოვენიაში 22 ქულით მოუგო ადგილობრივ „ოლიმპიას“ - 86:64.

ევროლიგაზე „ბარსელონას“ რიგებში შესანიშნავი დებიუტი გამოუვიდა ბრაზილიელ **მარსელინიო უერტასს**. გარდა იმისა, რომ ეს გამთამაშებელი 17 ქულით მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი გახდა, მან აგრეთვე 8 შედეგიანი გადაცემითა და 5 მოხსნით გამოიჩინა თავი.

იმის გამო, რომ მატჩის ბედი ნაადრევად გადაწყდა, „ბარსას“ ლიდერები დასასვენებლად გაემართნენ. ამიტომაც, ევრობასკეტის საუკეთესო მოთამაშის **ხუან კარლოს ნავაროს** ანგარიშზე მხოლოდ 9 ქულა მოდის.

**B ჯგუფი**

**პანათინაიკოსი–უნიკახა 98:77**

25:16, 27:33, 25:12, 21:16

პ: დიამანტიდისი (17+7 პასი), სატო (16+6 მოხსნა), სმიტი (13), კაიმაკოგლუ (13+4 პასი), კალატესი (12+4 პასი), იასიკიავიჩუსი (10), მარიჩი (10).

უ: ვალტერსი (13), პერიჩი (13+5 მოხსნა), სინანოვიჩი (11+7 მოხსნა), როულენდი (10).

**ბამბერგი–ზაგრები 96:65**

26:16, 26:14, 28:20, 16:15

ბ: ტაკერი (20+5 მოხსნა), სლოფტერი (16+10 მოხსნა+3 დაფარება), იაკობსენი (16), სუპუტი (15), ჯენკინსი (10).

ზ: სიმონი (14+6 მოხსნა), გარეტი (11), მეი (10+9 მოხსნა), კასუნი (10+7 მოხსნა), მულაომეროვიჩი (8).

**C ჯგუფი**

**პარტიზანი–ეფესი 73:84**

28:27, 17:21, 6:20, 22:16

პ: პეკოვიჩი (21+6 მოხსნა), მაჩვანი (14+7 მოხსნა), მილოსავლევიჩი (10), რადულიცა (9).

ე: კინსი (18), სავანოვიჩი (17), ვუიაჩიჩი (14+4 ჩაჭრა), ილიასოვა (10+4 ჩაჭრა).

**შარლერუა–რეალი 76:100**

16:23, 21:22, 18:26, 21:29

შ: მალეტი (27+4 პასი), შენგელია (11+9 მოხსნა), ჰემილტონი (9+5 მოხსნა+4 პასი), ბეგინი (9), რიდიკი (8).

რ: ფერნანდესი (19), რეიესი (19+9 მოხსნა), კეროლი (14), მიროტიჩი (9), სუარესი (9), ტომიჩი (9+6 მოხსნა), პოჩიუსი (8).

**მილანი–მაკაბი 89:82**

14:19, 27:19, 24:14, 24:30

მილ: ჰეირსტონი (25+6 პასი), გალინარი (23+7 მოხსნა), ბურუსისი (13+10 მოხსნა), როკა (10+6 მოხსნა).

მაკ: ელიაჰუ (23+8 მოხსნა), ბლუ (15), პაპალუკასი (13+6 მოხსნა), შორცანიდისი (9).

**D ჯგუფი**

**ოლიმპია–ბარსელონა 64:86**

19:24, 11:17, 21:20, 13:25

ო: გრინი (17), ვარდა (16), ტომპსონი (9+6 მოხსნა).

ბ: მარსელინიო უერტასი (17+5 მოხსნა+8 პასი), მიკელი (15), ვასკესი (10), ნავარო (9).

ფორმულა 1

# ფორს ინდიაში ნიკო მოდის

ბრიტანული ჟურნალის „ავტოსპორტის“ ცნობით, „ფორს ინდიას“ სარეზერვო პილოტი **ნიკო ჰიულკენბერგი**, შესაძლოა, მომავალ წელს ინდური საჯინიბოს ძირითადი პილოტი გახდეს. სავარაუდოდ, ის **ადრიან სუტილს** შეცვლის, მისი მეწყვილე კი „ფორს ინდიას“ ამჟამინდელი პილოტი, ბრიტანელი **პოლ დი რესტა** იქნება.

ორი წლის წინ ნიჭიერმა გერმანელმა GP2-ის სერია მოიგო, გასულ სეზონში „უილიამსში“ გამოდიოდა, წელს კი ინდურ გუნდთან თანამშრომლობს: 2011 წელს 13-ჯერ გავიდა ტრასაზე პარასკევის დილის სესიაში.

„ფორს ინდია“ ოფიციალურად აცხადებს, რომ მომავალი სეზონისთვის შემადგენლობის შესახებ გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ, მაგრამ, როგორც ირკვევა, სუტილი „ფორს ინდიაში“ გატარებული ხუთი სეზონის შემდეგ ახალ სამუშაო ადგილს ეძებს.

ბრიტანული ყოველკვირეული იმასაც უსვამს ხაზს, რომ სუტილი „უილიამსში“ მოხვედრის რეალური კანდიდატია, თუმცა გუნდი, პირველ რიგში“ 2007 წლის ჩემპიონთან **კიმი რაიკონენთან** აწარმოებს მოლაპარაკებებს.


ნიკო ჰიულკენბერგი

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი




# ვაშინგტონს ვერ აჩერებენ

ფანტასტიკური სტარტი აილო ახალ სეზონში „ვაშინგტონმა". გუშინ ამ გუნდმა მეექვსე მატჩი ჩაატარა რეგულარულ ჩემპიონატში და ზედიზედ მეექვსე გამარჯვებას მიაღწია. დედაქალაქურ კლუბს სერიოზული გამოცდა ელოდა სტუმრად „ფილადელფიას" წინააღმდეგ, რომელსაც წინა ხუთი მატჩიდან ოთხი მოგება ჰქონდა.

მასპინძლებმა კარგად დაიწყეს მატჩი და **კლოდ ჟირუს** მეხუთე შაიბით ანგარიში გახსნეს, მაგრამ პერიოდის ბოლომდე უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლეს. ბოლო წუთნახევარში **ბრიზგალოვის** კარში ორი შაიბა შევარდა - ჯერ **მატიო პერომ** გაათანაბრა, შემდეგ **ალექსანდრ ოვეჩკინმა** წინ გაიყვანა „ვაშინგტონი".

ცალკე აღნიშვნის ღირსია ოვეჩკინის თამაში. „კეპიტალზის" სუპერვარსკვლავმა წინა ხუთ მატჩში მხოლოდ ერთი შაიბა გაიტანა, ამჯერად კი დუბლი შეასრულა. მისმა მეორე შაიბამ პრაქტიკულად გადაწყვიტა მატჩის ბედი. რუსმა ანგარიში 4:1 გახადა და დარჩენილ დროში გუნდებმა შაიბები გაცვალეს, რის შემდეგაც საბოლოო ანგარიში დაფიქსირდა - 5:2 „ვაშინგტონის" სასარგებლოდ.

მატჩის ერთ-ერთი გმირი იყო სტუმრების მეკარე **ტომაშ ვოკოუნი** - ჩეხმა გოლკიპერმა ფილადელფიელთა 40 დარტყმა მოიგერია.

■ ■ ■

სტენლის თასის მფლობელმა „ბოსტონ ბრუინზმა" როგორც იქნა აჩვენა ის თამაში, რომლითაც მან გასული სეზონის მთავარი პრიზი მოიპოვა. ბოსტონელები საკუთარ მოედანზე ხდებოდნენ „ტორონტოს", რომელსაც აქამდე ძირითადში შეხვედრა არ ჰქონდა წაგებული.

ანგარიში სტუმართა ფორვარდმა **შტეკელმა** გახსნა, მაგრამ „ბოსტონმა" პირველივე პერიოდში შეძლო სოლიდური სხვაობით წინ გასვლა. ამაში მას ორჯერ გამოყენებული რიცხობრივი უპირატესობა დაეხმარა, არადა, წინა ექვს მატჩში „დათვებმა" 22-ჯერ ვერ შეძლეს (24 შანსიდან) ზედმეტი ჰოკეისტის გათამაშება.

„ტორონტო" უხეშობისთვის **ჰორტონმა** და **ხარამ** დასაჯეს და წინ გაიყვანეს საკუთარი გუნდი, რის შემდეგაც „ბრუინზმა" კანადური კლუბის კარში კიდევ ოთხი შაიბა გაიტანა და მხოლოდ მაშინ გაჩერდა, როცა ანგარიში 6:1 გახდა. ერთადერთი, რაც „ტორონტომ" დარჩენილ დროში შეძლო, ერთი პრესტიჟის შაიბის გატანაა.

■ ■ ■

„პიტსბურგმა" კვლავ თავისი ორი სუპერვარსკვლავის - **სიდნი კროსბისა** და **ევგენი მალკინის** გარეშე ითამაშა და მაინც მოიგო სეზონში მეხუთე შეხვედრა. „პინგვინები" შინ აუტსაიდერ „მონრეალს" ხვდებოდნენ, რომელსაც საწყის ხუთ მატჩში ოთხი წაგება ჰქონდა.

კანადურმა კლუბმა ვერც ამჯერად იყოჩაღა. თავდაპირველად „მონრეალის" კარი **ჯეიმს ნილმა** აილო, რომელმაც თავისი მეშვიდე გოლი გაიტანა სეზონში და ისევ დაწინაურდა სნაიპერთა დავაში.

ამის შემდეგ, „პიტსბურგმა" თითო პერიოდში კიდევ თითო შაიბა გაიტანა და 3:0-ს იგებდა შეხვედრას, როცა მატჩის მიწურულს მონრეალელმა **ბრაიან ჯონტამ** პრესტიჟის გოლი შეაგდო და „შატაუტი" არ შეასრულებინა „პინგვინების" მეკარე **მარკ-ანდრე ფლერის**, რომელიც 27 სეივის წყალობით ამ მატჩის პირველ ვარსკვლავად დასახელდა.

■ ■ ■

როგორც იქნა, გაილვიძეს „ტამპა ბეის" ლიდერებმა და ამ გუნდმა შეწყვიტა ხუთმატჩიანი წაგებათა სერია.

„ტამპა" საკუთარ მოედანზე ხვდებოდა ბოლო დროს მომძლავრებულ „ნიუ იორკ აილენდერსს" და თავისი ვეტერანი ვარსკვლავების წყალობით პირველ ორ პერიოდში ორშაიბიან უპირატესობას მიაღწია. ამ მომენტებში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი **ვენსან ლეკავლიემ**, რომელმაც გოლი და საგოლე პასი ჩაიწერა აქტივში. დიდხნიანი პაუზის შემდეგ ქულის აღება მოახერხა **მარტინ სან ლუიმ** - სწორედ მან გაატანინა მეორე შაიბა ლეკავალიეს.

ხოლო, როცა მესამე პერიოდში „ტამპას" ახალგაზრდა ლიდერმა **სტივენ სტემკოსმა** სამამდე გაზარდა უპირატესობა, მატჩის ბედი პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო. მართალია, **მიხაელ გრაბნერმა** „აილენდერსს" ერთი შაიბა შემატა, „ტამპას" ფორვარდმა **ბრეტ კლარკმა** ამას გოლით უპასუხა და სამშაიბიანი უპირატესობა აღადგინა. 4:1 მოიგო „ლაითნინგმა" და ეს მისი მეორე გამარჯვებაა შვიდ მატჩში.

**ბოსტონი-ტორონტო 6:2**

3:1, 0:0, 3:1

**გოლები:** 0:1 შტეკელი-1 (კადრი-1, ფანოფი-6), 1:1 ჰორტონი-2 (ხარა-1, ფერენსი-2), 2:1 ხარა-1 (ფერენსი-3, სეგინი-5), 3:1 კ. კელი-2 (ლუჩიჩი-2, ფერენსი-4), 4:1 ლუჩიჩი-1 (სეგინი-6, კ. კელი-1), 5:1 პ. ბერჟერონი-1 (ჰორტონი-2, ხარა-2), 6:1 სეგინი-2 (ლუჩიჩი-3, კამპფერი-1), 6:2 გრაბოვსკი-2 (გარდინერი-1, შენი-2).

**ფილადელფია-ვაშინგტონი 2:5**

1:2, 0:0, 1:3

**გოლები:** 1:0 კ. ჟირუ-5 (სიმონდსი-2), 1:1 მ. პერო-1, 1:2 ოვეჩკინი-2 (ბექსტრიომი-6, ბროუერი-1), 1:3 ჰამრლიკი-1 (ჰენდრიქსი-1, მ. პერო-2), 1:4 ოვეჩკინი-3 (ბექსტრიომი-7, ვიდემანი-4), 1:5 ჯ. უორდი-1 (შულცი-2), 2:5 კუტურიე-2 (ნოდლი-1, ტელბოტი-2).

**პიტსბურგი-მონრეალი 3:1**

1:0, 1:0, 3:1

**გოლები:** 1:0 ჯ. ნილი-7 (სალივანი-3, პარკი-2), 2:0 ვიტალე-1 (ენგელანდი-1), 3:0 ეშემი-1 (ენგელანდი-2, ნისკანენი-2), 3:1 ჯონტა-2 (ი. უებერი-2, დერჩი-1).

**ფლორიდა-ბაფალო 0:3**

0:0, 0:2, 0:1

**გოლები:** 0:1 ვანეკი-5 (პომინვილი-6, მიერსი-2), 2:0 პომინვილი-2 (ლეინო-1), 3:0 ვანეკი-6 (პომინვილი-7, გრანიანი-3).

**ტამპა ბეი-აილენდერსი 4:1**

1:0, 1:0, 2:1

**გოლები:** 1:0 მელოუნი-2 (ლეკავალიე-2, მ-ა. ბერჟერონი-7), 2:0 ლეკავალიე-3 (სან ლუი-3), 3:0 სტემკოსი-3 (პურსელი-3), 3:1 გრაბნერი-2 (შტრაიტი-4, როლსტონი-2), 4:1 ბ. კლარკი-2 (პურსელი-4).

**ოტავა-ვინიპეგი 4:1**

0:1, 2:0, 2:0

**გოლები:** 0:1 ბაფლინი-1 (ბურმისტროვი-4, ენსტრიომი-2), 1:1 მ. მიხალეკი-4 (გრინინგი-1, სპეცა-4), 2:1 სპეცა-3 (გრინინგი-2, მ. მიხალეკი-3), 3:1 ალფრედსონი-3, 4:1 მ. მიხალეკი-5 (ზ. სმიტი-3, სპეცა-5).

**კოლორადო-ჩიკაგო 1:3**

0:1, 1:0, 0:2

**გოლები:** 0:1 ტეუვზი-3 (კარჩილო-2, ლედი-2), 1:1 ო'ბირნი-1 (დუშენი-3, ლინდსტრიომი-1), 1:3 წარპი-2 (ბრუნეტი-2, კიტი-3), 1:3 მარიან ჰოსა-3 (ტეუვზი-2).

**კალგარი-რეინჯერსი 2:3**

2:2, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 გაბორიკი-4 (სტეპანი-1, ბ. რიჩარდსი-4), 1:1 იგინლა-2 (ტანგეი-5, ჰენანი-2), 1:2 პრუკსტი-2 (ბ. ბოილი-1), 2:2 ჯორდანო-1 (იგინლა-1, ტანგეი-6), 2:3 მაკდონაჰი-2 (ჟირარდი-1, დუბინსკი-3).

**ედმონტონი-მინესოტა 1:2 (ბ)**

1:0, 0:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 რ. ჯონსი-2 (რ. სმიტი-2), 1:1 ჰიტლი-2 (ბუშარი-3, სეტოგუჩი-1).

**ბულიტები გაიტანეს:** კულენი (მინესოტა).

**ფინიქსი-ლოს ანჯელესი 0:2**

0:0, 0:2, 0:0

**გოლები:** 0:1 დ. ბრაუნი-2 (მ. რიჩარდსი-4, კოპიტარი-6), 0:2 კლიფორდი-1 (უესგარტი-1, მ. გრინი-1).

**ვანკუვერი-ნეშვილი 5:1**

4:1, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 დ. სედინი-3 (ჰ. სედინი-6), 1:1 ჰალიშჩუკი-2 (კ. უილსონი-2, ბლუმი-1), 2:1 ჰ. სედინი-3 (დ. სედინი-6, ედლერი-3), 3:1 ვაისი-1 (ედლერი-4, ლაპიერი-1), 4:1 ჰიგინსი-3, 5:1 კესლერი-1 (დ. სედინი-7, სალო-3).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ევრო 2012** | |
| **UNDER 17** | |
| ესპანეთი-მალტა | 6:0 |
| ჩერნოგორია-პოლონეთი | 0:0 |
| ჩეხეთი-ლიხტენშტაინი | 6:0 |
| ყაზახეთი-ირლანდია | 1:1 |
| **ევრო 2012** | |
| **UNDER 19** | |
| საბერძნეთი-ანდორა | 10:0 |
| სლოვაკეთი-სომხეთი | 1:2 |
| ისლანდია-ლატვია | 0:2 |
| ნორვეგია-კვიპროსი | 3:3 |
| **ინგლისი** | |
| **II ლიგა** | |
| აკრინგტონი-ჩელტენემი | 0:1 |
| **კონფერენსი** | |
| კემბრიჯი-ლინკოლნი | 2:0 |
| გრიმსბი-ლუტონი | 0:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ვერონა-ნოჩერინა | 1:1 |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| გვადალახარა-საბადელი | 1:0 |
| **გერმანია** | |
| აუგსბურგი-ვერდერი | 1:1 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ფორტუნა-ჰანზა | 2:0 |
| კარლსრუე-ბოხუმი | 0:0 |
| მიუნხენი-პადერბორნი | 1:1 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| არმინია-უნტერჰახინგი | 2:1 |
| ვეენი-ოფენბახი | 3:1 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ლაიპციგი-სტ. პაული II | 1:1 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| აინტრახტი A-ბაერნი (ა) | 4:0 |
| კასელი-ბაიერნი II | 1:2 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| კობლენცი-ობერშტაინი | 3:3 |
| გლადბახი II-ტრირი | 0:4 |
| ვუპერტალი-კაიზერი A | 2:2 |
| ესენი-ლოტე | 0:2 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ამიენი-ბასტია | 1:1 |
| ლავალი-არლი | 2:1 |
| ჰავრი-შატორუ | 3:0 |
| ლანსი-გინგამი | 0:2 |
| მონაკო-ტური | 0:0 |
| რეიმსი-ლე მანი | 1:1 |
| ტრუა-მეცი | 1:0 |
| ანჟერსი-სედანი | 1:3 |
| **ჰოლანდია** | |
| გრააფსხაპი-ბრედა | 3:1 |
| **II დივიზიონი** | |
| კამბური-ოსი | 4:2 |
| ცვოლე-დორდრეჰტი | 5:0 |
| ჰელმონდი-ფორტუნა | 2:2 |
| ტელსტარი-მაასტრიხტი | 2:3 |
| ვეენდამი-ეინდჰოვენი | 1:2 |
| ვილემი-დენ ბოში | 0:3 |
| **პორტუგალია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ფერეირა-აკადემიკა | 2:0 |
| **დანია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ფრედერისია-ვიბორგი | 1:2 |
| **ნორვეგია** | |
| სტაბეკი-მიოლდე | 1:1 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლუშტენაუ-ალტახი | 2:2 |
| სტ. პოლტენი-ვენა | 0:3 |
| გრიოდიგი-ბლაუ ვაისი | 1:3 |
| სტ. ანდრა-ჰარტბერგი | 3:0 |
| ლინცერი-აუსტრია (ლ) | 0:3 |
| **თურქეთი** | |
| ანტალია-გალათასარაი | 0:0 |
| **ირლანდია** | |
| ბოჰემიანსი-სლიგო | 0:3 |
| დანდალკი-დროგედა | 1:0 |
| გალვეი-ბრეი | 0:6 |
| სტ. პატრიკსი-დერი | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| კორკი-ლონგფორდი | 3:1 |
| უოტერფორდი-მერვუ | 2:0 |
| მონეგანი-ლიმერიკი | 0:1 |
| **უელსი** | |
| აფან ლიდო-ლანელი | 0:0 |
| ეირბასი-პრესტატინი | 2:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიბერეცი-ბანიკი | 3:2 |
| **უკრაინა** | |
| ვოლინი-არსენალი | 1:0 |
| ჩერნომორეცი-ოლექსანდრია | 2:1 |
| **პოლონეთი** | |
| ზაგლებე-კორონა | 3:1 |
| გურნიკი-რუხი | 1:2 |
| **ხორვატია** | |
| ინკერი-ზაგრები | 3:1 |
| ლუჩკო-ჰაიდუკი | 0:3 |
| **უნგრეთი** | |
| ჰონვედი-დიოშდიორი | 2:1 |
| **რუმინეთი** | |
| გაზ მეთანი-სპორტული | 3:1 |
| პანდური-უნივერსიტატეა (კლ) | 1:0 |
| **ბულგარეთი** | |
| ბოტევი-ჩერნომორეცი | 0:0 |
| ჩერნო მორე-ცსკა | 0:0 |
| მინიორი-ლოკომოტივი (ს) | 1:2 |
| მონტანა-ვიდიმა | 1:0 |
| სლავია-ლოკომოტივი (პ) | 3:0 |
| სვეტკავიცა-ბეროე | 1:3 |
| ლევსკი-კალიაკრა | 3:2 |
| **აზერბაიჯანი** | |
| ბაქო-ხაზარი | 2:2 |
| სიმურღი-ყარაბახი | 0:1 |
| **ავსტრალია** | |
| ბრისბენი-გოლდ კოუსტი | 3:0 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| ბილბაო-ოლიმპიაკოსი | 76:61 |
| **საფრანგეთი** | |
| ვილერბანი-გრაველენი | 69:72 |
| პო ორტეზი-პარიზი | 78:88 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| მეტალურგი (ნ)-ავანგარდი | 1:0 |
| ავტომობილისტი-მეტალურგი (მ) | 2:6 |
| ბარისი-იუგრა | 0:7 |
| აკ ბარსი-ატლანტი | 6:3 |
| ტორპედო-სკა | 5:3 |
| ცსკა-დინამო (მ) | 2:3 |
| ლევ პოპრადი-დინამო (რ) | 3:5 |
| **ავსტრია** | |
| აკრონი-ოლიმპია | 5:4 (ბ) |
| ალბა-ზალცბურგი | 3:2 (ო) |
| ვილახი-ვენა | 4:2 |
| გრაცი-ზაგრები | 1:6 |
| ლინცერი-ზნოიმო | 0:1 (ო) |
| **გერმანია** | |
| კრეფელდი-დიუსელდორფი | 1:2 |
| აისბარენი-კიოლნი | 4:2 |
| აუგსბურგი-იზერლონი | 5:1 |
| ჰამბურგი-ჰანოვერი | 3:2 |
| მანჰაიმი-ნიურნბერგი | 4:2 |
| მიუნხენი-ვოლფსბურგი | 4:3 (ო) |
| შტრაუბინგი-ინგოლშტადტი | 2:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| ტრენჩინი-პოპრადი | 0:1 |
| სკალიცა-ნიტრა | 4:2 |
| მარტინი-ზვოლენი | 1:4 |
| ბისტრიცა-სლოვანი | 3:5 |
| ჟილინა-კოშიცე | 3:1 |
| **ფინეთი** | |
| კალპა-კერპეტი | 1:4 |
| ლუკო-ჰპკ | 2:1 (ო) |
| პელიკანსი-ილვესი | 4:0 |
| ტაპარა-იუვიასკიულა | 3:2 |
| ტპს-ბლუზი | 3:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ტრშინეცი-ლიბერეცი | 3:4 |
| კლადნო-ბრნო | 8:2 |
| ბოლესლავი-ბუდეიოვიცე | 2:5 |
| პარდუბიცე-ვიტკოვიცე | 2:1 (ბ) |
| კარლოვი ვარი-ლიტვინოვი | 6:2 |
| სლავია-ჟლინი | 4:5 (ბ) |
| **შვეიცარია** | |
| ბერნი-ციურიხი | 1:2 (ო) |
| ბილი-სერვეტი | 4:2 |
| კლოტენი-ლუგანო | 9:0 |
| ლანგნაუ-ამბრი პიოტა | 1:3 |
| რაპერსვილი-ფრიბურგი | 0:2 |
| ცუგი-დავოსი | 4:5 (ო) |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. მოსკოვი** | |
| კოლშრაიბერი-**შარდი** | 4:6, 3:6 |
| ბოგომოლოვი-**ტროიცკი** | 6:7, 7:6, 6:7 |
| დავიდენკო-ბერერი | 6:3, 6:2 |
| ტიპსარევიჩი-ტურსუნოვი | 6:4: 6:2 |
| **ATP. სტოკჰოლმი** | |
| კამკე-**ნიემინენი** | 6:3, 5:7, 1:6 |
| **რაონიჩი**-დიმიტროვი | 7:5, 6:4 |
| ნალბანდიანი-ბლეიკი | გადაიდო |
| **მონფილსი**-ანდერსონი | 7:5, 7:5 |
| **WTA. ლუქსემბურგი** | |
| **ნიკულესკუ**-ჰრადეცკა | 6:4, 6:4 |
| **კეოტავონგი**-სჰოოფი | 6:3, 6:2 |
| **აზარენკა**-ბენეშოვა | 6:3, 6:2 |
| **გორჯესი**-სევასტოვა | 6:2, 6:0 |
| **WTA. მოსკოვი** | |
| ზვონარევა-ციბულკოვა | 6:4, 4:6, 4:6 |
| კუზნეცოვა-**კანეპი** | 1:6, 2:6 |
| **საფაროვა**-დუშევინა | 6:4, 6:4 |

## TV პროგრამა

### 22 ოქტომბერი. შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. X ტური. აუგსბურგი-ვერდერი.
**12:00** ესპანეთის ჩემპიონატი. VIII ტურის წინ.
**12:30** ინგლისის ჩემპიონატი. IX ტურის წინ.
**13:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**14:00** იტალიის შოუ.
**14:30** ტელეჟურნალი FOOTBALL MUNDIAL
**15:00** იტალიის ჩემპიონატი. VII ტურის წინ.
**15:30** სუპერკოლაჟი.
**16:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
**17:00** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**17:30** გერმანიის ჩემპიონატი. X ტური. დორტმუნდი-კიოლნი (LIVE).
**19:30** ინგლისის ჩემპიონატი. IX ტურის წინ.
**20:00** იტალიის ჩემპიონატი. VII ტური. ფიორენტინა-კატანია (LIVE).
**22:00** ესპანეთის ჩემპიონატი. VIII ტური. მალაგა-რეალი (LIVE).
**00:00** ესპანეთის ჩემპიონატი. VIII ტური. ბარსელონა-სევილია (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-რომა.
**11:55** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
**12:25** კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. სან ანტონიო-ბოსტონი.
**14:10** გადაცემა - იმედის ფსონი.
**15:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. შვედეთის ღია პირველობა. 1/2 ფინალი. სტოკჰოლმი (LIVE).
**20:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
**20:30** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. IX ტური. ლივერპული-ნორვიჩი (LIVE).
**22:45** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. VII ტური. იუვენტუსი-ჯენოა (LIVE).
**00:40** კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. სან ანტონიო-ბოსტონი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**10:30** ჩოგბურთი. WTA-ის 1/4 ფინალი. ლუქსემბურგი.
**16:00** ჩოგბურთი. WTA-ის 1/2 ფინალი. ლუქსემბურგი (LIVE).
**21:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XI ტური. მარსელი-აიაჩო (LIVE).
**23:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XI ტური. ლორიანი-ტულუზა (LIVE).

**I არხი**

**17:55** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. სპარტაკი-მეტალურგი (LIVE).

**SPORT+**

**13:40** ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ვოლგა-კრასნოდარი (LIVE).
**18:10** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ვეսპრემი-ჩეხ. მედვედი (LIVE).
**22:40** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ჯენოა (LIVE).

### 23 ოქტომბერი. კვირა

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** იტალიის ჩემპიონატი. VII ტური. იუვენტუსი-ჯენოა.
**12:00** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**12:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
**13:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**14:00** ინგლისის ჩემპიონატი. IX ტურის წინ.
**14:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ფეინოორდი (LIVE).
**16:30** ინგლისის ჩემპიონატი. IX ტური. მანჩესტერ იუნ-მანჩესტერ სიტი (LIVE).
**18:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ვიტესი-ეინდჰოვენი (LIVE).
**20:30** სუპერკოლაჟი.
**21:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**22:00** ესპანეთის ჩემპიონატი. VIII ტური. მალაგა ვალენსია-ბილბაო (LIVE).
**00:00** იტალიის ჩემპიონატი. VII ტური. ბოლონია-ლაციო.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. VIII ტური. ბარსელონა-სევილია.
**11:50** სპორტის ვარსკვლავები.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. ატლანტა-ბოსტონი.
**14:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
**14:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. VII ტური. ლეჩე-მილანი (LIVE).
**16:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL
**17:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. VII ტური. რომა-პალერმო.
**19:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. X ტური. ქუინზ პარკი-ჩელსი (LIVE).
**20:50** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. შვედეთის ღია პირველობა. ფინალი. სტოკჰოლმი.
**23:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-ლიონი (LIVE).
**00:50** კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. ატლანტა-ბოსტონი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. კრემლის თასი. 1/2 ფინალი. მოსკოვი. რუსეთი.
**15:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. კრემლის თასი. ფინალი (LIVE).
**17:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შალკე.
**19:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. X ტური. ჰანოვერი-ბაიერნი (LIVE)
**21:30** სპორტის ვარსკვლავები - გოჩა ჯამარაული.
**22:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXII ტური. ინტერნასიონალი-კორინთიანსი (LIVE).
**23:50** ჩოგბურთი. WTA-ის ფინალი. ლუქსემბურგი.

**I არხი**

**11:55** რაგბი. მსოფლიოს თასი. ფინალი. ახალი ზელანდია-საფრანგეთი. ახალი ზელანდია (LIVE).

**SPORT+**

**17:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შალკე (LIVE).
**19:55** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-მალიორკა (LIVE).

კვირის ბოლოს



კუპერის ტესტის კომისარი

ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი

ჩოგბურთი

# ბოლო საგზური რადვანსკასია

გაირკვა წლის შემაჯამებელი ტურნირის ყველა მონაწილე. ბოლო, მერვე საგზური პოლონელმა ჩოგბურთელმა **აგნიეშკა რადვანსკამ** მოიპოვა, რომელსაც აშკარად გაუმართლა მოსკოვის ტურნირის მსვლელობისას. საქმე ისაა, რომ აგნიეშკა კრემლის თასზე საწყის წრეში დამარცხდა და შანსი მისცა ფრანგ **მარიონ ბარტოლის**. რუსეთის დედაქალაქში წარმატებული გამოსვლის შემთხვევაში, სწორედ ეს უკანასკნელი მოიპოვებდა სეზონის დასკვნით ტურნირში მონაწილეობის უფლებას.

მოსკოვში სასტარტო შეხვედრამ დაადასტურა ბარტოლის სერიოზული განწყობა, მაგრამ რუსი **ქსენია პერვაკის** განადგურების შემდეგ, გუშინ, მარიონმა უარი თქვა **ელენა ვესნინას** წინააღმდეგ კორტზე გასვლაზე - ფრანგმა ავადმყოფობა მოიმიზეზა, რომელიც ვირუსული ინფექციით იყო გამოწვეული.

ასე რომ, მარიონ ბარტოლი ველარ მოახერხებს საჩემპიონო რბოლაში მერვე ადგილზე ასვლას, ამიტომაც სტამბოლში მხოლოდ სათადარიგოს რანგში გაემგზავრება, ისევე როგორც გერმანელი **ანდრეა პეტკოვიჩი**, რომელიც შესაბამის რეიტინგში მეათე ადგილზეა.

გთავაზობთ WTA Championships-ის მონაწილეთა სრულ სიას:

1. კაროლინ ვოზნიაცკი (დანია)
2. მარია შარაპოვა (რუსეთი)
3. პეტრა კვიტოვა (ჩეხეთი)
4. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი)
5. ნა ლი (ჩინეთი)
6. ვერა ზვონარევა (რუსეთი)
7. სამანტა სტოსური (ავსტრალია)
8. აგნიეშკა რადვანსკა (პოლონეთი)

სათადარიგოები

მარინო ბარტოლი (საფრანგეთი)

ანდრეა პეტკოვიჩი (გერმანია)

■ ■ ■

შვედი **რობინ სიოდერლინგი** ჯერჯერობით ვერ ახერხებს პროფესიულ ტურში დაბრუნებას. სკანდინაველი ჩოგბურთელი ვირუსული ინფექციის გამო ვერ შეძლებს პარიზის მასტერსში მონაწილეობას. სიოდერლინგს მონონუკლეოზი აქვს, რომლის დროსაც ავადმყოფს ურჩევენ შეზღუდოს ფიზიკური დატვირთვები.

პარიზის მასტერსის გამოტოვების გამო, რობინი, შესაძლოა, ვერ მოხვდეს ლონდონის წლის შემაჯამებელ ტურნირზე, სადაც რეიტინგის რვა საუკეთესო გამოვა. სიოდერლინგი ამჟამად მეექვსე ადგილზეა რეიტინგში, მაგრამ შეიძლება გამოვარდეს TOP-8-დან. ჯერჯერობით კიდევ სამი საგზურია ვაკანტური.

პარიზში შვედს ბრაზილიელი **ტომაშ ბელუჩი** შეცვლის. ტურნირი 7 ნოემბერს აიღებს სტარტს.

# ნოლე დოპინგზე შეამოწმეს

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** დღეს დოპინგ-კონტროლი გაიარა. ამის შესახებ გულშემატკივრებს თავად ჩოგბურთელმა აცნობა.

*„დოპინგ-კონტროლი დილის რვა საათზე. დღის შესანიშნავი დასაწყისია“,* - ირონიულად შენიშნა ჯოკოვიჩმა თავის „ტვიტერზე“.

აღსანიშნავია, რომ მოქმედი დოპინგ-კონტროლის სისტემის თანახმად, ჩოგბურთელმა დოპინგზე ტესტები უნდა გაიაროს იმის მიუხედავად, გამოდის იმ მომენტში თუ არა ტურნირზე.



ნოვაკ ჯოკოვიჩი

ჩოგბურთი

# ოცდაათიანების კლუბი

**როჯერ ფედერერისთვის** უპრეცედენტო სეზონმა, რომლის დროსაც მან ვერ შეძლო "დიდი სლემის" ვერც ერთი ტურნირის მოგება, ისევ გამოიწვია მსჯელობა თანამედროვე ჩოგბურთში ასაკოვანი მოთამაშეების პერსპექტივებზე. Sports Illustrated-ის მიმომხილველი **ბრიუს ჯენკინსი** ამ პრობლემას ფედერერისა და **სერენა უილიამსის** მაგალითებზე განიხილავს.

**როჯერ ფედერერი** და **სერენა უილიამსი** ერთ წელს დაიბადნენ – მათ შორის შვიდი კვირაა განსხვავება. ასე რომ, დღეს ისინი ერთგვარი ბარომეტრის როლს ასრულებენ პროფესიულ ტურში – გვიჩვენებენ, როგორ მიმდინარეობს თამაშის პროგრესი და რა ძალისხმევაა საჭირო მწვერვალზე ადგილის შესანარჩუნებლად. თანამედროვე ჩოგბურთში როჯერი და სერენა ცოტათი ძველმოდურ შთაბეჭდილებას ტოვებენ. წარსულის ლეგენდარული ეპოქებისგან განსხვავებით, ამჟამად ტურში პრაქტიკულად არ არის ადგილი 30 წელს გადაცილებული მოთამაშეებისთვის.

აი, კიდევ მოთამაშეები, რომლებმაც "დიდი სლემის" ტურნირებზე 30 წლის ასაკში გამოიჩინეს თავი:

**ბილი ჯინ კინგი** – მოიგო ამერიკის ღია პირველობა და უიმბლდონი.

**მარტინა ნავრატილოვა** – ორი უიმბლდონი და ორი აშშ-ის ღია (48 წლის ასაკში ჯერ კიდევ თამაშობდა "დიდი სლემის" ტურნირებზე).

**კრის ევერტი** – ორჯერ გაიმარჯვა როლან გაროსზე და 11-ჯერ გავიდა "დიდი სლემის" სხვა ტურნირების ნახევარფინალში.

**მარგარეტ კორტი** – 31 წლის ასაკში გაიმარჯვა ავსტრალიის ღიაზე, როლან გაროსსა და აშშ-ის ღიაზე.

ბრიტანელი ჩოგბურთელები – **ენ ჰეიდონ ჯონსი** და **ვირჯინია უეიდი** – ორივემ 31 წლის ასაკში გაიმარჯვა უიმბლდონზე.

პიტ სამპრასი – მოიგო აშშ-ის ღია.

**როი ემერსონი** – როლან გაროსის ჩემპიონი.

**ჯონ ნიუკომბი** – გაიმარჯვა ავსტრალიის ღიაზე.

**არტურ ეში** – მოიგო უიმბლდონი.

შვიდი "დიდი სლემის" ტურნირი ჩაატარა მოგების გარეშე. მისი სტანდარტებით ეს სერიოზული წარუმატებლობაა.

*"ასაკის ფაქტორი დიდ როლს თამაშობს,* - მიაჩნია **მარკ ვუდფორდს** – წყვილთა თამაშის დიდ სპეციალისტს, რომელსაც 30 წლის შემდეგაც მოუგია დიდი ტურნირები. *– ხანგრძლივი მატჩების შემდეგ ორგანიზმს მეტი დრო სჭირდება აღდგენისთვის. კიდევ უფრო დიდხანს გრძელდება ფსიქოლოგიური აღდგენა. უფრო ხშირად ღიზიანდები ცალკეული სიტუაციების გამო. თამაშში გადამწყვეტი მომენტების დროს უფრო მეტს ნერვიულობ".*

■ ■ ■

დაკმაყოფილდება თუ არა ყველა დროის ერთ-ერთი უდიადესი ჩოგბურთელი როჯერ ფედერერი **რაფა ნადალის, ნოვაკ ჯოკოვიჩისა** და **ენდი მიურეის** ჩრდილში ყოფნას?

უდავოა ის ფაქტი, რომ მამაკაცთა და ქალთა ტურებში წავიდა ის დრო, როცა საჩოგბურთო სამყაროს თინეიჯერები იპყრობდნენ..დღევანდელი ჩოგბურთის



როჯერ ფედერერი

თავად განსაჯეთ: The Champions Series, რომელიც ისეთი ლეგენდებით არის სავსე, როგორებიც არიან **ჯონ მაკინროი, ანდრე აგასი** და **პიტ სამპრასი**, წარმოადგენს კიდეც ერთგვარ კლუბს იმათთვის, ვინც 30 წლის ასაკს გადააბიჯა. შეიძლება ითქვას, რომ ესენი არიან მოთამაშეები, რომლებსაც "გარანტიის ვადა გაუვიდათ".

შეძლებენ თუ არა როჯერი და სერენა კიდევ ერთხელ "დიდი სლემის" ტურნირის მოგებას? ზოგიერთს მიაჩნია, რომ არა, რადგან ისინი გარდაუვალ ჩავარდნას განიცდიან და უკან ვერ მობრუნდებიან. სხვები კი ფიქრობენ, რომ ლეგენდები ერთხელ კიდევ აუცილებლად „გაისვრიან“. საინტერესოა ფედერერისა და უილიამსის შანსების განხილვა ჩოგბურთის ისტორიის კუთხით.

■ ■ ■

**ბილ ტილდენი** – ადამიანი, რომლის წყალობითაც ამერიკამ შეიყვარა 20-იან წლებში ჩოგბურთი. ის 40 წლის შემდეგაც კონკურენტუნარიანი იყო და ხშირად დაუმარცხებელიც კი. **პანჩო გონსალესი**, რომელსაც ბევრი მიიჩნევს ჩოგბურთის ისტორიაში ერთ-ერთ უნიჭიერეს მოთამაშედ, პროფესიულ ტურში სწორედ მაშინ დომინირებდა, როცა მისი ასაკი 30 წელს იყო გადაცილებული, ხოლო 41 წლისამ უიმბლდონის ლეგენდარულ მატჩში დაამარცხა **ჩარლი პასარელი** – 22:24, 1:6, 16:14, 6:3, 11:9. შეუდარებელი **როდ ლეივერი** 31 წლის იყო, როცა 1969 წელს მეორე "დიდი სლემი" მოიგო. ეს მამაკაცთა ჩოგბურთში "დიდი სლემის" მოგების ბოლო შემთხვევაა. დაბოლოს, ოცი წლის წინ **ჯიმი კონორსმა** ამერიკის ღია პირველობის ნახევარფინალს 39 წლის ასაკში მიაღწია.

■ ■ ■

ასე რომ, ადრე ჩვეულებრივი ამბავი იყო ასაკოვანი მოთამაშეების არა მარტო ახალგაზრდებთან ღირსეული კონკურენცია, არამედ ტურში დომინირებაც. როცა დიადი **კენ როზუოლი** 30 წლის შემდეგ აჩვენებდა ბრწყინვალე დალალ ჩოგბურთს, შეუძლებელი იყო არ ალფრთოვანებულიყავი თამაშისადმი მისი სიყვარულით.

მაგრამ თანდათან ყველაფერი შეიცვალა. მეტალის ჩოგნების, ორი ხელით შესრულებული ბექჰენდების, ძლიერი ათლეტებისა და უკანა ხაზიდან ძლიერი დარტყმების გამოჩენასთან ერთად თამაშმა უფრო მეტი მოთხოვნები წარმოშვა. თამაშის ევოლუციამ ჩოგბურთი უფრო მომთხოვნი გახადა ფიზიკური მომზადებისადმი. როცა ძველი მატჩების ჩანაწერებს უყურებ, თუნდაც 20 წლის წინანდელს, უბრალოდ, სასაცილოა შეადარო მაშინდელი სისწრაფე და ტემპი დღევანდელს.

შესაბამისად, ჩვენ ვხედავთ, რომ ბევრმა ლეგენდარულმა მოთამაშემ – ჯონ მაკინროიმ, **ბიორნ ბორგმა, ივან ლენდლმა, ბორის ბეკერმა, სტეფან ედბერგმა, შტეფი გრაფმა** თავიანთი ბოლო "მეიჯორები" ჯერ კიდევ 30 წლის დადგომამდე მოიგეს ან იმ დროისთვის სულაც დასრულებული ჰქონდათ კარიერა. მომავალ წელს **ენდი როდიკს** უსრულდება 30 წელი და ის ძალიან გვაგონებს **ჯიმ კურიეს**, რომელმაც ამასწინ უთხრა ენდის: *"მე ძალიან ბევრი ვირბინე და გამოვიფიტე 27 წლისთვის. შენც იგივე გზით მიდიხარ. შეეცადე ცოტა დაისვენო".*

ბოლო მოთამაშე, ვინც "დიდი სლემის" ტურნირზე 30 წლის შემდეგ გაიმარჯვა, ანდრე აგასი იყო, რომელმაც 2003 წელს მოიგო ავსტრალიის ღია. ახლა მთელი ყურადღება კონცენტრირებულია ფედერერზე – მან უკვე ზედიზედ

ინტენსიურობა ფიზიკურ ძალასა და გამოცდილებას ითხოვს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბრუნდება ეპოქა, როცა ტურში ვეტერანები დომინირებდნენ, მაგრამ ეს ასე არ არის. თანამედროვე ჩოგბურთელების კარიერის პიკის დრო ორივე მხრიდან მცირდება. წარსულთან დაბრუნების კლასიკური მაგალითი შემოგვთავაზეს **ნა ლიმ** და **ფრანჩესკა სკიავონემ**, რომლებმაც როლან გაროსი 29 წლის ასაკში მოიგეს.

ცოტა ხნის წინ მარტინა ნავრატილოვამ "ნიუ იორკ თაიმსისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: *"ჩვენ დავაკვირდებით, როგორ გადიან სპორტსმენები ფორმის პიკზე უფრო სწრაფად 25-დან 30 წლის ასაკში, ვიდრე ოციდან 25 წლის ასაკში. ყველაფერი ბერდება. არ მგონია, რომ მოთამაშეები მოიგებენ "მეიჯორებს" 35 წლის ასაკში, მაგრამ 30 წელი – უკვე ისეთი საბედისწერო არ არის, როგორც ადრე".*

სერენა იდეალური "ლაკმუსის ქაღალდი" იქნება ასეთი შემოწმებისთვის. მეტოქეები აღფრთოვანებულნი არიან მისი უნიკალური უნარით - აიღოს პაუზა, დაბრუნდეს დიდ ტურნირზე, შეჯიბრების მსვლელობისას აკრიფოს ფორმა და პიკზე ფინალისთვის გავიდეს. მას ისევ აქვს მონდომებით მუშაობის სურვილი და საკმაოდ კარგად თამაშობს იმისთვის, რომ წელს აშშ-ს ღია პირველობის ფავორიტად დაესახელებინათ.

თანაც ეს სერენაა. მას შეუძლია ხვალ დაასრულოს კარიერა ან მოიგოს კიდევ ხუთი ან ექვსი ტურნირი "დიდ სლემზე". ის არაპროგნოზირებადია და ამით რაღაცით ჰგავს ფედერერს. და თუ რომელიმეს კიდევ უწერია "მეიჯორის" მოგება, გახსოვდეთ, რომ მსგავსი პრეცედენტი უკვე ყოფილა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა